ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№227 (286) 9-16 ივლისი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ალექსანდრე ჭაჭია: დარწმუნებული ვარ და მეტიც – ზუსტად ვიცი, თუ რა გზებითა და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი აფხაზეთის პრობლემის მოგვარება

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუების გამოქვეყნების შემდეგ რედაქციას დაუკავშირდა ცნობილი ჟურნალისტი თინათინ შანშიაშვილი, რომელმაც საინფორმაციო სააგენტო „თბილისელების“ მიერ ალექსანდრე ჭაჭიასთან 1998 წელს ჩაწერილი ინტერვიუ მოგვაწოდა. 15 წლის წინ ჩაწერილი ეს საუბარი კიდევ ერთი ნათელი სურათია იმისა, თუ რამდენად ზუსტ და უტყუარ პოლიტიკურ პროგნოზებს აკეთებდა ბატონი ალექსანდრე ჩვენი ქვეყნის მომავალთან დაკავშირებით.

– რუსეთის მაღალ პოლიტიკურ წრეებში საუბარია ფსოუზე საზღვრის გახსნის შესახებ. როგორ ფიქრობთ, რა მოჰყვება ყოველივე ამას?

– ჯერ ამაზე კონკრეტული საუბარი არ არის, მაგრამ ხვალ და ზეგ აუცილებლად იქნება, ვინაიდან **აბსოლუტურად უგუნურია ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა, არც ერთი ნაბიჯი არ არის წინ გადადგმული ამ კონფლიქტის მოგვარების გზაზე და არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს იმისათვის, რომ რუსეთის იმ გავლენიანმა წრეებმა, რომლებზეც თქვენ ბრძანებთ, რაღაც პოზიტიური პოზიცია დაიკავონ ამ კონფლიქტში, პოზიტიური, ჩვენი თვალსაზრისით.**

– ბერეზოვსკის ჩამოსვლასთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ: რაიმეს შეცვლის ბერეზოვსკი, რას მოიტანს მისი ჩამოსვლა?

– ბერეზოვსკი ვერაფერს გააკეთებს, ვერაფერს გადაწყვეტს. ესაა საერთო ქართული სენი და ავადმყოფობა – გამოჩნდება ვინმე ახალი ადამიანი და ჩვენ, ყველა ვიწყებთ საუბარს იმაზე, რომ, აი, ეს კაცი გვიშველის, გადაგვიჭრის პრობლემებს და ა. შ. ჩვენს პრობლემებს კი ჩვენ გარდა ვერავინ გადაწყვეტს. ჩვენს საქმეს ჩვენ უნდა მივხედოთ!

იმ წრეებს, რომელთა წარმომადგენელიც არის ბერეზოვსკი, საკუთარი ინტერესები გააჩნიათ... შესაძლოა, რიგ შემთხვევებში ჩვენი და მისი ინტერესები დაემთხვევს ერთმანეთს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ მნიშვნელოვან რეგიონულ კონფლიქტს, როგორიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტია, ერთი ადამიანი მოაგვარებს, როგორი მდიდარი და გავლენიანიც არ უნდა იყოს იგი. არ შეიძლება ასე ფიქრი და საუბარი. ეს არის ხალხის მოტყუება და შეცდომაში შეყვანა. ამ კონფლიქტს მოვაგვარებთ მხოლოდ ჩვენ – ქართველები და აფხაზები.

როცა შევარდნაძე ჯერ კიდევ ახალი მოსული იყო, მისი პირველივე გამოსვლების ძირითადი გზავნილი იყო ის, თუ რაოდენ დიდი ფიგურა გახლდათ იგი მსოფლიოსთვის, რომ მან იმდენი რამ გაუკეთა დასავლეთს, რომ ახლა დასავლეთი ამის გამო მას მხარს დაუჭერს და დაეხმარება 5-მილიონიან პატარა ქვეყანას. *მიაჩვიეს ხალხი იმას, რომ ვიღაც აუცილებლად უნდა ეხმარებოდეს და თვითონ კი მუქთახორულად არაფერს უნდა აკეთებდეს. აი, ეს სიცრუე გრძელდება უკვე ამდენი ხნის მანძილზე და ამას უნდა მოეღოს ბოლო. ხომ უნდა მიხვდეს ხალხი, რომ ჩვენ არავინ არაფერს გაგვიკეთებს და ჩვენ თავად უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეს.*

– თუკი რაიმე იყიდება საქართველოში, აუცილებლად – ყველაფერი უცხოელებზე. თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?

– როცა ქვეყანაში არანაირი წარმოება არ არსებობს, ყველაფერი პარალიზებულია, ქვეყნის ხელმძღვანელობას კი ესაჭიროება ფული, რათა მმართველ კლანს ეყოს და ხალხის არსებობა ბიოლოგიურ დონეზე მაინც უზრუნველყოს, მან რამე უნდა გაყიდოს. რა გაყიდოს, როცა არაფერი გააჩნია?!

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს აქვს 2-მილიარდიანი ვალი, რაც იმას ნიშნავს, რომ, საქართველოში ეკონომიკური აღმასვლაც რომ დაიწყოს, ჩვენ ამ ვალის გადახდას, სულ მცირე, 30 წელი მაინც მოვუნდებით. ისინი კი, ვინც ჩვენ ეს ვალი მოგვცა, გვეუბნებიან: – შენ ამ ობიექტს მიჰყიდი ამას ამ ფასად, ანუ პირდაპირი მითითებები კეთდება უკვე.

ალბათ, გახსოვთ, შადმან ვალავი რომ იყო საქართველოში. ეს ადამიანი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის რიგითი მოხელე. როცა ერთხელაც სავალუტო ფონდს ვესტუმრე, ვკითხე ერთ-ერთი დეპარტამენტის თუ სხვა სტრუქტურის ხელმძღვანელ პირებს ამ კაცის შესახებ. მათ არც კი იცოდნენ, თუ ვინ იყო ეს ადამიანი. არადა, პაკისტანის ეს მოქალაქე წლების მანძილზე, ფაქტობრივად, საქართველოს პატრონი იყო. ახლა კი მის ადგილას სხვა არის... აი, ეს გვჭირს ჩვენ – ქართველებს. *დღეს ქარხნებს და სხვა ობიექტებს რომ ყიდიან, ეს კიდევ არაფერია, ტრაგედიაა ის შედეგი, რომელთანაც ამ ხელისუფლების მიერ არჩეული გზა საბოლოოდ მიგვიყვანს. როდესაც ამ ყველაფერს გაყიდიან და გასაყიდი არაფერი დარჩება, შემდეგ მიწებისა და ტერიტორიების გაყიდვას დაიწყებენ, რადგან საქართველოს სხვა არაფერი გააჩნია, ტერიტორიების გარდა. აი, ეს უნდა გაიგოს ხალხმა.*

– სააკაშვილის ჯგუფი აფიქსირებდა, რომ არაქართველებზე მიწების და, აგრეთვე, საწარმოების მიყიდვა დასაშვებია და ამის წინააღმდეგ მხოლოდ ძალიან მცირე ჯგუფი გამოდის. თქვენ რას ფიქრობთ, აგვიხსენით, ვინ არის სააკაშვილი?..

– მე მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ, პრესის მეშვეობით რასაც ვკითხულობ, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ის გახლავთ ტიპური ლიბერალური, ღრმა პროდასავლური ორიენტაციის წარმომადგენელი. ასეთი ბიჭები ბოლო წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ რუსეთშიც და ეკონომიკურად გაუნათლებელ რუს საზოგადოებას ეგონა, რომ ისინი რამეს გააკეთებდნენ, ვინაიდან მათ დასავლელი სპეციალისტების ორი-სამი წიგნი აქვთ წაკითხული და ბრტყელ-ბრტყელ, გაუგებარ სამეცნიერო ტერმინებს ისროდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. მე ვთვლი, რომ ***ზუსტად ასეთი ადამიანია სააკაშვილი და მთელი მისი ვითომ რეფორმატორების ჯგუფი. ისინი ძალიან ლამაზად საუბრობენ, მაგრამ არაფრის გამკეთებლები არ არიან და ვერც იქნებიან, ვინაიდან სააკაშვილის ამერიკაში მუშაობისა თუ სწავლის დროს*** (არ ვიცი, კიდევ რას საქმიანობდა იქ ამ მოკლე დროში), ***ყოველ შემთხვევაში, მის მიერ რამდენიმე ენატლიკინა ჰარვარდის პროფესორის ლექციაზე დასწრება და ორი-სამი წიგნის წაკითხვა არაა საკმარისი ბაზა იმისთვის, რომ საქართველოში, ამ პატრიარქალურ ქვეყანაში, სადაც წლების მანძილზე სულ სხვა ტიპის ეკონომიკური წყობა მოქმედებდა, ეკონომიკა შეიცვალოს დასავლეთში მიღებული და ნასწავლი რეცეპტებით. ეს გამორიცხულია.***

– ბატონო ალექსანდრე, თქვენი აზრით, რა ხდება საქართველოში და საერთოდ, თუ აქვს ჩვენს ქვეყანას მომავალი და რა შემთხვევაში?

– მე მგონი, უკვე ყველა დავრწმუნდით, რომ ის გზა, რომლითაც მიდის დღეს საქართველო, აბსოლუტურად უპერსპექტივოა. ჩვენ სულ გვესმის ჩვენი ხელისუფლებისგან, რომ ყოველი მომავალი წელი აღორძინებისა და აყვავების წელი იქნება. ასე არ ხდება და ამაში უკვე ხალხიც დარწმუნდა. როცა რამდენიმე წლის წინ ტელევიზიით გამოვდიოდი და მივმართავდი საზოგადოებას, რომ ამ კურსით ჩვენს ქვეყანას მომავალი არ გააჩნდა და ამ კუთხით არანაირი წინსვლა და პერსპექტივა არ იქნებოდა, არავის სჯეროდა, ხალხი იმდენად იყო გაბრუებული ფუჭი დაპირებებითა და იმედებით. დღეს ამ უპერსპექტივო მდგომარეობაში ყველა რამენაირად უნდა გავერთიანდეთ და მოვძებნოთ გამოსავალი. შევარდნაძე თავისი ნებით არ გადადგება და არსად წავა. რევოლუციის, ომისა და სროლის გზით მისი გადაყენება კი არავის მოეწონება. ამიტომ მე შევარდნაძეს შევთავაზე შემდეგი: შეცვალოს მთავრობა. ჩამოაშოროს ხელისუფლებას კორუმპირებული ადამიანები. პრემიერ-მინისტრის პოსტზე შევთავაზე ჯუმბერ პატიაშვილის კანდიდატურა, ვინაიდან ამ ადამიანთან მივა ხალხი, რადგან ის პატიოსანი კაცია, არ არის სისხლში გასვრილი და ნდობას იმსახურებს. ვიცი რამდენიმე ადამიანი, რომლებიც აუცილებლად მივიდოდნენ მასთან და საქმესაც გააკეთებდნენ.

– როგორი მდგომარეობაა რუსეთში, რამდენადაც ჩანს, ამერიკამ რაც საქართველოს და მთელ მსოფლიოს გაუკეთა, იმავეს უკეთებს რუსეთსაც?

– რუსეთშიც ძალიან ცუდი მდგომარეობაა. პრაქტიკულად, ჩვენ და რუსეთი ანალოგიურ მდგომარეობაში ვართ ამ საერთაშორისო სტრუქტურებთან და იმავე ამერიკასთან დაკავშირებით. მაგრამ განსხვავება ისაა, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენ სრულ განადგურებას ერთი-ორი წელი დასჭირდება, ხოლო რუსეთი სხვა ხილია, მას ასე უცებ ვერ გადაყლაპავ.

– ჩინეთში კლინტონის 10-დღიან ვიზიტზე რას იტყვით? მგონი, ჯერ არ ყოფილა ასეთი პრეცედენტი...

– კლინტონის ვიზიტი იმის ადიარება იყო, რომ ჩინეთმა თავის არჩეული კურსით არნახულ წარმატებებს მიაღწია. არადა, ეს არის კურსი, რომელსაც ჩვენ დავცინოდით, ვინაიდან იქ კომუნისტური წყობა და ძველი პოლიტიკური სისტემა შენარჩუნდა. დასავლეთი კი ამტკიცებდა, რომ მას არაფერი გამოუვა, სანამ ძველ სისტემას არ გამოცვლის, ანუ ჩინეთსაც უნდა გაეკეთებინა ის, რაც საბჭოთა კავშირმა გააკეთა. ეს აღმოჩნდა მტკნარი სიცრუე და ჩინეთმა ეს დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს. ამის დასტურია ისიც, რომ „არადემოკრატიულ ტოტალიტარულ“ ჩინეთში დასავლეთი ყოველწლიურად 40-50 მილიარდიან ინვესტიციებს დებს, ხოლო საბჭოთა წყობაზე უარისმთქმელ დემოკრატიულ რუსეთში – 2-3 მილიარდს. ეს არის ხაზგასმა იმისა, რომ ***ის პოლიტიკა, რომელსაც დასავლეთი ახორციელებდა საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით, მიმართული იყო არა ჩვენი ხალხების ხსნისა და დემოკრატიის აშენებისკენ, არამედ კონკურენტი ზესახელმწიფოს ნგრევისა და მისი რესურსების ხელში ჩაგდებისკენ.*** *თუმცა დღეს ამერიკაში ბევრი პოლიტოლოგი აღიარებს, რომ ეს იყო უდიდესი ტრაგედია, რადგან დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორია მსოფლიოსთვის წარმოადგენს გაცილებით უფრო დიდ საფრთხეს, ვიდრე საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში.*

– გალის ტრაგედია ვისი მოწყობილი უნდა იყოს და ვის აძლევდა ის ხელს?

– ამის თაობაზე უკვე განვაცხადე ქართულ პრესაში. ეს იყო დიდი პროვოკაცია, რომლითაც ჩვენმა ხელისუფლებამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ და არც უნდა ვიქონიოთ სურვილი, ძალისმიერი მეთოდებით ვიმოქმედოთ აფხაზეთის მიმართულებით. არც მე ვარ მომხრე იმისა, რომ იქ ძალისმიერი მეთოდებით რაიმე გაკეთდეს. ***დარწმუნებული ვარ და მეტიც – ზუსტად ვიცი, თუ რა გზებითა და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი აფხაზეთის პრობლემის მოგვარება. ამის შესახებ არაერთხელ მითქვამს. თუმცა ამავე დროს ფსიქოლოგიურად აფხაზურ მხარეს უნდა ჰქონოდა შეგრძნება იმისა, რომ ჩვენ შეგვიძლია ძალისმიერი მეთოდების გამოყენება, მაგრამ არ ვაკეთებთ ამას. აი, ეს მომენტი გავუშვით ხელიდან, რადგან ახლა მათ უკვე იციან, რომ ძალისმიერი მეთოდებით ჩვენ არც არაფრის გაკეთება შეგვიძლია.*** ამ თვალსაზრისით, ეს იყო ძალიან ცუდი რამ. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაზე ცუდი და მძიმე შედეგია ის დიდი ტრაგედია, რომელიც იქ მცხოვრებ მოსახლეობას დაატყდა თავს.

– რამდენიმე დღეა, რაც საქართველოში ნატოს ჯარების შემოყვანაზე საუბრობენ. გალში მომხდარი ტრაგედია ხომ არ იყო საქართველოში ნატოს ჯარების შემოსაყვანად გამიზნული?

– თუ ეს იმისთვის იყო გამიზნული, რომ აფხაზეთის სამხედრო შენაერთები ენგურს სულ ცოტათი მაინც გადმოსცილებოდნენ და ამის შემდეგ საქართველოს ნატოსთვის მიემართა დახმარებისთვის, მაშინ ეს დიდი სისულელეა. აფხაზები არ არიან ისეთი სულელები, რომ დღეს ასეთი რამ გააკეთონ. უნდა გვესმოდეს კიდევ ერთი რამ: ***ჩვენ გვგონია, რომ მთელი მსოფლიო ჩვენსა და ჩვენი ქვეყნის ირგვლივ ტრიალებს. გვგონია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტი ვართ მსოფლიოსთვის, რომ ყველა იმაზე ფიქრობს, თუ როგორ შემოვიდეს საქართველოში. არ არის ასე. ამჟამად ნატო დაკავებულია გაცილებით დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემებით. ეს შეეხება იმავე ბალკანეთისა თუ ბალტიისპირეთის პრობლემებს და ასე შემდეგ.*** საუბარიც კი არ არის ნატოს ჯარების საქართველოში ან თუნდაც ამიერკავკასიაში შემოსვლაზე. ესაა მორიგი ბლეფი, შემოგდებული ისევ ჩვენი პოლიტიკოსების მიერ იმისათვის, რომ ხალხს აჩვენონ: აი, ჩვენ კი გავაფუჭეთ საქმე და ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ აგერ ახალი პატრონი გვყავსო. ეს არის მონისა და მუქთახორის ფსიქოლოგია, რისი წინააღმდეგიც, უკვე წლებია, ვარ. ***ეკონომიკის საკითხში ჩვენ მონის ფსიქოლოგია გაგვაჩნია. პოლიტიკაშიც ჩვენ ასევე მონა კაცის ფსიქოლოგია და მიდგომა გვაქვს. აი, ძველი პატრონი არ მოგვწონს, ახლა სხვა პატრონი გვინდა და გვჭირდება... ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობაზე დებენ თავს. სამარცხვინოა, სხვა თუ არაფერი...***

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

აფხაზეთის ღირსეული შვილები

XIX საუკუნის აფხაზი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები და საქართველო: გრიგოლ შარვაშიძე

გასული საუკუნის აფხაზ მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ ალექსანდრეს (ალი-ბეგის) ძე შარვაშიძეს (ჩაჩბას). იგი ბევრის მომსწრე და მნახველი იყო. მთელმა მეცხრამეტე საუკუნემ მის თვალწინ ჩაიარა. თვითონ იყო უშუალო მონაწილე იმ რთული და საბედისწერო ცხოვრებისა, რომელიც თავს გადახდა აფხაზ ხალხს გასული საუკუნის მანძილზე.

გრიგოლი აფხაზეთის მთავართა შთამომავალი იყო. მამამისი ალექსანდრე (ალი-ბეგი) დიდი ავტორიტეტით და გავლენით სარგებლობდა აფხაზეთში; იყო აბჟუის (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი) მფლობელი.

დედა კესარია, სამეგრელოს კანონმდებლის – დიდი ნიკო დადიანის ასული – სამეგრელოს მთავართა საგვარეულო შტოს წარმომადგენელი, ყოფილა ფრიად განათლებული, კეთილი, დარბაისელი ადამიანი. ქმრის სიკვდილის შემდეგ იგი პირადად განაგებდა აბჟუის ოლქს და აფხაზი ხალხის დიდი სიყვარული მოუპოვებია.

კესარია პოეტ გ. შარვაშიძის აღმზრდელი იყო. გ. შარვაშიძის დედა ალექსანდრა კესარიას ძმის – გიორგი დადიანის ასული იყო. ამდენად, კესარია დადიანი-შარვაშიძე იყო პოეტ გ. შარვაშიძის დედის ალალი მამიდა. კესარიას დაიკო ეკატერინე ცნობილი პოეტის – მამია გურიელის დედა იყო. კესარიას მეორე და კი იყო დედა ცნობილი კონსტანტინე დადეშქელიანისა, რომელმაც ხანჯლით განგმირა ქუთაისის გუბერნატორი გაგარინი აბჟრად აგდებისთვის. მაშასადამე, მამია გურიელი, გრიგოლ შარვაშიძე და კონსტანტინე დადეშქელიანი ალალი დეიდაშვილები იყვნენ, ხოლო მათთვის პოეტი გ. შარვაშიძე ბიძაშვილის შვილი იყო დედის მხრით.

გრიგოლ შარვაშიძეს სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული. სამხედრო სამსახური დაუწყია 20 წლის ასაკიდან, ე. ი. 1828 წლიდან და ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არაერთი და ორი საომარი ოპერაციის მონაწილე ყოფილა. მას არაერთგზის უსახელებია თავი, განსაკუთრებით, თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი დამსახურების შესახებ გაზეთი **„ПАВКАЗЪ“** წერდა: **„Заслуги его** (ე. ი. გრ. შარვაშიძისა,– ო. ჭ.) **были неоценимы для русского оружия“.**

გრიგოლს განსაკუთრებით გამოუჩენია თავი 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ამ ომში მიღწეული წარმატებისთვის (მას 12 შეტაკებაში მიუღია მონაწილეობა) იგი დაუჯილდოებიათ წმინდა ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენით.

გ. შარვაშიძე მეტად განათლებული, ცხოვრებაში ღრმად ჩახედული პროგრესული მოღვაწე იყო. ესმოდა მშობლიური ხალხის გულისტკივილი, ხედავდა მისი ჩამორჩენის, სიბნელის მიზეზებსაც, ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა თანამემამულეებში განათლება და კულტურა შეეტანა, სკოლები დაეარსებინა, იგი სწავლა-განათლებაში ხედავდა პროგრესის რეალურ საფუძველს.

გრ. შარვაშიძემ მონაწილეობა მიიღო 1865 წელს თბილისში გამოცემული აფხაზური ანბანის შედგენაშიც. მან ცნობილ საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძესთან ერთად საყურადღებო შენიშვნები შეიტანა აფხაზური ანბანის შემდგენი კომისიის მუშაობაში.

გრიგოლი განსწავლული კაცი ყოფილა. სცოდნია აფხაზური, ქართული, რუსული, მეგრული, თურქული ენები. მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი (მან სიკვდილის შემდეგ დატოვა 40 შთამომავალი) მუდამ ხალხის სამსახურში იდგა. მეუღლე აღათი დადიანი-შარვაშიძე საქვეყნოდ ცნობილი ქველმოქმედი მოღვაწე გახლდათ, რომლის თაოსნობით ხშირად იმართებოდა სცენისმოყვარეთა საქველმოქმედო წარმოდგენები აფხაზეთში. ეს ოჯახი სანიმუშოდ ითვლებოდა მთელ საქართველოში.

გრ. შარვაშიძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართველ მოწინავე მოღვაწეებთან: დიმ. ყიფიანთან, ნ. ნიკოლაძესთან, რაფ. ერისთავთან, ი. ჭავჭავაძესთან, ნ. დადიანთან. მათთან მიმოწერას აწარმოებდა ქართულ და რუსულ ენებზე. ქართული ენა მისთვის მეორე მშობლიურ ენას, დედის ენას წარმოადგენდა. იგი ამავე დროს ქართულ კულტურულ სამყაროსთან მისი ურთიერთობის საშუალება იყო.

გრიგოლს განსაკუთრებით თბილი მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დიმ. ყიფიანთან. როგორც ცნობილია, სამსახურებრივი მდგომარეობით დიმ. ყიფიანი დაკავშირებული იყო დასავლეთ საქართველოსთან, კერძოდ, აფხაზეთთან. კავკასიის მმართველობის მიერ იგი მივლინებული იყო აფხაზეთში 60-იანი წლების დასაწყისში ცარიზმის პოლიტიკით აფხაზი ხალხის უკმაყოფილების მიზეზების დასადგენად და ამ საქმეში მთავრის – მიხეილ შარვაშიძის მონაწილეობის გასარკვევად.

დიმ. ყიფიანი აფხაზეთის უსულგულო სტუმარი როდი იყო. მას აინტერესებდა მოძმე აფხაზი ხალხის ბედი, მისი წარსული და თანამედროვე ცხოვრება, სულიერი და მატერიალური კულტურა. იწერდა ხალხში არსებულ ლეგენდებს, თქმულებებს, თვალყურს ადევნებდა ინტელექტუალურ ცხოვრებას. აფხაზთა შორის დიმიტრის ჰყავდა ბევრი გულითადი მეგობარი, რომლებთანაც ჰქონდა ტკბილი ურთიერთობა, ხშირი მიმოწერა. ეს მასალები დაცულია დიმ. ყიფიანის არქივში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. აფხაზეთში დიმ. ყიფიანის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა აღწერილი აქვს ცნობილ ისტორიკოს ს. ესაძეს.

დიმ. ყიფიანის აფხაზ მეგობართა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ კონსტანტინე და გრიგოლ შარვაშიძეები. პირველი იყო აფხაზეთის მთავრის – მიხეილის ძმა. დიმიტრი და კონსტანტინე ერთად მონაწილეობდნენ მეფის მთავრობის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ 1832 წლის შეთქმულებაში. მათ ერთად იგემეს თავისუფლებისთვის მებრძოლთა სიტკბოცა და სუსხიც. შემდეგ მთელი ცხოვრების მანძილზე ერთმანეთი არასოდეს დაუკარგავთ.

გრ. შარვაშიძესთან დიმ. ყიფიანს აკავშირებდა ასევე გულთბილი და უანგარო მეგობრული გრძნობა, ხუთი ათეული წლის ხალასი ურთიერთობით ნაწრთობი. ქართველი და აფხაზი ხალხების საუკეთესო შვილების ასეთი ურთიერთდამოკიდებულება კარგად ჩანს იმ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, რომელიც ისტორიის ქარტეხილებს შემორჩა დიმ. ყიფიანისა და გრ. შარვაშიძის მიმოწერის სახით.

დიმ. ყიფიანი თავის მეგობარ გრ. შარვაშიძეს 1884 წელს სწერდა:

„შენ აღმიდგინე ისევე ის იმედი, შენ გამიცხოველე და გულდამშვიდებული ვარ, რომ ისევ შენი ძველი მეგობრობა, 47 წლის მეგობრობა, გამიმართავს ხელს და დიდის განსაცდელისაგან გამომიყვანს.

ხორციელი კაცი არ იპოება ქვეყნად, რომ იმედი მქონიყოს იმისი, როგორც შენი მაქვს.

შენი უერთგულესი და ძველი მეგობარი დიმიტრი“.

დიმ. ყიფიანს აფხაზეთში ყოფნის დროს 1862 წელს ჩაუწერია ერთი მეტად საყურადღებო ამბავი აფხაზთა ცხოვრებიდან, რომლის დაახლოებით ანალოგიური ფაბულა გამოყენებული აქვს აფხაზ მწერალს მიხ. ლაკერბაიას თავისი პიესის **„დანაყაის“** საფუძვლად. ეს არის **„თავად ანჩაბაძისა და თავად ინალ-იფას ქალის ამბავი“.**

გრ. შარვაშიძეს მეტად ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძესთანაც. მათი მიმოწერიდან ჩანს, რომ ისინი ერთმანეთთან **„გაშინაურებულები“** იყვნენ და ჰქონდათ ტრადიციული ძმობა-მეგობრობა და საქმიანი დამოკიდებულება. წერილების უმეტესობა შეეხება გრ. შარვაშიძისა და მისი შვილის – ივანეს მამულებს, რომლებიც გაჭიმული იყო კოდორიდან ღალიძგამდე. აქ გრიგოლს ჰქონდა 3.000 დესეტინა მამული ძვირფასი ტყით (მუხა, ბზა, წაბლი, წიფელი), რომელიც შეფასებული იყო 600.000 მანეთად.

ამ მამულების რეალიზაციისა და სოხუმი-ახალი სენაკის რკინიგზის გაყვანის საქმეში (ამ გეგმის განხორციელებაზე ბევრს ფიქრობდა გრიგოლი. განსაკუთრებით აინტერესებდა რკინიგზის გაყვანა თავისი ქვეყნის კულტურული აღორძინების მიზნით) იგი დახმარებას თხოვდა ნ. ნიკოლაძეს, როგორც გამოცდილ ადამიანსა და მეგობარს.

გრ. შარვაშიძე წერდა გამართული ქართულით. მაგალითად, ერთ-ერთ წერილში იგი ნ. ნიკოლაძეს მიმართავდა:

„საყვარელო ნიკოლაი იაკობიჩ, გუშინდელ გაზეთში წავიკითხე, რომ ქუთაისის ბანკის საქმისთვის აგზავნიან კომისიას აქედამ და, თუ შეიძლება, ერთი სვიმონ მომიყვანე და მოდი და მოვილაპარაკოთ. გაზეთს გიგზავნი.

კნ. გრიგოლ შარვაშიძე“.

მეორე წერილში იგი ქართველ მეგობარს სწერდა:

„უძვირფასესო ნიკოლაი იაკობის ძევ, პირადად გიძღვნი ჩემს უგულითადეს მოკითხვასა და პატივისცემას და გისურვებ ყოველსა კარგსა და კეთილსა და სიმართლესა. იმედი მაქვს, ჩვენცა გვიკითხავ, ვართ სიმრთელით...“ მერე მოსდევს საქმიანი საუბარი.

მკითხველი უთუოდ იგრძნობს ამ წერილების სტილებში დიდ სითბოსა და მეგობრულ გრძნობას, კდემამოსილ დამოკიდებულებას აფხაზი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილებს შორის. სამწუხაროდ, ნ. ნიკოლაძის პასუხები დაკარგულია.

გრ. შარვაშიძე ეწეოდა მეტად სასარგებლო საზოგადოებრივ მოღვაწეობას. პირველ რიგში, ეს გამოიხატებოდა სახალხო განათლების პროპაგანდაში, აფხაზი მოღვაწის საქმიან კავშირში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომლის მეშვეობით იგი ცდილობდა თავის სამშობლოში სკოლების ქსელის გაფართოებასა და ახალი თაობის აღზრდის სწორ ორგანიზაციას. ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას უთმობდა ქართული პრესა.

გრ. შარვაშიძის თაოსნობით, 1880 წელს მაშინ დაბა ოჩამჩირეში მოუწვევიათ აფხაზეთისა და სამურზაყანოს (მაშინ არსებობდა ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა. დღევანდელ გალის რაიონს ეწოდებოდა სამურზაყანო და ითვლებოდა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად) **„კეთილშობილთა თათბირი ქურდობის მოსპობის თაობაზე მოსალაპარაკებლად“,** სადაც მრავალი წინადადება ყოფილა წამოჭრილი მოსაგვარებლად. მათ შორის ყველაზე მტკივნეული საკითხი აღუძრავს თვით გრ. შარვაშიძეს. თუ რა შინაარსისა იყო იგი, ამის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი „დროება“:

„ამ ყრილობაზე ღენ. თ. გრიგოლ შარვაშიძეს მიუცია დამსწრეთათვის წინადადება, რომ, რადგან უმთავრესი მიზეზი ქურდობისა არის უმეცრება და ურიგოდ გაგებული თავმოყვარეობა; რადგან სკოლა და სწავლა დაგიხსნით თქვენ ამ ნაკლოვანებათაგან, ამის გამო გირჩევთ, რომ „საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრად ჩაეწეროთო“.

ეს აზრი დამსწრე საზოგადოებას მოსწონებია და მიუღია კიდეც. ბევრს გამოუთქვამს წერა-კითხვის საზოგადოების წევრობის სურვილი. განათლებული და გავლენიანი მოღვაწის წინადადებას თავისი დადებითი შედეგი მოუტანია. **„დროების“** მომდევნო წლის ერთ-ერთ ნომერში არის ვრცელი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გრ. შარვაშიძეს მარტო ლიტონი განცხადება როდი გაუკეთებია, არამედ მიჰყოლია საქმეს და მისი წყალობით ბევრი თანამემამულე გამხდარა ი. ჭავჭავაძისა და დიმ. ყიფიანის მიერ 1879 წელს დაარსებული წერა-კითხვის საზოგადოების წევრი. ინფორმაციაში მითითებულია:

„ჩვენ გვაცნობეს, რომ გენერალ-მაიორის, თავ. გრ. ა. შარვაშიძის თაოსნობით, აფხაზეთის საზოგადოებას განუცხადებია სურვილი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იკისროს აფხაზეთში სკოლების გამართვა და ბევრ თავად-აზნაურთ გამოუცხადებიათ კიდეც სურვილი საზოგადოების წევრათ შესვლისა. ჯერ დროებით საზოგადოებას მოსვლია ოცდაექვსი კაცისაგან საწევრო ფული და განცხადება წევრად მიღებაზე. უმეტესი ნაწილი ამათგანი არიან შარვაშიძეები, მარშანიები, ანჩაბაძეები და ემუხვარები“.

იმ განცხადებაში, რომელიც შემოუტანიათ საზოგადოების მმართველობაში, ისინი ითხოვენ, რომ **„სკოლებში პირველდაწყებითი სწავლა უეჭველად ქართულ ენაზე იყოსო, რადგანაც ძველის დროიდამ ეს ენა არისო ჩვენთვის სამოქალაქო და საეკლესიო ენაო“.**

უფრო გვიან, 90-იანი წლებიდან, აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენცია მოითხოვდა აფხაზური სოფლების სკოლებში აფხაზურ ენაზე და ქართული მოსახლეობის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას. ამასთან, ეს ინტელიგენცია სასტიკად იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც უგულებელყოფდნენ მშობლიური ენის როლსა და მნიშვნელობას ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

გრიგოლ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე გარდაიცვალა 1898 წელს, დასაფლავებულია მშობლიურ სოფელ ათარაში, მამა-პაპათა საძვალეში.

...1916 წელს გაზ. **„საქართველოს“** მაისის ნომერში გამოქვეყნდა **„მცირედი განმარტება აფხაზთა მოთხოვნილების შესახებ“,** რომელსაც ხელს აწერდნენ მელიტონ ემუხვარი და პეტრე ანჩაბაძე. **„განმარტებაში“** აფხაზი ხალხის სახელით შემდეგი არის აღნიშნული:

„ჩვენი სურვილია, შევინახოთ ენა და განსაკუთრებული თვისება... ჩვენი თვითარსებობის წინააღმდეგ ბევრნაირი ხიფათია, მაგრამ ყოველივე საშუალებით ვიბრძვით არსებობისათვის...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებულნი მოძმე ქართველები ყოველნაირად ხელს შეგვიწყობენ, შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით“.

აფხაზეთის მოწინავე ინტელიგენციას წარმოდგენილი არ ჰქონდა ამ ორი ხალხის ცხოვრება უერთმანეთოდ.

აფხაზი და ქართველი ხალხების ამ ურთულეს საკითხს ფართოდ გამოეხმაურა ჟურნალი **„თეატრი და ცხოვრება“.** მან მისცა ვრცელი ინფორმაცია, უფრო ზუსტად და კონკრეტული მოთხოვნების დასახელებით, ვიდრე გაზეთმა **„საქართველომ“.** ამასთან მოათავსა დეპუტაციის მონაწილე ზოგიერთ პირთა ჯგუფური ფოტოსურათი. რაც შეეხება დეპუტაციის მოთხოვნას, იგი ჟურნალის რედაქციის მიერ ასე არის ჩამოყალიბებული:

1. „მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება აქამდე მივიწყებულს სოხუმის ოლქს, 2. გაიხსნას აქ რაც შეიძლება მეტი სკოლები, უმთავრესად პრაქტიკულ ხასიათისა, 3. გაყვანილ იქნას ახალი გზები და შესწორებული ძველი, 4. სწავლა სკოლებში სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულსა და აფხაზურზე), 5. სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნას ცალკე გუბერნიად და არას გზით არ იქნეს შეერთებულ-მიწერილი სხვა უცხო გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის), 6. თუ შეუძლებელი იქნება ცალკე გუბერნიად სოხუმის ოლქის გარდაქმნა და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებულ უნდა იქნეს ქუთაისის გუბერნიასთან, 7. სოხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოსაგან“.

ჟურნალის ცნობით, მეფისნაცვალს მიუღია ეს დეპუტაცია, ყურადღებით მოუსმენია და აღუთქვამს დახმარება. დეპუტაცია წარმდგარა, აგრეთვე, საქართველოს ეგზარქოს არქიეპისკოპოს პლატონის წინაშე და ისიც დაპირებია მხარდაჭერას.

ამავე ნომერში არის დაბეჭდილი სურათი ხუთი კაცისა. ოთხი ზის და ერთი ახალგაზრდა ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ფეხზე დგას. სურათს აქვს ასეთი წარწერა: 1. თ. მ.ჯ. შარვაშიძე, 2. თ. ა.გ. შარვაშიძე, 3. თ. მელიტონ ემუხვარი, 4. თ. ასტამურ ინალიფა. ამას დართული აქვს რედაქციის ასეთი შენიშვნა:

„აქ ჩამოთვლილ პირთა გარდა დეპუტაციაში იყვნენ: თავ. პეტრე ანჩაბაძე და გლეხების წარმომადგენლები: ბ. ბ. ეზუგბაია და ანტონ ჩუკბარი“.

ჟურნალის მომდევნო ნომერში არის რედაქციის გამოხმაურება აფხაზეთის დეპუტაციის ამ მოთხოვნისადმი. ეს მოცულობით პატარა, მაგრამ იდეური დატვირთულობით მეტად ღრმა შინაარსის დოკუმენტი, რომელშიც აშკარად ჩანს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დამოკიდებულება მოძმე აფხაზი ხალხისადმი, მოგვაქვს მთლიანად:

„სამშობლო იღვიძებს, წყლულების გამთელებას ცდილობს.

დიდი ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ – დედა ქართლის გარშემო – ვიკრიბებით.

გვეყო, რაც უერთმანეთოდ, ერთი მეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით. ქარლ-კახეთი, იმერ-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა-სვანეთი რომ ერთი დედ-მამის შვილნი ვართ, განა ამას დიდი მტკიცება უნდა?

შავ დროთაგან გაგარეულნი ქართველნი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიან.

ახლახან გაბებული ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენებამ აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა: მომეციით გზა განათლებულ ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! – ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლაც...

ვაშა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ხალხს. სჩანს, სიბნელეს სავსებით არ უძლევართ, გარიჟრაჟი შემოგვღიმის და მომავალს გვიქადის...

სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტ საკინძს – ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათს პირველ ნაბიჯს“.

ასე გულღიად, გაშლილი ხელებით შეხვდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია თავის ძმებს – აფხაზებს. ისინი გვერდში ამოუდგნენ ერთმანეთს და საერთო ძალით შეუტიეს უმეცრებასა და ძალმომრეობას, მოითხოვეს ადამიანური ღირსებების, ეროვნული ენისა და უფლებების დაცვა, ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების აღორძინება.

აფხაზი ხალხის ამ დიდ ეროვნულ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა გრიგოლ და აღათი შარვაშიძეების ღვიძლი შვილი ალექსანდრე შარვაშიძე.

სოხუმის თავი გრიგოლ შერვაშიძე (ცენტრში) ნათესავებთან, გრიგოლ დადიანი, ვარლამ ანჩაბაძე და სხვა.

დეიდა "ნატო"-ს ნაბიჯვრები

არსებობს მცნება **"აგდებული ნაბუშარი"**, რომელიც არ უყვართ, როგორც ფრიად არასასურველი და სამარცხვინო არსება, მაგრამ ეცოდებათ და ამიტომაც უწევენ მცირეოდენ ანგარიშს,და ამიტომ,მათი სურვილების ახდენას ზედმეტ ტვირთად მიიჩნევენ და მხოლოდ დაპირებებით იშორებენ ხოლმე თავიდან. დაახლოებით ამგვარი იყო **ნატო**-ს დამოკიდებულება ჯერ შევარდნაძის, შემდეგ კი სააკაშვილის მიმართ!

მოკლედ ნატო-ს შესახებ

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (**ნატო**) 1949 წლიდან მსოფლიოს 28 სახელმწიფოსთვის მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად ითვლება. **ნატო**-ს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს (ყოველი შემთხვევისათვის, მისი წესდების შესაბამისად) წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან და ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად, რაც დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლით არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლებების გამოყენებით და საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენებით, ისინი დახმარებას გაუწევენ საფრთხეში მყოფ მხარეს, ან მხარეებს, რათა შეინარჩუნონ ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოება.

აღნიშნული ორგანიზაციის ჩამოყალიბება პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის მოძლიერებას და მის სამომავლო სამხედრო პერსპექტივებს.

სწორედ საბჭოთა კავშირიდან წამოსული საერთო საფრთხის გამო თურქეთი **ნატო**-ში 1952 წელს გაწევრიანდა, რამაც ცივი ომის პერიოდში მისი ვაშინგტონთან მჭიდრო კავშირი განაპირობა. თუმცა, ბოლო პერიოდში, თურქეთის პოლიტელიტა თურქეთის **ნატო**-დან გამოსვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდა.

ისეთი პატარა და დაუცველი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, **ნატო**-ს წევრობა ნამდვილად დიდ პოლიტიკურ ფუფუნებას წარმოადგენს. თუმცა, ისევე, როგორც თურქეთში, საქართველოშიც პოლიტიკოსთა და პოლიტოლოგთა შორისაც ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

შეგახსენებთ, რომ **ნატო**-ში გაწევრიანების ინიციატივა შევარდნაძეს ჩააწვეთა მისმა გარემოცვამ. 1999 წლის დასაწყისში მან საჯაროდ გამოაცხადა, რომ საქართველო უნდა გახდეს **ნატო**-ს წევრი. კონკრეტული **"გათვლაც"** ჰქონდა ედუარდს: **"2005 წელს უკვე ნატოს კარს მივუკაკუნებთ"**-ო. მივუკაკუნეთ, ვაკაკუნებთ, ქუსლებსაც **"ვაბაკუნებთ"**, მაგრამ **ნატო**-ს კარი არ იღება, მხოლოდ ფანჯრებიდან გვიღიმიან **ნატო**-ს ფუნქციონერები და ხელსაც გვიქნევენ კეთილმეგობრულად, თუმცა, ეს ბრანწიანი ხელია, რასაც, რატომღაც, ვერ ვამჩნევთ!

და ეს მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე 1999 წელს მიესალმა **ნატო**-ს მიერ იუგოსლავიის დაბომბვას (რის შედეგადაც იუგოსლავია დაიშალა, სერბეთს კი მისი ძირძველი მიწა – კოსოვო წაართვეს, რამაც, საბოლოო ჯამში, ჩვენც დაგვასაჩუქრა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოყოფით; დასავლეთმა იუგოსლავიის დაშლით უარი თქვა ტერიტორიული ურღვევობის პრინციპზე საერთაშორისო პოლიტიკაში და მას საბოლოო ჯამში რუსეთიც აჰყვა). ყოველივე ეს, უკეთეს შემთხვევაში, არ ითვალისწინებდა, უარეს შემთხვევაში კი განზრახ, პროვოკაციის მიზნით ახდენდა რუსეთის გაღიზიანებას.

რუსეთის ამგვარი გამოწვევით შევარდნაძე ერთის მხრივ პოპულისტობდა, საზოგადოებას თავს აჩვენებდა **"პატრიოტად"** (ეს კი უკვე საზოგადოების უმწიფრობის ბრალია – რატომ უნდა აღიქმებოდეს რუსეთის გაღიზიანება პატრიოტიზმად, ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოებაში?!). მეორე მხრივ, კი იგი განიცდიდა ამერიკელთა დიდ ზეგავლენას, შევარდნაძეს **ნატო**-სკენ ორიენტაცია ამერიკელებთან კონსულტაციის გარეშე არ გამოუცხადებია. **აშშ**-ის მიზანი, ამ შემთხვევაში, იყო **"გათიშე და იბატონე"**.

საქართველო და რუსეთი უნდა წაჩხუბებოდნენ ერთმანეთს და ამ ფონზე **აშშ** საქართველოში საქართველოს **"მეგობრის"** იმიჯს ამკვიდრებდა, **"მტრული"** რუსეთის ფონზე, ხოლო სინამდვილეში საქართველოსთან საკითხს რუსეთთან ურთიერთობებში დიპლომატიურ იარაღად იყენებდა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ამერიკელები რუსულ-ქართული კონფრონტაციის ფონზე აძლიერებდნენ თავიანთ გავლენას კავკასიაში და ეს ასეც მოხდა.

არც რუსეთს და მით უმეტეს, არც საქართველოს, არაფერი მოუგიათ ორმხრივი დაპირისპირებით. რუსეთის გავლენა კავკასიის სამხრეთით, ბოლო ათწლეულის მანძილზე, შესუსტდა, ხოლო საქართველო ლამის სულ დაიშალა. სამაგიეროდ გაძლიერდა **აშშ**-ს პოზიციები.

დღეს ამერიკა კვლავ ცდილობს არსებული დაძაბულობის **"გათეთრებას"** და ამ ქვეყნის სააგენტოები პუბლიკაციებს პუბლიკაციებზე აქვეყნებენ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტისათვის არსებობის გასახანგრძლივებლად. ამას ემსახურება **BBC**-ის კორესპონდენტის წერილი სათაურით **„რუსეთთან დაზავება თბილისისთვის ნატოში საშვებად იძცევა"**:

"რუსეთსა და საქართველოს შორის 5-დღიანი ომის დასრულებიდან 5 წლის შემდეგ თბილისს კვლავაც სურს მოსკოვთან დამეგობრება,– წერს BBC-ის ჟურნალისტი. თუმცა, ამასთან ერთად, საქართველო მთელი ძალისხმევით მიილტვის დასავლურ საზოგადოებრიობაში ინტეგრირებისკენ. შესაძლებელია თუ არა ორივე პირობის ერთდროულად შესრულება? – კითხვას სვამს კორესპონდენტი.

5 წლის წინანდელი ომი ძალიან ხანმოკლე იყო, თუმცა საქართველოსთვის კატასტროფად იქცა. კონფლიქტი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების გამო წარმოიშვა, რომელთა თავის კონტროლქვეშ დაბრუნებას ქართველები ცდილობდნენ, – აცხადებს BBC. მათვე დაიწყეს სამხედრო ოპერაცია. რუსული არმიისთვის ეს იოლი გამარჯვება იყო. შედეგად 1000 კაცი დაიღუპა, ათასობით ქართველი კი უსახლკაროდ დარჩა.

მოსკოვმა და თბილისმა ყოველგვარი დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტეს. მედიის ცნობით, პუტინი საქართველოს პრეზიდენტს „გენიტალიებით" ჩამოკიდებას შეჰპირდა, სააკაშვილმა კი რუსეთის ლიდერს „ლილიპუტინი" უწოდა.

სააკაშვილის უმთავრესმა მოწინააღმდეგე ბიძინა ივანიშვილმა კი პრემიერ-მინისტრად დანიშვნისთანავე რშ-სთან გაწყვეტილი კავშირების აღდგენა დაიწყო. ბევრმა ჩათვალა, რომ ივანიშვილი რუსეთის ორბიტაზე საქართველოს დაბრუნებას ლამობდა. თუმცა პოლიტიკოსმა მიანიშნა, რომ სადავო ტერიტორიაზე პრეტენზიებს უკან არ წაიღებს და, ამავდროულად, პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავ ნატო და ევროკავშირი მიაჩნია.

ასეთი მიდგომა, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ნატოში საქართველოს მოხვედრის შანსებს ზრდის, – აღნიშნავს კორესპონდენტი. ახლა, როცა რუსეთი და საქართველო მზად არიან კი არ იომონ, არამედ ითანამშრომლონ, დასავლეთს აღარ შეეშინდება კონფლიქტში ჩათრევის. საქართველოსაც აღარ მოუწევს არჩევანის გაკეთება და შეძლებს წარმატებით ითანამშრომლოს ორივე მხარესთან".

მხოლოდ ბრიყვი თუ დაიჯერებს, რომ რუსეთი დიდად გაიხარებს საქართველოს **ნატო**-ში გაწევრიანებით, რაც კავკასიაში ჩრდილოელი მეზობლის პოზიციების კიდევ უფრო მეტად შესუსტებას ნიშნავს.

დღეს ყველამ ვიცით, რომ საქართველოში არაფერი წყდებოდა მაკროპოლიტიკურ დონეზე, **აშშ**-ს ელჩის ჩარევის გარეშე, იქნებოდა ეს მიტინგის დარბევის სანქცია თუ რომელიმე საკანონმდებლო ნორმის მიღება ან გაუქმება. საქართველოს კი გეოგრაფიულად გადამწყვეტი პოზიციები უკავია კავკასიაში. ვინც აკონტროლებს საქართველოს, იგი სტრატეგიული გავლენის ქვეშ აქცევს მთელ სამხრეთ კავკასიას. მთელი ამ ხნის მანძილზე დასავლეთი, ამერიკის მეთაურობით, აშანტაჟებდა რუსეთს, რომ კასპიის რეგიონის ენერგორესურსები რუსეთის გვერდის ავლით, აზერბაიჯან-საქართველოს გზით დაუკავშირდებოდა დასავლეთს.

ფაქტია, რომ რუსეთს აღიზიანებდა საქართველოს მიერ აღებული ეს კურსი...

მაგრამ, საბედნიეროდ, სიტუაცია თანდათან იცვლება და საქართველოს ხელისუფლება თუ ამჟღავნებს **ნატო**-ში გაწევრიანების სურვილს, აშკარაა, რომ ეს ამერიკელთა დასამშვიდებლად კეთდება და ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა ნაცები და სააკაშვილი საბოლოოდ ჩამოშორდებიან ხელისუფლებას, საქართველო კიდევ ერთხელ გააკეთებს სწორ ისტორიულ არჩევანს.

ეტყობა, სააკაშვილი და მისი ბანდა საკმაოდ დიდ ქრთამს აძლევდნენ ევროპელ ჩინოვნიკებს (გაიხსენეთ, სააკაშვილმა დონალდ ტრამპს მხოლოდ იმაში გადაუხადა ასეულ მილიონობით დოლარი, რომ ამ საერთაშორისო თაღლითს ეთქვა: საქართველო საინტერესო დემოკრატიული ქვეყანაა და მე იქ, ჩემი ინვესტიციებით, **"ტრამპთაუერის"** აგებას ვაპირებო), რომლებიც დღემუდამ ამტკიცებდნენ, რომ **ნატო**-ში შეხვალთო. ახლა, როცა მათ ფულს აღარავინ უხდის, თანდათან, შეპარვით გვეუბნებიან, რომ თქვენი დემოკრატია **ნატო**-ს სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გეი-აღლუმი ჩაუშალეთ პედერასტებს, თორემ ეგენი რომ გავის ქნევით გაგეტარებინათ რუსთაველის გამზირზე, უკვე **ნატო**-ს წევრები იქნებოდითო!

მოკლედ, **ნატო**-ში შესვლა ისეთივე ილუზორული აღმოჩნდა, როგორც ტრამპის მიერ საქართველოში აშენებული ქალაქი!

რაც შეეხება სააკაშვილს, **ნატო** მას ზუსტად ისე მოექცა, როგორც კახპები ექცევიან ხოლმე ნაბუშარს!

რ. შალამბერიძე

ალექსანდრე ჯაჯია: დარწმუნებული ვარ და მეტიც – ზუსტად ვიცი, თუ რა გზებითა და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი აფხაზეთის პრობლემის მოგვარება

(გაგრძელება 1 გვერდიდან)

– ამ ბოლო დროს ქვეყანაში გეგმაზომიერად მიდის ლგბტ საზოგადოების გააქტიურების პროცესი. აქ უკვე არ არის საუბარი ქვეყნის დანგრევაზე, აქ საუბარია სულისა და მორალის დანგრევაზე. ვის სჭირდება ეს, ვინ დგას ამის უკან და ვინ აფინანსებს მათ?

– როცა დემოკრატიაზე საუბრობენ, ამას ყველა სათავისოდ აღიქვამს. ***არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩვენია, ჰომოსექსუალიზმის დანერგვა. ჰომოსექსუალიზმი შეიძლება იყოს მიღებული და, ასე ვთქვათ, წახალისებული, ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩინეთია, მაგრამ საქართველოში გამორიცხულია. მე ახლა ამას წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით ვამბობ და არა მორალურით. როცა ჩვენი დემოგრაფია პრაქტიკულად არ არსებობს, რა ჰომოსექსუალიზმზეა საუბარი!*** მაგრამ, რომ გამოხვიდე და განაცხადო ამის შესახებ ტელევიზიით, გეტყვიან – ხომ გინდოდათ დემოკრატია და აი, ეს არისო.

– კი მაგრამ, მე თუ ეს არ მინდა, ამით ჩემი უფლებებიც ხომ ირღვევა?

– თქვენ თუ არ გინდათ, ნუ გააკეთებთ, მათ უნდათ და ისინი გააკეთებენო, – ასე გეტყვიან. როცა დემოკრატია შემოჰქონდათ, ვინ აუხსნა ხალხს საერთოდ, რას ნიშნავდა და რას მოიცავდა იგი? ჩვენს ხალხს უნდოდა კაპიტალიზმი, მაგრამ კაპიტალიზმი ესმოდათ, როგორც ის მდგომარეობა, რომელშიც შენახული შერჩებოდათ და კიდევ ერთი ან ორი მერსედესი დაემატებოდათ. მაგრამ ასე არ არის. ***როგორ შეიძლება საქართველოში გამოდიოდეს გაზეთი, რომელშიც ვიღაც ჰომოსექსუალის მონოლოგია წარმოდგენილი, რომელიც აღწერს, თუ რა ძნელია ამ ქვეყანაში მისი ყოფა და არსებობა, თუ როგორ ვერ უგებს ეს ველური ხალხი მას და სად არის აქ დემოკრატიაო. მათთვის მხოლოდ ესაა დემოკრატია. აი, ასეთი დემოკრატია შემოიტანა საქართველოში იმ ხროვამ, რომელიც დღეს ქვეყნის სათავეშია მოქცეული.*** ამიტომ, როცა ვწერ და ვამბობ, რომ საქართველო იღუპება, ვგულისხმობ არა მხოლოდ ეკონომიკურ პრობლემებს. უნდა გადავარჩინოთ ქართველი ერი ფიზიკური განადგურებისა და ზნეობრივი დაცემისგანაც.

– რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაში გატარდა ორგანიზაცია „ცისარტყელას" სახელწოდებით, თუმცა ეს ინფორმაცია ჯერ გადასამოწმებელია.

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ასეც იქნება. წარმოიდგინეთ, როცა ასეთი წერილები იბეჭდება პრესაში და ამგვარი ორგანიზაციები ყალიბდება, ხალხში კი ღიად საუბრობენ ჩვენი ხელისუფლების მაღალი წარმომადგენლები მორალურ სახესა და მიდრეკილებებზე, რა ქნას მოქალაქემ, რომელსაც შეიძლება არ უნდა და არ სჯერა ასეთი რამეების, მაგრამ თვალნათლივ ხედავს, რომ ამგვარი მიდგომა სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა? ასეთ ვითარებაში ეს მოქალაქეები, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, ადვილად შესაძლებელია ძალაუნებურად დაემორჩილოს ამგვარ დინებებს.

– სად ხედავთ გამოსავალს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მხრივ?

– რუსეთს ძალიან უჭირს ეკონომიკურად, მაგრამ ასეთ გაჭირვებაშიც კი ყველა რესურსი გააჩნია იმისათვის, რომ საქართველოს უმნიშვნელოვანესი პრობლემები მოუგვაროს, მაგრამ ამისათვის საჭიროა კეთილი ნება. ***შევარდნაძესთან რუსეთის არც ერთ გავლენიან წრეს აღარ სურს საუბარი, ამიტომ ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ საჭიროა, გვყავდეს ამ ამოცანისთვის შესაფერისად დაკომპლექტებული მთავრობა. მასში უნდა შედიოდეს პიროვნებათა ჯგუფი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობაში რეალურად მოაგვარებს საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებს.***

ამასთანავე, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ: ***იმისათვის, რომ მთავრობამ იმუშაოს ხალხის და არა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროა, მივიღოთ კანონი სახელმწიფო მოხელის პირადი პასუხისმგებლობის შესახებ.*** როცა მე ამას ვამბობ, მეუბნებიან, რომ ეს არადემოკრატიულია და მსგავსი რამ არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ ხდება, მაგრამ არც ერთი დემოკრატიული ქვეყანა არ იღუპება ისეთი ტემპით, როგორითაც იღუპება საქართველო. ***როდესაც პიროვნება აცხადებს, რომ იქნება პრემიერ-მინისტრი, აყალიბებს მთავრობას, პარლამენტს წარუდგენს თავის პროგრამას, ბოლოს უნდა თქვას: თუ ვერ შევასრულებ ან არ შევასრულებ ჩემ მიერ წარდგენილ პროგრამას, თქვენ შეგიძლიათ დამსაჯოთ. მაგრამ როგორ უნდა დაისაჯოს, თუ კი კანონი ამის შესახებ არ გაგვაჩნია? როცა ქვეყანა ასეთ კრიტიკულ მომენტში იმყოფება, ხალხი იღუპება, ხელისუფლება კი თავის დანაპირებს ვერ ან არ ასრულებს, უნდა შემოვიღოთ ხელმძღვანელი პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.***

რიგით მოქალაქეს არ აინტერესებს, რატომ ვერ შექმნა ლეკიშვილმა ან ჟვანიამ მილიონი სამუშაო ადგილი. მოქალაქეებს საკუთარი მთავრობა ძარცვავს, ატყუებს, იჭერს და ხოცავს. ამის შემდეგ გამოვა პრეზიდენტი და იტყვის, რომ ყველაფერში დამნაშავეა პრემიერ-მინისტრი ან მთავრობა და გადააყენებს მას. მათ კი ამ დროისთვის იმდენი ფული აქვთ ნაშოვნი, რომ სულ არ აინტერესებთ პოლიტიკური პოსტი. ასეთ შემთხვევაში ამოქმედდებოდა აღნიშნული კანონი და ის პრემიერი, მინისტრი თუ დეპუტატი იმდენივე ხნით ჩაჯდებოდა ციხეში, რამდენი ხანიც ხელისუფლებაში ბრძანდებოდა, საკუთარი ქონების სრული კონფისკაციით. განა ეს უსამართლობაა?! ასეთი კანონი აუცილებელია. ამას მე ხაზგასმით ვამბობ! ეს კანონი ჩვენ იმაშიც დაგვეხმარება, რომ ამდენი დეპუტატობისა და მინისტრობის კანდიდატი აღარ იქნება. ამდენ ადამიანს აღარ ექნება სურვილი პარლამენტში შესვლისა და იქ ჯიბის გასქელებისა. ასე რომ, ეს კანონი სასიცოცხლოდ სჭირდება ქვეყანას.

– კიდევ ერთხელ მინდა გალის მოვლენებს შევეხო. სადაცაა შემოდგომა დადგება. ეს ადამიანები კი ღია ცის ქვეშ, კარვებში ცხოვრობენ. თქვენი აზრით, რა ეშველება მათ, რა უნდა გააკეთოს მთავრობამ?

– კიდევ ერთხელ მინდა ოფიციალურად განვაცხადო: ***გალიდან წამოსული ხალხის სასწრაფოდ დაბრუნება საკუთარ სახლებში შესაძლებელია. მე ამის თაობაზე პრეზიდენტს შევუთვალე და მან ეს იცის, მაგრამ მას ეს, როგორც ჩანს, არ აინტერესებს.*** ის რამდენიმე ადამიანი, რომლებიც ამას ვითავებთ, თუ ვერ შევასრულებთ დანაპირებს, პასუხისმგებლობას ვიღებთ საკუთარ თავზე და მზად ვართ, ამისათვის დავისაჯოთ. შევარდნაძემ ეს იცის, მაგრამ მას არც ჩვენი პასუხისმგებლობა აინტერესებს და არც ღია ცის ქვეშ დარჩენილი გალის მოსახლეობა. მას აქვს აღებული კურსი და იგი ამ კურსით სვლას ბოლომდე გააგრძელებს.

ესაუბრა თინათინ შანშიაშვილი,
1998 წელი

ქართველური ენები და "ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ"

(ქართველი "ფუტ-ლინგვისტები" და „ერთობლივი საქართველოსთვის" მებრძოლი მათი ისტორიკოსი მიმდევრები)

მინცი თოფი გილუღ, მარა
იშენ ვარე მონადირე,
შხვაშ ნოტყელც გაზუმინუ,
მუჭოთ ჭანდი – მოლადირე,
თოლი არძას ალაბრსხუნა,
მარაზღვა-ქვინც აკაორწყე...
ჭიფელია ჭინიშ ღობერ
სქვამას ირკოც ვაწკირორწკე.
(ლაშა ბახარია, მეგრული პოეზია)

2. დიასპორა – **„ვფიქრობთ... ახალი ეთნიკური უმცირესობების (დიასპორის) სტატუსი უნდა მიენიჭოს რუსეთის ოკუპაციის პერიოდში განხორციელებული დემოგრაფიული ექსპანსიის პირობებში საქართველოში ჩამოსახლებულ მიგრანტებს, რომელთა რაოდენობა საერთო მოსახლეობის 1% შეადგენს",** აგრძელებენ ავტორები და სომხების, აზერბაიჯანელების და რუსების გარდა არავის არ უშვებენ ამ ჯგუფში, თანაც იციან რომ, **„ენების ქარტია"** დიასპორის ენებზე არ ვრცელდება.

3. ახალი მიგრანტები: ყველა დანარჩენი (არც მათზე ვრცელდება **„ენების ქარტია"** – გ.ო.) თავიანთი ახალი **„აღმოჩენით"** კმაყოფილები აგრძელებენ: **„ამა თუ იმ სახელმწიფოს გამოცხადება მრავალეროვნულ სახელმწიფოდ უნდა მოხდეს, ამ ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ობიექტური ისტორიისა და საერთაშორისო სამართ- ლებრივი აქტების საფუძველზე მინიჭებული აქტების მიხედვით... ლოგიკურია, მულტიეთნიკურად გამოვაცხადოთ ისეთი სახელმწიფო, სადაც ბევრი ავტოქთონი ეთნიკური ჯგუფი სახლობს: ასევე გარკვეული კონსესუსის საფუძველზე, ქვეყანა მრავალეროვნულად შეიძლება ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, თუკი აქ სახლობს თუნდაც ახალი თუ ძველი ისეთი უმცირესობა, რომლის პროცენტული მაჩვენებელი ერთს აღემატება"** (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, რ. შეროზია – 2010, გვ. 163).

რამდენადაც **"ბევრი ავტოქთონი ჯგუფი"** კი არა, ავტორების საზომით ჩვენთან საერთოდ არ სახლობენ ავტოქთონი ჯგუფები, ხოლო **"ძველი თუ ახალი უმცირესობა"** 5-თიც რომ იყოს, მაინც არ არის ავტორებისთვის **"ბევრი"**, მათთვის დამახასიათებელი ალოგიკურობიდან **„ლოგიკური"** დასკვნა გამოქვთ: **"შესაბამისად ტერმინოლოგიური შესიტყვება "მულტიეთნიკური ქვეყანა" საქართველოსთვის შეუსაბამოდ მიგვაჩნია"**-ო. თუ ვინმე იკითხავს, **"თუნდაც 6"**-იდან რატომ უნდა დაიწყოს "მულტიეთნიკურობა", ასე გვიხსნიან ამოცანას: "საქართველო ჩვეულებრივ სახელმწიფოდ უნდა მივიჩნიოთო, სადაც 2-3 ეთნიკური უმცირესობა და ასევე რამდენიმე დიასპორა ცხოვრობს". (ე.დადიანი, თ.ფუტკარაძე, რ.შეროზია – 2010, გვ.167). თუ რომელიმე მათემატიკოსი გაბედავს და ამათი 2-3-დან პლუს რამდენიმე, 6-ს გამოიყვანს, რა თქმა უნდა, ქვეყნის მოდალატე და რუსული იმპერიის სამსახურში ჩამდგარი მეცნიერი იქნება.

თქვე დალოცვილებო არ დაგემადლებიათ, ან აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის დირექტორის თ. გვანცელაძის ხათრით მაინც მოგეხვედრებიათ **„ენების ქარტიაში"** რა მოხდებოდა, ასე თუ გეცოდებათ, სხვაგან დაიდუპებიან უჩვენოდო? – გ.ო.

თავიანთი მიმდევარი ისტორიკოსების მიერ ჩამოყალიბებულ ისტორიას გულისხმობენ – გ.ო. ჩვენს ქვეყანას რომ გაუწიეს რეკომენდაციები **"ენების ქარტიის" "გამოსაყენებლად"** ავტორებმა, ახლა სხვა სახელმწიფოებისთვისაც მოიცალეს: **"ევროპის საბჭოს დოკუმენტებში, კერძოდ ავსტრიისა და სომხეთის მიერ "ენის ქარტიის" რატიფიკაციის დოკუმენტებში, სხვა ტექნიკური ხასიათის შეცდომებიც ვნახეთ, რომლებიც გასწორდა "ენის ქარტიის" სამდივნოსადმი... მიწერილი ტ. ფუტკარაძის წერილის შემდეგ"** – გვამცნობენ წიგნის ავტორები.

სომხები კიდევ გასაგებია, მეზობელი ხალხია, აწუხებს მათი ბედი ბატონ ფუტკარაძეს, მაგრამ ავსტრიელებიც რომ გადაურჩენია? შეცდომების გასწორებას ვინ ჩივის, რეკომენდაციებსაც არ ერიდებიან ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის და თურქეთის სახელმწიფოების მიმართ, თანაც ზოგადი ხასიათისას კი არა, პირდაპირ მუხლების მითითებით, იმ მუხლებისა, ჩვენთან რომ არავის აღირსეს შიგ მოხვედრა. ერთი ირანი გადარჩა მარტო, **"ევროსაბჭოს"** წევრი ქვეყანა არ არისო. თუმცა ერთი დასკვნა მაინც გააკეთეს, ირანელებმა ძალით წაიყვანეს ქართველები თავისთან და ამიტომ მეტი მოტივაცია უნდა ჰქონდეთ, რომ მიხედონო?! მივყვეთ თანამიმდევრულად: **"ქართველები დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცხოვრობენ. უდავოა, რომ ქართველები ავტოქთონ ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ, თურქეთსა და აზერბაიჯანში, ვინაიდან მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საზღვრების გავლების შემდეგ, ავტოქთონი ქართველობის ნაწილი აღმოჩნდა თურქებისა და აზერბაიჯანელების დომინანტობით შექმნილი სახელმწიფოების საზღვრებში".** (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, რ.შეროზია, 2010, გვ. 168).

1. აზერბაიჯანი – **"უეჭველი ფაქტებით დასტურდება, რომ თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სამ რაიონში კომპაქტურად ცხოვრობენ ავტოქთონი ქართველები (ინგილოები). შესაბამისად ამ ქვეყანაშიც ქართულ ენაზეც უნდა გავრცელდეს ქარტიის მესამე ნაწილი".**

2. თურქეთი – ავტოქთონი ქართველები (ლაზები/ჭანები, მაჭახლელები, ლივანელები, იმერხევლები და ტაოელები) ლაზებისა და გურჯების სახელებით ცხოვრობენ ტრაპიზონისა და ართვინის გუბერნიებში; ბევრი ქართველი ცხოვრობს თურქეთის ცენტრალურ რეგიონებშიც. შესაბამისად, ქართული ენის სახესხვაობების მიმართ უნდა ამოქმედდეს **"ქარტიის" მესამე ნაწილი – უმცირესობების ენის დაცვის მაღალი ხარისხი – the higher level"** (ე. დადიანი, ტ. ფუტკარაძე, რ.შეროზია, 2010, გვ. 168).

მე მგონი ამათზეა ზედგამოჭრილი **"თავხედობას საზღვარი არა აქვსო"**, **„უნდა"**-ს ნაცვლად, სასურველია ამოქმედდესო – რომ გეთქვათ, უფრო კორექტული არ იქნებოდა? ანდა საქართველოში, რომ არავინ არ გააკარეთ **„ქარტიას"**: თქვენებური **"ავტოქთონობა"** ძვ.წ. მე-6 საუკუნიდან რომ დაიწყო, ანდა თქვენი კვერის-დამკვრელი ისტორიკოსების საშუალებით ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა არაქართველი თანამემამულეები თურმე **"180-300 წლის წინ შემოხიზნულები"** რომ ყოფილან და არცერთ მათ ენას არ აღირსეთ **"ენების ქარტიაში"** მოხვედრა, რადა სხვებთან ითხოვთ მოკლედ, ავსტრიისა და სომხეთის მთავრობებისგან **"ღირსების ორდენი"** თუ არა, მადლობის წერილი მაინც თუ მიიღო ბატონმა ფუტკარაძემ, ამას საიდუმლოდ ტოვებენ ავტორები – გ.ო.

სახესხვაობებეზე არ ვრცელდება ენების ქარტიაო, რომ უხაროდათ აქამდე – ეხლა საკუთარ მახეში ეგებიან – გ.ო. მაინცადამაინც მესამე ნაწილს. თქვენი საქციელის მერე, მეორე ნაწილშიც (უმცირესობების ენის დაცვის დაბალი ხარისხი – the l ower level) რომ მოხვდნენ, ამაზეც მადლობელი არ უნდა იყოთ?

ანდა, ასე მარტივად გასატარებელი თუ იყო ქარტიის დებულებები სხვაგან (ორ აბზაცში), ეს 200-გვერდიანი წიგნი და ბევრი სხვა ასეთი, რაზე დაწერეთ, პირდაპირ გეთქვათ: **„ენების ქარტია"** კარგია, მაგრამ საქართველოში არ უნდა გატარდეს, იმიტომ რომ საქართველოში:

1. არ გვყავს ეთნიკური თუ ეროვნული უმცირესობები;

1.1. თუ გვყავს ისინი არ არიან ავტოქთონი (ანუ ძვ. წ. 6 საუკუნემდე ჩამოსულები);

1.2. ისტორიული უმცირესობები კი გვყავს, მაგრამ ისინი არ შეადგენენ საქართველოს მოსახლეობის 1%;

1.2.3. ვინც 1%-ზე მეტს შეადგენს „აშკარად ემიგრირებულებია 180-300 წლის წინ" და მათ დედაენას საფრთხე არ ემუქრება, იმიტომ რომ მეზობელ სახელმწიფოებში მათ ენაზე ლაპარაკობენ და...

1.3. ყველა დანარჩენები არიან დიასპორები ან აშკარად ემიგრირებულები და მათზე კი **„ენების ქარტია"** არ ვრცელდება.

გია ოკუჯავა

(გაგრძელება იქნება)

ზურაბ აბაშიძე: „არის იმედი, რომ რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს გაამარტივებს"

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის განცხადებით, რომელიც მან საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა, რუსეთი საქართველოსთან სავიზო რეჟიმს უახლოეს პერიოდში გაამარტივებს.

„არის იმის იმედი, რომ ის განცხადებები, რაც რუსეთის მხრიდან გაკეთდა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ, რეალურად უახლოეს პერიოდში ამუშავდება. ვიზების გაუქმებაზე საუბარი არ არის, ლაპარაკია მხოლოდ გარკვეული კატეგორიებისთვის ვიზების გამარტივებაზე",– განაცხადა აბაშიძემ.

გარდა ამისა, აბაშიძის ინფორმაციით, სექტემბრამდე ლარსის საბაჟო-გამშვები პუნქტი 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს, რაც რუსეთის ბაზარზე ქართული ტვირთების იოლად გატანას ემსახურება.

მისივე თქმით, სავიზო რეჟიმის გამარტივება პროფესიულ, ასევე ბიზნეს და ნათესაურ კავშირებს შეეხება.

საქინფორმი

მომავალში რუსეთი მთელი მსოფლიოს გამოკვებას შეძლებს

40 მილიონი ჰექტარი გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების მფლობელ რუსეთს შეუძლია შვრიის მთავარი მიმწოდებელი გახდეს. ახლა მხოლოდ **რფ** და აფრიკა ფლობს გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო მიწების საკმარის რაოდენობას. ამიტომ აუცილებელია, რუსეთი სურსათ-სანოვაგის წარმოებაში რევოლუციის ავანგარდში მოექცეს. ასე მიაჩნია კომპანია **„ბაზოვი ელემენტის"** აგრობიზნესის დირექციის მმართველ დირექტორ ანდრეი ოლეინიკს.

მისი თვალსაზრისით, მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიას სერიოზული შეჯანჯღარება ესაჭიროება. პროდუქტების მიწოდების შემცირება და მათზე გაზრდილი მოთხოვნა ნიშნავს, რომ სექტორმა უნდა აამაღლოს პროდუქტიულობა და გააფართოვოს სათესი ტერიტორიები. ხოლო რაკიდა კვების პროდუქტების ყველაზე დიდ მსოფლიო მიმწოდებლებს ასათვისებლად არასაკმარისი მიწები აქვთ, რუსეთს კი 40 მილიონი ჰა, მას შეუძლია მსოფლიოში შვრიის მთავარ მიმწოდებლად იქცეს და საკვების მიწოდებასა და მოხმარებას შორის მსოფლიო ბალანსი შექმნას. ამასთან, თვალუწვდენელი ტერიტორიები და კლიმატური ზონების მრავალფეროვნება რუსეთს გარკვეულწილად სამომავლო დაცვით უზრუნველყოფს. კლიმატის შესამჩნევი ცვლილების პირობებში წარმოების გადატანა ქვეყნის სამხრეთიდან სხვა რეგიონებში შეიძლება,– ასკვნის ოლეინიკი.

„საქართველოს მოსახლეობამ უნდა მაპატიოს..." – ედუარდ შევარდნაძის მორიგი მონანიება

გაზეთ **„ასავალ-დასავალისთვის"** მიცემულ ინტერვიუში საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ საქართველოში უკანასკნელი კვირების განმავლობაში მიმდინარე დაპატიმრებები კანონის სრული დაცვით ხდება. **"არავის აქვს შემონახული ის კადრები, როგორ იჭერდნენ თავად, ღამით ოჯახებიდან როგორ გამოჰყავდათ ტრუსებით ადამიანები, როგორ აწიოკებდნენ მათ ოჯახებს და მცირეწლოვან ბავშვებს?! აჩვენეთ ეს კადრები სააკაშვილს და მის გუნდს, გაახსენეთ, და იმედია, მიხვდებიან, რას ნიშნავს პოლიტიკური ანგარიშსწორება!.**

...ბედავენ კიდეც იმის თქმას, რომ თურმე ბაჩო ახალაია, ეს "პატრიოტი" კაცი, ვაშლის გათლისთვის დაიჭირეს. ხალხმა კარგად იცის, თითოეულ მათგანს რა დანაშაული მიუძღვის ქვეყნის წინაშე", – აცხადებს ედუარდ შევარდნაძე და დასძენს, რომ 2007 წლის 7 ნოემბერს ხელისუფლებამ საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა. **"ხელისუფლებას, რომელმაც ისტორიას ისეთი სამარცხვინო ფაქტი შემატა, არც შეიძლებოდა სხვაგვარი პოლიტიკური მომავალი ჰქონოდა!**

მე სააკაშვილზე საერთოდ აღარ მინდა ლაპარაკი, თუმცა მისი ბრძანების გარეშე 7 ნოემბერი რომ არ იქნებოდა, ეს ცხადია...

...მოკლედ გიპასუხებთ – უნდა მაპატიონ!" – პასუხობს შევარდნაძე ჟურნალისტის ბოლო შეკითხვაზე – შეუნდობს თუ არა მას საქართველოს მოსახლეობა, რადგანაც სააკაშვილი სწორედ მან **"დაგვიტოვა"**.

კარგია, თუნდაც ღრმა სიბერეში რომ მაინც შეიგნებს პოლიტიკოსი თავის დანაშაულა, და არა **"შეცდომას"**, როგორც ამას ზოგიერთები მიიჩნევენ, რადგან ბუნებით ცბიერ ედუარდ შევარდნაძეს ცხოვრებაში შეცდომა არასოდეს დაუშვია და იგი ყოველთვის მიზანდასახულად ახორციელებდა ვერაგულ გეგმებს ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ჯერ ცეკას პირველი მდივნობისას, შემდეგ კი პრეზიდენტობის პერიოდში. ხოლო როგორი სისასტიკითა და არაადამიანობით დაეუფლა იგი საქართველოს პრეზიდენტის პოსტს, ეს უკვე კარგად იცის სრულიად საქართველომ.

ასე რომ, ერთი, თუნდაც გულწრფელად ნათქვამი ბოდიში ვერ ჩამორეცხავს შევარდნაძეს პოლიტიკური ავანტიურიზმის ლაქას!

ᲐᲜᲓᲔᲠᲡ ᲤᲝᲒ ᲠᲐᲡᲛᲣᲡᲔᲜᲘ: „ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ“

ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის განცხადებით, რომელიც მან ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტუდენტებთან შეხვედრაზე გააკეთა, მიმდინარე წლის მიწურულს პრეზიდენტი სააკაშვილი საპრეზიდენტო ვადას დაასრულებს და მას ყველანი გაიხსენებენ, როგორც დემოკრატიის მშენებელს.

„გასული წლის ოქტომბერში საქართველო მოწმე გახდა ძალაუფლების მშვიდობიანი გადაბარების და ეს მინდა მივულოცო პრემიერ ივანიშვილს. ამასთან, უნდა აღვნიშნო პრეზიდენტ სააკაშვილის ღვაწლიც, რადგან პოლიტიკოსის რეალური საზომი გახლავთ არა ის, თუ როგორ მოიპოვებს ძალაუფლებას, არამედ სწორედ ის, თუ როგორ გადასცემს მას. ამ წლის ბოლოს პრეზიდენტი სააკაშვილი დაასრულებს საპრეზიდენტო ვადას და ჩვენ ყველანი, მისი შემცვლელიც და პრემიერიც მას მოვიხსენიებთ, როგორც დემოკრატიის მშენებელს. ეს გახლავთ ერთადერთი ნიშანი იმ ბრწყინვალე მომავლისა, რომელიც საქართველოს ელოდება“, – განაცხადა რასმუსენმა.

მაგრამ ბევრად უფრო თავზარდამცემი იყო რასმუსენის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს **ნატო**-ში მიღების საკითხს ეჭვის ქვეშ აყენებს სექსუალური უმცირესობის მიმართ ხალხის მიერ გამოჩენილი აგრესია, 2013 წლის 17 მაისს, როცა პედერასტებს გეი-აღლუმი უნდა გაემართათო.

გამოდის, რომ რასმუსენისათვის არაფერს ნიშნავს ჩვენი ბიჭების მიერ ავღანეთში დაღვრილი სისხლი, როცა საქართველოს ბევრად მეტი საგარეო გასაჭირი ადგას, ვიდრე ავღანეთს. რასმუსენისთვის არც ის ნიშნავს არაფერს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ქვეყანაში დაამკვიდრა ადამიანების გაუსამართლებლად მკვლელობის, არაადამიანურად წამებისა და გაუპატიურების სისტემური პრაქტიკა და შექმნა ღირსების მოკვლის მანქანა, არც ის, რომ სააკაშვილი და მისი გარემოცვა მილიარდობით თანხებს პარავდნენ საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას. რასმუსენს ალბათ არც ის შეაწუხებს, პატარა ბავშვს რომ ამზერინეს, მიშას ზონდერებმა როგორ გაუუპატიურეს მამა ბილიარდის კიით! მის მეუღლეს, ქალბატონს კი ხელებს უფათურებდნენ ქმრის თვალწინ, ეუბნებოდნენ, რომ ახლა შენც გაგიერთიანებთ ყველაფერს და გაგაუპატიურებთო.

ყველაფერი ეს ხომ დოკუმენტურადაა ასახული იარაღის სამეგრელოს სამალავიდან ამოღებულ ფირებში, რომლის სახილავად ყველას არ ყოფნის ნერვები?!

მოკლედ, რასმუსენმა ასეთი მესიჯი გამოგვიგზავნა: ფეხებზე გვკიდია ავღანეთში დაღუპული ბიჭები და ისიც, სააკაშვილი დემოკრატიას აშენებდა თუ დიქტატურას, ქართველებს კლავდნენ, აწამებდნენ თუ აუპატიურებდნენ, მიშას და მის ნაძირალებს ხელი არ ახლოთ, **ნატო**-ში კი მანამ არ მიგიღებთ, ვიდრე მთელი ერი არ გაპიდარასტდებითო!

მაპატიეთ, მაგრამ უკან გაითხარონ ამგვარი **ნატო** რასმუსენმა და მისნაირმა ევროპელმა გადაგვარებულებმა!

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲠᲘᲜᲐ

ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ

ᲜᲐᲗᲔᲚ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ვერ შეველიე ბექობზე ყიალს,
ვითარცა ბავშვი მთლად მიამიტი;
ნამოსახლარის ქვები რომ ყრია
და ნამსხვრევები ძველი კრამიტის.
დადუმებულა ძველი ურთხელი,
საუკუნე რომ ზიდა ჭაპანი;
სტუმარს ხვდებოდნენ ლოცვა-კურთხევით
და პურ-მარილით მამა-პაპანი.
ჰოი, დროებავ დაუნდობელო,
ვის რად არგუნე ბედი აშარი?!
სადაა ბაბუ, ნანავ მშობელო,
რად განისვენებს ძვლები მაშვრალი?!
არ ვიცი განა, დროსთან ომშია,
გულში იჭვები არ ჩაისახოთ;
ბუნებრივია მიწას რომ შია,
მოყვასი უნდა გარდაისახოს.
მადლი მივაგოთ მადალ პერსონას,
რადგან სიცოცხლეს მარად აღადგენს;
საფუძველს უყრის ახალ პერსონაჟს,
რაზეც ცხოვრება მუდამ ღაღადებს.
ნამოსახლარის იმ წინა კართან
მდგარი ხეები დღეს თუ ოხრავენ,
შთამომავალნი იმ წინაპართა
წარუძღვებიან „დუდი ოხვამერს“.
სიცოცხლე განა არსის ნებაა,
ზენა ავალებს ამას მისიად;
თუ გარდასახვა განსვენებაა,
კვლავაც სიცოცხლის დასაწყისია!
ვით მონათლული თვალთა ჭრილები
და მაინც წყაროს რინას უგრძელებს;
გადაბარდულა ლეშქაშ-ჭალები,
ბაბუ, აქ იყო შენი წყურგილე!
შარავანდედიც რაოდენია?!
ჩემი ბავშვობის სულის წყაროსთან
მე ქედის მოხრას კი არ ვთაკილობ;
ვეძებ, ვერ ვპოვე აქვე საროს თავს,
ზედ წამოცმული ხერკე-აყირო.
ვერ შეაჩერებს ვერა სადავე
წყურვილს, ვით წყაროს ქვა და ხერგილი,
მეც დავეწაფე ცხოველ სათავეს,
დიახ, ორივე მუხლმოდრეკილი!
ბავშვის გონება, ვითარც ის წყარო
სულის სავანე, თან ხელთ უხლები...
სადაა ნეტავ, ო, სანუკვარო:
მაგ დალოცვილი შენი მუხლები?!
მყავდა ბებიაც საამო ძიძად;
მზეც ოქროსფერად ჩემთვის ბზინავდა.
ვაგლახ, როდესაც გამომეღვიძა:
სამარადისოდ უკვე გძინავდათ!
... ხან მოგონება ნირვანა მაწევს,
ხანაც ვით რვალი გულზე მდნობარი...
შთამომავლობა ჯიხვის რქას ასწევს,
რომ შესვან შენი შესანდობარი.
ნამოსახლარი სიცოცხლის ეშხით,
აკურთხე ზენავ, კვლავაც აგვეგსოს...
აი, იმ მადლის ფანტომი პეშვით:
შენს ორანს ბაბუ უნეტარესო!
აფრქვიე, ზენავ, ყოფის ჭიუხებს,
მწირად იმეტებს რასაც დროება:
თავისუფლება, მოდგამთ სიუხვე,
სამშობლო, რწმენა და სასოება!
ენა ლაზური, კოლხეთის ეშხი,
ეგ სიტყვა რატომ დავაგვიანე?..
სიცოცხლე მარად მზე – სამოთხეში:
რინა, ორანო და მატიანევ!

P. S.

ო, რა ძნელია ამოსათქმელად,
გული ვერ უძლებს ამ დიდ ბორიას...
როგორც ვულკანი ამოსაფრქვევად
ავტორი ითხოვს აუდიტორიას!
სიცოცხლის ძალას იმით მიაგნეთ:
სინდისი იყო თქვენი ქონება;
ის რაც თაობას გულით მიაგეთ,
გახდა ავტორის ზეშთაგონება.
თუ წუთისოფლის ჩვენ ვართ ხიზანი
და შემეცნებით აქ აღვიკაზმეთ:
შთამომავლობა არის მიზანი,
სიცოცხლის ფასი დედამიწაზე.

ᲑᲣᲠᲐᲛ ᲯᲘᲫᲘᲐ.
ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ, ს. ᲚᲔᲡᲘᲭᲜᲔ.

ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲑᲕᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲐ

2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც "ლიბერთი ბანკში" გახსნილია ანგარიში. GE36LBO111199431911000 (პ.ა. ლიანა გახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაურ გახარია.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-226

"ამგვარად, დავით აღმაშენებლის მიზანი ნათელი იყო: გადაექცია გელათი მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად. გელათის აკადემია დაარსებული უნდა იყოს 1106-1110 წლებში, ე. ი. ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობის გასრულებამდე" (როინ მეტრეველი, გელათი-მეორე იერუსალიმი და ახალი ათენა, გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2006, 20 ივლისი, №139, გაგრძელებები იმავე გაზეთის 21 და 22 ივლისში №140 და 141-ში.).

მეფე დავით IV აღმაშენებლის ინიციატივით ქუთაისის ახლოს, ულამაზეს ადგილას, ტყიან ფერდობზე, გელათში აშენებულია ტაძარი (გელათი – გენათი), სადაც დაარსდა გელათის აკადემია. საზღვარგარეთიდან, პეტრიწონიდან მიწვეულ იქნენ ქართველი მეცნიერები არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, მწერლის, ჰიმნოგრაფის, არსენ იყალთოელის (ვაჩნაძე, რომელმაც განათლება მანგანის აკადემიაში მიიღო) ინიციატივით, იყალთოში დაარსებულა აკადემია (1114 წ.), რომელიც დიდ სამეცნიერო და საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. აღნიშნული, უმაღლესი სასწავლებლებით უმაღლესი განათლების ახალი ეტაპი იწყება საქართველოში.

ამ პერიოდში – XI-XII საუკუნეებში საქართველო წარმოადგენდა ძლიერ გაერთიანებულ ქვეყანას, რამაც განაპირობა ეკონომიკურ და პოლიტიკური აღმავლობა. ამ პერიოდის ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ის, რომ 1122 წელს დავით აღმაშენებელმა იერიშით აიღო თბილისი და **„გაანთავისუფლა იგი 400 წლიანი ტყვეობისაგან. ამით დამთავრდა საქართველოს გაერთიანება. დავითმა სამეფო რეზიდენცია ქუთაისიდან თბილისში გადმოიტანა და თბილისი კვლავ საქართველოს დედაქალაქი გახდა".**

ხალხური გადმოცემებით, იყალთოს აკადემიაში სწავლობდა გენიალური შოთა რუსთაველი. ამ სახელგანთქმულ აკადემიებს, რომლებიც უმაღლეს სკოლებს – უნივერსიტეტებს წარმოადგენდნენ, მჭიდრო კავშირი ჰქონდა საბერძნეთის სამეცნიერო ცენტრებთან. გადმოცემით გრემშიც ყოფილა მსგავსი უნივერსიტეტი – აკადემია.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გელათის უნივერსიტეტი, რომელიც დავით IV აღმაშენებლის სულიერების ნაყოფი იყო. მას მართლმადიდებლური სამყაროს იერუსალიმს და ათინას უწოდებდნენ, ხშირად ათონზე მეტსაც – გელათი იყო იმდროინდელი, წინა აზიის აღიარებული, სახელგანთქმული უნივერსიტეტი. გელათის აკადემია **„სხვა ათინად"** და **„ახალ ჰრომად"** (რომად) იწოდებოდა. აკადემიებში ასწავლიდნენ თავისი დროის დიდი მეცნიერები, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსები იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. მანამდე იოანე პეტრიწი მოღვაწეობდა შუა საუკუნის ქართული კულტურის კერის პეტრიწონის (ბულგარეთი, როდოპის მთები, ახლანდელი ბაჩკოვო) სემინარიის ხელმძღვანელად, რომელიც 1088 წელს ააშენა და დააარსა გამოჩენილმა ბიზანტიელმა მხედართმთავარმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ, წარმოშობით ქართველმა გრიგოლ ბაკურიანისძემ (ბაკურიანმა). პეტრიწონი მაშინდელი ბიზანტიის იმპერიის საზღვრებში მდებარეობდა და იქ ძმებმა გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეებმა ქართული მართლმადიდებლური მონასტერი ააგეს, მამულში, რომელიც, მათ თავიანთი სამხედრო და პოლიტიკური წარმატებების ჯილდოდ მიიღეს ბიზანტიის იმპერატორისაგან უძველესი თრაკიის მიწაზე. უბრწყინვალეს სამონასტრო კომპლექსში შედიოდა პეტრიწონის სემინარიაც, სადაც საქართველოდან ყოველწლიურად იგზავნებოდა 6-6 ნიჭიერი ბავშვი სასულიერო და სამეცნიერო-კულტურული საქმიანობის შესასწავლად. ჩანს, რომ სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რადგან საქართველოდან გაგზავნილ ყმაწვილთა სწავლებას ხელმძღვანელობდნენ ქართველი მწიგნობარი ბერები. შუა საუკუნეების ქართული კულტურის კერა – პეტრიწონის სამეცნიერო სკოლა საქვეყნოდ სახელგანთქმული იყო. პეტრიწონის მწიგნობრებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენაში. მონასტერში გადაწერილმა, შექმნილ-შედგენილმა წიგნებმა განსაზღვრეს ქართული ინტელექტი, უნარი-ნიჭი. პეტრიწონელი სკოლის ერთ-ერთმა თავკაცმა, იოანე პეტრიწმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო გელათის აკადემიას (უნივერსიტეტს).

მონასტერს მზრუნველობას არ აკლებდნენ გრიგოლი, აბაზი და მათი ოჯახის წევრები. ამ სავანეშია ბაკურიანთა ოჯახის საძვალე. ასევე, როგორც ითქვა, გიორგი ათონელმა (მთაწმინდელმა), 80 ობოლი ბავშვი წაიყვანა აღსაზრდელად, მაგრამ მალე აღესრულა კონსტანტინოპოლში და მისმა მოწაფეებმა და აღსაზრდელებმა სასუფეველი ათონზე მიუჩინეს.

იოანე პეტრიწთან ერთად გელათის აკადემიაში სამოღვაწეოდ შავი მთიდან მოუწვევიათ იოანე ტარიჭისძე და თეოფილე ხუცეს-მონაზონი. მათთან ერთად აკადემიაში ვხედავთ ეფრემ მცირეს, იეზეკიელს და სხვა. აკადემიებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. გარდა ღვთისმეტყველებისა, გელათის უნივერსიტეტში ისწავლებოდა შვიდი დისციპლინა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, რიტორიკა, მუსიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და როგორც მასალებიდან ჩანს მედიცინაც – სნეულთათვის, აკადემიის ახლოს არსებობდა საავადმყოფო, სადაც წვრთნას ღებულობდნენ ექიმები.

აკად. როინ მეტრეველი ამბობს: **„ასე რომ სრულიად შესაძლებელია დავით აღმაშენებლის ქსენონი და ეს უკანასკნელი – სამონასტრო და სასწავლო სამშენებლო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო"**, რომ **„ქსენონის გელათში არსებობა იძლეოდა საფუძველს გელათის აკადემიაში მედიცინის სწავლების არსებობის ვარაუდისათვის"** (**როინ მეტრეველი,** გელათი – მეორე იერუსალიმი და ახალი ათინა. 900 წელი გელათის აკადემიის დაარსებიდან, გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2006, 22 ივლისი, №141, დასაწყისი იხ. იგივე გაზეთის 20 და 21 ივლისი. №139 და 140.).

გელათში დაიწერა და ითარგმნა არაერთი მეცნიერული თუ სხვა დარგის თხზულება. სწორედ გელათს იოანე შავთელი ახალ რომს უწოდებდა.

გელათის აკადემიის წინამძღვარი, რექტორი ანუ მოძღვართ-მოძღვარი-მასწავლებელი, ცნობილი პიროვნება იყო. მას მეფე დიდი პატივისცემით ხვდებოდა და დიდად ზრუნავდა აკადემიაზე, უბოძებდა მამულებს და სხვა სიმდიდრეებს.

ცნობილია, რომ განათლების კერები ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. ბერთას, ოშკის, ოპიზის, შატბერდის, ხანძთის და სხვა მონასტრების გვერდით იყო განსაკუთრებული ნაგებობები, რომლებიც სემინარია-სკოლებისათვის იყო განკუთვნილი.

გელათის სამონასტრო კომპლექსში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს აკადემიის მსმენელთა ქვის მერხები. აკადემია გელათში მე-16 საუკუნემდე არსებობდა, შემდეგ კი შენობა მეფეთა სატრაპეზოდ გადააკეთეს.

როინ მეტრეველი წერს: **„გელათის აკადემიის შესასვლელის გვერდით, მესამე სართულზე არის ოთახი, რომელიც არ ყოფილა გადახურული. როგორც ჩანს, აქ ღამღამობით ცდომილებზე დაკვირვება ხდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, გელათის მიდამოებში „დოხორეს"** (დოხორე, მეგრულად **„სამოსახლო"** ადგილია, – კ. შ.) **მთაზე იდგა კოშკი (ამჟამად მხოლოდ ნანგრევია შემორჩენილი), საიდანაც ვარსკვლავებს აკვირდებოდნენ".**

როდესაც XII საუკუნის დამდეგს (ათიანი წლები), ქუთაისის მახლობლად გელათში აკადემია და ტაძარი აშენებული იყო, დასავლეთი საქართველო მეგრულენოვანი იყო, ეპისკოპოსებს მაშინაც და შემდგომშიც **„გენათელი ეპისკოპოსები"** ერქვათ, მოსახლეობის და სასულიერო პირთა სალაპარაკო ენა მეგრული იყო. დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ენა კი V საუკუნიდან ქართული ენა იყო.

უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება, სავაზირო ემორჩილებოდა მეფეს. იგი შედგებოდა შვიდი სავაზიროსაგან, მეფის შემდეგ, მეორე პირი იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი. ჭყონდიდის ეპისკოპოსი გიორგი ჭყონდიდელი სათავეში ედგა აღმასრულებელ ხელისუფლებას (დღევანდელი პრემიერ-მინისტრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). პირველი ვაზირის გარეშე სათათბიროში არანაირი საკითხი არ გადაწყდებოდა. ის იყო უმაღლესი მოსამართლე-მსაჯული (სააჯო კრების თავმჯდომარე). ორშაბათობით იღებდა მომჩივანთ და სიმართლეს განაჩენდა. პირველი ვაზირი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი განაგებდა რელიგიის საქმეს მთელ ქვეყანაში, საქართველოს გადასარჩენად მრავალი წარმატებული ბრძოლების მხედართმთავარი, ჯვრითა და ხმლით, საქართველოს უკვდავების გულმხურვალე მლოცველი და მებრძოლი.

საეკლესიო-საგანმანათლებლო კერებს შორის ბრწყინავდა ჭყონდიდი (**„დიდი მუხა"**), რომელიც აგებულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე (უფრო VII საუკუნეში), დღევანდელ მარტვილის რაიონში. როგორც ჩანს, სწორედ აქ, საქართველოში, ქრისტიანობის პირველი გამავრცელებელი სიმონ კანანელი და ანდრია პირველწოდებული ქადაგებდნენ ქრისტიანულ მოძღვრებას.

X საუკუნეში მარტვილ-ჭყონდიდში აფხაზთა მეფე გიორგი II-ის (923-958) დროს არსებობდა ჰიმნოგრაფიული სკოლა, სადაც მოღვაწეობდნენ იოანე მინჩხი და სტეფანე სანანოის ძე.

სწორედ ასეთ საეკლესიო კერასთან იყო დაკავშირებული მესია მეფის, წმინდანის, დიდი დავით აღმაშენებლის სულიერი მოძღვარი, აღმზრდელი, გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე გიორგი ჭყონდიდელი (გიორგი ბედია – ჯერ მონაზონი, ბერი, შემდეგ ეპისკოპოსი). საქართველოს მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა ქუთაისი – გეგუთი. და იქვე ახლოს, დიდებული ჭყონდიდელი იყო მეფისწულის აღმზრდელი, მოძღვარი. ამ კერაში, სამეგრელოს ერთ-ერთ ცენტრში, მოღვაწეობდნენ დიდი მასწავლებელი და იწრთობოდა დიდი მოსწავლე – გიორგი ჭყონდიდელი და მეფე დავით IV.

როგორც ითქვა, გიორგი ჭყონდიდელი იყო არა მარტო უფლისწულის აღმზრდელი, არამედ სააჯო (სასამართლო) კარის თავმჯდომარე, ქვეყნის პირველი ვაზირი, მწიგნობართუხუცესი, დავით აღმაშენებლის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მიერ გატარებული საეკლესიო და სხვა სახელმწიფო რეფორმების თანაავტორი. მემატიანის თქმით ჭყონდიდელი მეფესთან **„თანა-აღმზრდელთან"** ერთად იყო მეფე დავით IV-ის **„თანა-გამკაფელი ყოველთა გზათა", „ყოველი გზათა და საქმეთა და ღვაწლთა"** მოზიარე, კაცი სრული ყოველთა სიკეთითა სულისა და ხორცთა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა განზრახი სვიანი და ფრთხილი" (იხ. **როინ მეტრეველი,** ჯაბა სამუშია, ზაზა აბაშიძე, სტატია სათაურით: **"გიორგი ჭყონდიდელი – საქართველოს დიდი შვილი: კაცი სრული ყოვლითა, სულითა და ხორცითა..."** გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2005, 22 ივლისი, №172.).

ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა განაჩინა (2005 წლის 22 ივნისი): წმინდანთა დასში შეირაცხოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოში ფართოდ ვითარდებოდა ისტორიული მეცნიერება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლეონტი მროველის, ჯუანშერის, ბასილის და ბევრ სხვათა გამოკვლევები. ასევე უცნობი ავტორის **„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"**, დავით აღმაშენებლისა და თამარის უცნობი ისტორიკოსების ნაწარმოებები, რომლებშიც შესანიშნავად აღწერდნენ საქართველოს სახელმწიფოს ოქროს ხანას.

საქართველოს ასეთი დიდი წარმატება შემზადებული იყო მრავალსაუკუნოვანი კულტურით. ამას ისიც ადასტურებს, რომ საქართველოში დიდად იყო განვითარებული ხელოვნების სხვადასხვა დარგები – არქიტექტურა, ფერწერა, ჭედურობა ოქროსა და ვერცხლზე, ქანდაკება, ბელეტრისტიკა. საქართველოში მოღვაწეობდნენ სახელგანთქმული მწერლები – იაკობ ცურტაველი, იოანე საბანისძე, გიორგი მერჩულე, სტეფანე მტბევარი, ექვთიმე და გიორგი ათონელები, სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, იოანე შავთელი, ჩახრუხაძე, ქართული პოეზიის გვირგვინი შოთა რუსთაველი.

ქართული მწერლობა, ქართველი ხალხის შემოქმედება მჭიდრო ფერხულში იყო ჩაბმული მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევებთან, რომ მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევების გამოყენება ყოველთვის ხდებოდა ეროვნული შეგნებისა და თვითმყოფადი, დამოუკიდებელი კულტურის ამაღლების საფუძველზე. ქართული მონასტრები უცხოეთში ფუძნდებოდა ისეთ ადგილებში, სადაც განათლების კერები იყო, რომლებიც ინტენსიურად იქმნებოდა VI საუკუნიდან. ივ. ჯავახიშვილი ამბობდა: **„ქართველთა მონასტრები სინას მთაზე და პალესტინაში, შავ მთაზე, ანტიოქიის მახლობლად, ათონზე და პეტრიწონში სწორედ ის დაწესებულებანი იყვნენ, რომელნიც საქართველოს მაშინდელ დაწინაურებულ ქვეყნებთან აერთიანებდნენ. მათის წყალობით ქართველობას უცხოეთში ქრისტიანული კულტურის წიაღში წარმოშობილი ყველა ახალი მიმართულების, ახალთახალი შესანიშნავი თხზულებებისა და გამოჩენილი მოღვაწეების შესახებ ცნობები ჰქონდა ხოლმე"** (**ივანე ჯავახიშვილი**. ქართული უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, მოხსენება, წაკითხული 1917 წლის 12 მაის თბილისში და 17 მაისს ქუთაისში, თსუ შრომები, 1948, გვ. 4.).

ქართველი ხალხის სწავლა-განათლების მაღალი დონის მაჩვენებელია, ადრე განვითარებული ფეოდალური ხანის ბრწყინვალე არქიტექტურული ანსამბლები – მცხეთის ჯვრის მონასტერი, გელათი, ბედია, იყალთო, შიომღვიმე, იკორთა, წუდრუდაშენი, ყინწვისი, ქვათახევი, სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი, ხელთუქმნელი ვარძიის საოცარი ქალაქი კლდეში და მრავალი სხვა.

დიდმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა შალვა ნუცუბიძემ გამოკვლევებში **„ფსევდო დიონისე არეოპაგელის საიდუმლოება"** – ეს მასალა განმეორებით იმიტომ მოვიტანე, რომ მკითხველს გვინდა გავახსენოთ, ამ საკითხზე თბილისის უნივერსიტეტში მიმდინარე დისკუსიები. შ. ნუცუბიძე, ერთ-ერთ პაექრობაზე, საბოლოო სიტყვით გამოსვლის დროს ამბობდა: ჩემო კოლეგებო, მეგობრებო, ქართველებო, მიპასუხეთ, რას ვაკეთებ ცუდს, თუ ვამტკიცებ, რომ ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებათა ავტორი არის ქართველი განმანათლებელი პეტრე იბერი, აქ ხომ ქართული საქმე კეთდება და თქვენ ასე გამწარებით, უსაფუძვლოდ რატომ მებრძვით? ცხოვრებამ, მომავალმა დაამტკიცა, რომ შ. ნუცუბიძის დებულება ჭეშმარიტი იყო.

სამწუხაროდ, ასეა დღესაც: როგორც ვიცით, როცა კრამერი ამტკიცებს, რომ ქართული ასო-ნიშანი, ქართული ანბანი პირველი დამწერლობაა, დამწერლობის საათავეა; ამას ამტკიცებს ბევრი ქართველი მეცნიერიც, მაგრამ, ვიმეორებ, სხვა ქართველი მეცნიერები მას წინ აღუდგნენ, არა ჩვენ ქართველები, პირველები არა ვართო.

ქართველ მწერალს, მკვლევარს გასავ გასვიანს დავესესხები და ვიტყვით: **„როდის მერე გვაქვს თავისთავში ასეთი დაუჯერებლობა, ქართველებო"?**

შალვა ნუცუბიძე ამბობდა, რომ პეტრე იბერი კოლხეთის აკადემიის მეცნიერული იდეებისა და ტრადიციების მემკვიდრე და გამგრძელებელია, ხოლო ქართველებს – კოლხებს – ლაზებს (ჭანებს) მსოფლიო ცივილიზაციის მებაირახტრებად თვლიდა.

კლიმენტი შელია,
პროფესორი, მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში

“კვესიტაძე და პაიჭაძე მონანიების ბანაკში უნდა წავიდნენ”

დიდი რუსი ფსიქოლოგი ბერდიაევი მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ მქონე პაციენტის ფსიქოლოგიური წნეხისაგან განთავისუფლების სურვილს განმარტავს, როგორც **“Стереть образ”**. ფსიქიატრის უწყინარი პაციენტისათვის ეს წიაღსვლა ფაქტიურად გახლავთ რეალობისათვის თავის არიდების ასევე უწყინარი სურვილი, მაგრამ როცა საქმე გაქვს შენი კოლეგებისა და თანაპარტიელების მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ, აქ უკვე საქმეში ერთვება თვითგადარჩენის ინსტინქტი და ნამდვილად გინდა დაივიწყო წარსული, სამუდამოდ დაემალო იმ შავ ლაქას, რომელიც უხვადაა გადღაბნილი იმ მრავალფერიან კოლექტიურ ფოტოზე, რასაც **“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** ეწოდება.

თუმცა, წარსულის მძიმე მოგონებისაგან თავის არიდების კიდევ ერთი გზა არსებობს – მონანიება, მაგრამ ეს ეხება სულიერი სიმაღლეებისაკენ სწრაფვის მქონე ადამიანებს, და არა ისეთ ვიგინდარებს, როგორიც სააკაშვილი და მისი თანამზრახველები არიან. ერთ-ერთი იმ ნაციონალთაგანი, რომელმაც ბოდიში მოიხადა ქართული საზოგადოების წინაშე ნაციონალების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა გამო და დასტოვა ეს გველების ბუდე, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს ფრაქცია **“ნაციონალური მოძრაობის”** ლიდერი კოკი იონათამიშვილი გახლდათ. ეს, მაგალითისთვის, თორემ აღნიშნული სულ სხვა საუბრის თემაა და ჩვენ მას მალე დავუბრუნდებით...

ახლა გვინდა გესაუბროთ იმ ნაციონალური სიმახინჯის თაობაზე, რომელსაც საქართველოს ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებელი გახლავთ, რომელიც ხალხის მიერ შეკოწიწებული ბიუჯეტით ფინანსდება და, ამდენად, ვალდებულია დაიცვას საზოგადოების და არა **“ნაციონალებად”** წოდებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ინტერესები. მაგრამ, სააკაშვილმა და მისმა ნაცებმა ხომ ყველაფერი ყირაზე დააყენეს საქართველოში, და, სამწუხაროდ, გამონაკლისს არც საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, უზნეო ნაცები ჩვეული უტიფრობით ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მიუკერძოებელი ორგანიზაცია არისო. და ეს ხდებოდა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მიმდინარე პოზიტიური პროცესების არაობიექტურად გაშუქებისათვის საზმაუწყებლიდან გამოაბუნძურეს საინფორმაციო დეპარტამენტის დირექტორი ხათუნა ბერძენიშვილი. ნაცებმა **“თავიანთ”** ქალს გული არ დაწყვიტეს და კრწანისის რაიონის გამგებლად დანიშნეს ეს აშკარად არაკეთილსინდისიერი ადამიანი.

აი, რა გახლავთ ნაციონალების სიმართლე!

ახლახან კი მოხდა კიდევ ერთი კონფლიქტი, რამაც საბოლოოდ გამოააშკარავა ნაციონალთა **“საზმაუწყებლის”** ნამდვილი სახე.

შინაგან საქმეთა მინისტრთან მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა ტელეკომპანია **“პირველი არხის”** ჟურნალისტებმა ეკა კვესიტაძემ, დავით პაიჭაძემ და არასამთავრობო სექტორის რამდენიმე წარმომადგენელმა – კახა კოჟორიძემ, ნინო ლომჯარიამ და ეკა გიგაურმა დატოვეს. როგორც ჟურნალისტებს ეკა კვესიტაძემ განუცხადა, მისი პროტესტის მიზანი გახდა **“ცირკი”**, რომელიც შეხვედრაზე ირაკლი კაკაბაძემ და შალვა რამიშვილმა მოაწყვეს. მედიის წარმომადგენლებს შორის უთანხმოება გამოიწვია საკითხმა, ეჩვენებინათ თუ არა დღევანდელ შეხვედრაზე ვიდეოკადრები. შეხვედრას ესწრებოდნენ ჟურნალისტი შალვა რამიშვილი და პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე, რომლებმაც მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ხსენებული წარმომადგენლების გაღიზიანება გამოიწვიეს. შევეცადეთ, უფრო კონკრეტულად გაგვერკვია, თუ რა მოხდა შეხვედრაზე...

ირაკლი კაკაბაძე: – არ ვიცი, რა აწუხებთ ეკა კვესიტაძესა და დათო პაიჭაძეს, ან ვისზე რა აქვთ სათქმელი, როდესაც წლების განმავლობაში სააკაშვილის **“საჟურნალისტო ბორდელში”** მუშაობდნენ... რა კომენტარი უნდა გავუკეთო მის სიტყვებს, მათთან საუბარი საერთოდ უღირსობაა. ისინი მონანიების ბანაკში უნდა წავიდნენ, რათა წლების განმავლობაში მათ მიერ ჩადენილი დანაშაული მოინანიონ. ორივენი, კვესიტაძესა და პაიჭაძეს ვგულისხმობ, სისხლის სამართლით უნდა გასამართლდნენ... სინამდვილეში იცით რა მოხდა, მათ ამ შეხვედრის ჩაშლა უნდოდათ და ამაში ყველა ის ადამიანი დამეთანხმება, ვინც მათი პოლიტიკის გამზიარებელი არ არის. ისინი პროვოკატორობდნენ და ცდილობდნენ, აქცენტები სხვა რამეზე გადაეტანათ. არადა, ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო მინისტრთან, ძალიან საინტერესო კითხვები დაისვა, სანამ ისინი პროვოკაციას დაიწყებდნენ, მაგრამ რა ქნან, მიშას რეჟიმის ნარჩენები არიან და ასე უნდა გააგრძელონ, რათა თავიანთი არსებობა გაამართლონ.

– როგორ დასრულდა შეხვედრა, ნახეთ ის კადრები? რა შთაბეჭდილებით დატოვეთ იქაურობა?

– შეძრწუნებული ვიყავი, რადგან თვალებს არ ვუჯერებდი ისეთ საშინელები ვნახე... ეს არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული და სანამ სასამართლო პროცესები არ დაიწყება, არ გავჩერდები. მინისტრსაც ვთხოვე, შეიქმნას **“სიმართლის კომისია”**, სადაც ის ყველაფერი გამოაშკარავდება, რაც 9 წლის განმავლობაში კეთდებოდა... კონკრეტული გვარებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ეს იყო სააკაშვილის სისტემის დანაშაული. რომელიც კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს. ისე კი, კვესიტაძისა და პაიჭაძის ადგილზე, ღმერთმა დამიფაროს მათ ადგილზე ვიყო, სირცხვილით თავს ვერ გამოვყოფდი...

შალვა რამიშვილი: – ვწუხვარ, ქალბატონზე რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ ეკა კვესიტაძე ალბათ ფსიქიური აშლილობის ზღვარზეა, იმიტომ, რომ ღმერთი, რჯული, მე არანაირი მონაწილეობა იმ კამათსა და დავიდარაბაში არ მიმიღია. პირიქით, მე ერთ პირს, რომლის სახელისა და გვარის გამხელისგან თავს შევიკავებ, მთელი ძალისხმევით ვაჩუმებდი და ვეუბნებოდი, რომ ქალბატონთან ასეთი ემოციური საუბარი არ ღირდა. მე ჩუმად ვიყავი და მისი მისამართით, ხმაც არ ამომიღია, თუ იმ გაჩუმების მცდელობას არ ჩავთვლით. ამიტომ, მგონია კვესიტაძის მხრიდან, როდესაც მე რაღაცაში მადანაშაულებს, რაღაც პრობლემასთან გვაქვს საქმე, შეიძლება ისე არის ჩემით მოცული, რომ ყველგან რამიშვილი ელანდება. ეს მისი პრობლემაა...

– მაშ რატომ დატოვეს ამ ადამიანებმა შეხვედრა?

– რაც შეეხება იმას, თუ რატომ დატოვეს, კვესიტაძემ, პაიჭაძემ, კოჟორიძემ და სხვებმა შეხვედრა, ისინი, გულის სიღრმეში გრძნობენ, რომ წლების განმავლობაში **“აპრავებდნენ”** იმ რეჟიმს, რომელიც ასეთ რაღაცებს ჩადიოდა. ამიტომაც მე მესმის მათი, ისინი ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან და ასეთ შემთხვევაში, როდესაც სულ უფრო ბევრი ირკვევა და ადეკვატური შეფასება მიეცემა იმ ხელისუფლების **“ღვაწლს”**, მათი მდგომარეობა მძიმდება. რაც შეეხება, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მათი გაღიზიანება იმით იყო განპირობებული, რომ მათ ასეთი პრობლემის მიმართ განსხვავებული პასუხისმგებლობა აკისრიათ. შეიძლება მათ სურდათ, რომ როდესაც ამ საკითხზე მსჯელობას დაიწყებდნენ, ემოციურად დაცულები ყოფილიყვნენ.

– “კონსტიტუციის 42 მუხლის” წარმომადგენლის თქმით, ვიდეოფირების იდენტიფიცირება შეუძლებელი იყო...

– ძალიან მძიმე საყურებელი კადრები იყო. ყველა სახე სრულად იყო დაფარული და თუ მანამდე არ იცოდი, ამ კადრების აღბეჭდილი ადამიანი ვინ იყო, მისი ინდენტიფიცირება შეუძლებელი იყო.

ლ. პაპასკირი

“მთავარია არ დაკარგო რწმენა საკუთარი თავისა...”

დაუნდობელი და უსამართლოა ხოლმე წუთისოფელი: ისე დაჩაგრავს დიდბუნებოვან კაცსა, რომ ყველა სურვილს გაუწბილებს, მერე მოუსავლეთის გზაზეც შეაყენებს და ისე გაისტუმრებს, უკან აღარც მოახედებს. მაგრამ სულით ძლიერი ადამიანები სიცოცხლის ბოლო წუთამდე ინარჩუნებენ ვაუკაცურ შემართებას.

“– არ შეგაშინოს ცხოვრებამ თავისი მრისხანებით, არ შეგაშინოს იმან, რომ დღეს ყოველ კეთილ აზრს, ყოველ კეთილ წამოწყებას ბოროტება ათასგვარი სახით ეღობება წინ, უკრავს გზას და უძნელებს ფრთების გაშლას. ეს იმის ნიშანი კი არ არის, რომ ვითომდა ბოროტებამ გაიმარჯვოს ქვეყანაში. არა! მალე მოელოდე იმ ნეტარ დროს, როცა დაემხობა სიცრუე, სიძულვილი, მტრობა და მონობა. წამოდგება გამარჯვების სიყვარული, სიმართლე და თავისუფლება და სილამაზე... არ დაგეკარგოს რწმენა და იმედი... არ შეგაშინოს შრომამ, ტანჯვამ... არ შეგაშინოს თვით სიკვდილმა, თავისი საზარელი სახით... არ გადაუხვიო შენს არჩეულ გზას... არ უმტყუნო პატიოსან სიტყვას... ყველაზე უფრო მთავარია – არ დაკარგო რწმენა საკუთარი თავისა...” – ასეთი სიტყვებით დაემშვიდობა ერთგულ მეგობარს, პავლე აკობიას სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული 25 წლის ჭაბუკი ალექსანდრე მესხია. გარდაიცვალა იგი 1903 წლის 17 მარტს, სოფელ ობუჯში.

მისი ბიოგრაფია ძალიან მოკლეა: დაიბადა 1878 წელს სოფელ ობუჯში. 1896 წელს დაამთავრა ზუგდიდის სამოქალაქო სასწავლებელი, რის შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა სოფლის სამრევლო სკოლაში. 1899 წელს გაემგზავრა შვეიცარიაში და სწავლა განაგრძო ჟენევაში. უსახსრობის გამო იძულებული გახდა დაბრუნებულიყო სამშობლოში, მაგრამ არ ინდომა სამსახურში შესვლა, დაიწყო მიწის დამუშავება, შვეიცარიიდან ჩამოყვანილი ფუტკრის ოჯახის მოვლა-პატრონობა, ხელის მანქანით შალის ქსოვა და ამით შოულობდა ლუკმა-პურს, თავისუფალ დროს კი კითხულობდა და წერდა. როგორც პავლე აკობია იხსენებს – ალექსანდრე ოცნებობდა ადამიანთა ბედნიერებაზე და ამბობდა: **“გავაბედნიეროთ კაცი და გაბედნიერდება მთელი კაცობრიობა”**. სწავლას მოწყურებული ჭაბუკი თავდაუზოგავად ცდილობდა მომზადებულიყო საზოგადო მოღვაწეობისათვის, როგორმე განეგრძო სწავლა, რათა სიღარიბით გატანჯულ ხალხს გამოსდგომოდა. საქმიანობაში დიდად მუყაითი იყო და ერთხელაც წვიმიან დღეს ყანაში მუშაობისას ძლიერ გაცივდა, ფიზიკურად დასუსტებული ლოგინად ჩავარდა და მალე გარდაიცვალა.

მხოლოდ მერე მიხვდნენ ყველანი, თუ როგორი ნიჭიერი ახალგაზრდა კაცი დაჰკარგეს, მანამდე კი დიდად ახირებულ ვინმედ მიაჩნდათ.

აი, როგორ სწერს მეგობარს, ამის შესახებ, თვით ალექსანდრე: **“არ ეტევა ჩემს გულში იმდენი მაქვს სათქმელი. მინდა კიდევ რამდენიმე ხანს ვემზადო, რომ მომზადებული გამოვიდე ცხოვრებაში, მაგრამ გზა შეკრულია, – მთელი ჩემი ძალ-ღონე ლუკმა-პურის ძებნას უნდა მოვანდომო და საქმე როგორ ვაკეთო? მე მინდა თავისუფლება, მინდა წიგნები, მინდა რომ ვიკითხო ცხოვრების წიგნი. მინდა, მაგრამ ვინ მოგაცლის, რომ შენ ისწავლო?! ხედავდე თავის მოვალეობას და არ გქონდეს დრო, რომ ემსახურო საკუთარ მოვალეობას. აი, ყველა უბედურებაზე უარესი უბედურება... ნეტავი შემეძლოს უყურადღებოდ დატოვება მისი, შემეძლოს დავიწყება მისი, რაც მე გულში მიტრიალებს, მაშინ რა მიჭირს? მხოლოდ მასშია ჩემი უბედურება, რომ ვერ ვახერხებ მის დავიწყებას, რაც პატარაობიდან შეზრდილია ჩემთან. არ შემიძლია გულგრილად ვუყურო მოძმეთა ტანჯვას – ამ ქვეყნის ყველა უკუღმართობას; არ შემიძლია გულგრილად ვუყურო იმ არასასურველ მოვლენებს, რომელნიც ხდიან კაცებს არაკაცებად, – მე მაწუხებს სისხლი და ცრემლი მაღალი არსებისა – კაცისა. ტანჯული კაცობრიობა გვეძახის: “მოგვეშველენითო” – არ შემიძლია თავი მოვიყრუო, – არ ვუსმინო მის მოწოდებას; არ შემიძლია არ ვუსმინო და, ამავე დროს, არ შემიძლია დავეხმარო, ვუშველო! – ეს კი მტანჯავს, ძმაო, აუტანელი სატანჯველით. – ვიფიქრე მემოქმედა იმ წრეში მაინც, რომელშიც ვარ, დავიწყე ლაპარაკი ჩემს სოფელში, მაგრამ შეხედე, ძმაო, ჩემს უბედობას, ჩემმა მეზობლებმა, ნათესავებმა და მთელმა სოფელმა სულელის სახელით მომნათლეს.**

– თუ მხრებზე ჩინები არ გაკერია, თუ არ გაქვს ბრწყინვალე ფოლაქები, არ გაქვს კაკარდი და მედიდურად არ გამოიყურები, – შენი საქმე წამხდარია – შენ ან სულელი ხარ სოფლის თვალში, ანდა გლახა, რომელიც, მათის აზრით, კაცის წოდების ღირსი არა ხარ”.

დიდი პატივი მიაგო პავლე აკობიამ, ამ ღვთისნიერმა, კეთილშობილმა მოღვაწემ თავისი ახაგაზრდა მეგობრის ხსოვნას. 1905 წელს მან გამოსცა წიგნი: **“თავგადასავალი, წერილები, აფორიზმები ალექსანდრე მესხიასი”**, რომლის შესახებ იგი წერს: **“ალ. მესხიას ქართული ჩანაწერებიდან ამოვკრიფე რამოდენიმე მის მიერ მოკლე-მოკლედ გამოთქმული აზრები; რუსულიდან არაფერი არ გადამითარგმნია, ნაწერებში ვნახე სამი დაწყებული მოთხრობა; რუსულ რვეულებზე დაწერილია – “Мои искания”, რომლებიც წარმოადგენენ ფილოსოფიურ აზრთა კრებულებს”.**

შთამომავლობას მხოლოდ ის დარჩა, რაც პავლემ მეგობრისადმი მიძღვნილ წიგნში შეიტანა, სხვა ნაწერები კი, ოჯახში რომ ინახებოდა, ჟამთა სვლაში დაკარგულა.

გაზეთ “ᲝᲚᲝᲠᲘᲡ” რედაქციისაგან: წინამდებარე წერილი ჯერ კიდევ 1997 წელს გამოაქვეყნა ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივით დაფუძნებულმა ჟურნალმა “ᲐᲘᲐ”-მ, რომელმაც ასევე მოიძია ალექსანდრე მესხიას აფორიზმები, რომლის ნაწილსაც ვთავაზობთ ჩვენ მკითხველებს:

“ნუ ვაქებთ ბოროტებას, სიცრუეს მიტომ, რომ ჩვენ ანუ ჩვენი საყვარელი, ჩავდივართ მას. ნუ ვაძაგებთ კეთილს და სიმართლეს იმიტომ, რომ ჩვენ ანუ ჩვენს საყვარელს არ შეგვიძლია ამით ხელმძღვანელობა.

ვაძაგოთ ბოროტება, სიცრუე; ვაქოთ სიკეთე, სიმართლე ყველამ, ყველგან – შინ და გარეთ: გზაზე, მინდორში, ხალხის ყრილობაზე... ერთი სიტყვით, ყოველ იმ ადგილას, სადაც კი გვეყოლება მსმენელი. მივაჩვიოთ საზოგადოება სისწორეს, რომ საზოგადოების ხმამ მოაბრუნის წადმა ჩვენი ცხოვრების ბორბალი”.

“სიცოცხლე არის საქმე... სიცოცხლე არის ბრძოლა... ბრძოლა შეუძლებელია ისე, თუ არ არიან ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალები კაცს აქვს ორი მხარე – კეთილი და ავი, – გამარჯვებული ავი – დატანჯული კაციც, გაიმარჯვებს კეთილი – გაბედნიერდა კაცი”.

“სიცოცხლე საყვარელია; არსებობის საგანი – ამ საყვარლის ტრფიალებაა”.

“ოქრო არის ყველა იარაღზე მჭრელი და ყველა იარაღზე უფრო ადვილად კაცთა მკვლელი”.

“ყველა მდიდრები ვიქნებოდით, რომ იმდენად ხელმოჭერილი ვიყოთ სხვა საქმეში, რამდენად ხელმოჭერილი ვართ საქველმოქმედო საქმეში”.

“თუ ორი მეზობელი ერთმანეთს ეფერება – ეს იმას ნიშნავს, რომ ორივეს ერთი მტერი ჰყავს”.

“ნუ აკეთებ, ძმაო, იმისთანა რამეს, რაც სარგებლობას არ მოუტანს შენს მოყვასს”.

“ქვეყანაზე მხოლოდ სამი სარწმუნოებაა:
პირველი – ყაჩაღური,
მეორე – პირმოთნეული,
მესამე – ქრისტეანული”.

“სიყვარული თვით კანონიც არის და კანონმდებელიც”.

“ბუნებისგან ჩვენ ვისჯებით იმიტომ, რომ იმ ბუნების ძალას ჩვენს სასარგებლოდ არ ვხმარობთ”.

“ჩვენს სიცოცხლეს რომ რაიმე დანიშნულება არ ჰქონდეს, რა საჭირო იყო თვით სიცოცხლე?!”.

“წინამძღოლნი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამბობენ ერთს, აკეთებენ მეორეს. ამიტომაც ხალხი ამბობს ერთს – აკეთებს მეორეს. დრო არის არ ატყუებდნენ კაცები თავიანთ თავს და არც სხვას. დროა, დავიწყოთ საქმის კეთება...”

“ბრძენი იმდენად თავმდაბალია, რომ იფიქრებ: ის სწავლობს სხვებისგან და არა ის ასწავლის სხვებსო”.

“უბედურება სულმოკლე კაცის დამცემელია და სულგრძელის ამამაღლებელი”.

“ის კი არ არის უფროსი, ვინც უფროსობს, არამედ ის, ვინც ღირსია უფროსობისა”.

ხალხის ნდობას თვალისჩინივით სჭირდება გაფრთხილება

ყველა სპეციალობის ხელმოცარული, გაკოტრებული, თუნდაც თაღლითი წარმომადგენელი პოლიტიკოსობაში ეძებს ყბედობისა და ქარაფშუტა ქაქანის ასპარეზს. ისინი ბევრნი არიან. ნამდვილი სახით მათი დანახვა პირველ ეტაპზე არც თუ იოლია. პოლიტიკოსობის ნიღაბს დიდი მონდომებით ირგებენ, რამეთუ ხალხის გაბითურების, მოტყუების და ძარცვის მექანიზმი აქ უფრო ეფექტურად მუშაობს. მთავარია, რომელიმე რეიტინგულ პარტის მიეწებო და მისი ავტორიტეტი ისე მოწოვო, როგორც წურბელა სისხლს წოვს ჯანსაღი სხეულიდან.

ტელეეკრანებიდან იბჟუტურე ყოველგვარი აბდა-უბდა. თუ ვინმე ოპონენტი დაგისვეს საკამათოდ, სიტყვის თქმა არ დააცადო; ილაპარაკე ყველაფერზე, რაც შენ თვითონ არ იცი და ვერც მსმენელი გაიგებს რამეს, სამაგიეროდ გამარჯვებულად ჩაითვლები, რაკიღა მარტო შენ იქადაგე. დაგესევიან კორესპონდენტები და შენც მარჯვნივ-მარცხნივ ფანტე ინტერვიუები. ახლა ტელეშოუებზე მიგიწვევენ და შენი დამზრალი გოგრის იუმორით ამცნე მაყურებელს, რომ აქაც ისეთი უმარილო ხარ, როგორც პოლიტიკაში.

მოდას უნდა აჰყვე. ეს კი იმაში მდგომარეობს, რომ აუცილებელია ევროატლანტიკური სივრცისკენ სწრაფვა; ნატოში შესვლის საღერღელაშლილი მოთხოვნა; ავღანეთში სისხლის ღვრით სამშობლოს დაცვა. ეს ყველაფერი უნდა მომდინარეობდეს რუსეთის ოკუპანტობის აკომპანირებით; თუ პუტინზე ხაბაზივით ბილწად შეიგინები, მაშინ ხომ უდრეკ პოლიტიკოსად შემორჩები გაპოლიტიკებულ თაღლითთა გალერეას.

შენი დასკვნები ყველაფერზე გააკეთე, რაშიც ვერ ერკვევი. მერე რა, ლუარსაბ თათქარიძემ წიგნი რომ არ იცოდა, ფერი აკლდა თუ ხორცი, ყველაზე მცოდნედ ვერ მოჰქონდა თავი? სანამ პოლიტიკაში ხარ, ყველაზე გავლენიანთა გვერდით ისუნსულე და მათთან ყოფნით ჩრდილი მიაყენე რეიტინგული პარტიის ავტორიტეტს. მთელი შესაძლებლობით ეცადე ხალხისთვის თავდადებულად გასაღდე. მაღალ ხმაზე იღრიალე – **საქართველო**! რადგან ამას ღრიალებს ისიც, შენ რომ ატალახებ და შენ რომ გატალახებს. ყოველგვარი შეპირებები ფანტე მარჯვნივ და მარცხნივ, რაც არ გაქვს და არც გექნება. ოღონდ იცოდე, ხალხს არაფერი ეშლება და რომ გითმენს – ეს ავანსია. იზრუნე საკუთარ კეთილდღეობაზე, მოიხვეჭე რასაც კი შესძლებ; გაიბღინძე და გაიბერე იმ დონეზე, რომ გასკდომას ცოტაღა დაგაკლდეს. ნუ დაივიწყე, რომ შენც მოგიწევს მაგ პრივილეგიების დათმობა და შერცხვენილი, აღრე თუ გვიან, გამობუნძულდები ბღენძის ქონიან ნაჭუჭიდან, რათა იქ ახლა სხვა შენნაირი შეძვრეს. დაჯექ და კვნიტე რაც მოიხვეჭე და გაფრენილ ძალაუფლებაზე ისინანულე.

ილუზიებით დაბანგულს ადამიანთა ბედის მართვის სადავეებთან ყოფნა მუდმივი ნუ გგონია. შენი ხუშტურების ნებაზე არ უნდა აჯირითო ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, ნურც ის დაგავიწყდება, რომ დრო სიმართლის მოკავშირეა.

სულ ასე იქნებოდნენ, ეგონათ ნაციონალებს და წაიტეხეს კიდეც კისერი. შინაგან საქმეთა მინისტრი – მერაბიშვილი დიდი ქადილის შემდეგ ცეხეში მოხვდა და ახლა ჩადენილი ცოდვების ამონთხევის სტადიაშია. როგორი ბრძნული ფრთოსანი ნათქვამია: დიდებიდან არარაობამდე ერთი ნაბიჯი რომ არის. იყო რაობის ილუზიებში და შემორჩა არარაობის სინამდვილეს. წუთისოფლის წარმავალობა კი ყველაზე ძლიერ თანამდებობით გაზულუქებულ ბოროტ სულიერს უგრეხს კისერს.

უდანაშაულო დანაშაულთა შეკერვის ოსტატი მერაბიშვილი ახლა თვითონ ხის საკანში და მის ფართს ნაბიჯებით ზომავს და უსასრულოდ გაწელილ დროს მახრჩობელა ჭაობში ფართხალებს.

რა ბედნიერია სიკეთით ნაკურთხი ადამიანის ამქვეყნიურობა. განა მძარცველია, მომხვეჭელის, მუცელღმერთა ეგოისტი კარიერისტია გაბღენძილი ფაფხური შეედრება მის მოკრძალებულ ყოფას?! ადამიანური ადამიანი კი გამუდმებით უნდა ცდილობდეს, რომ მის ამქვეყნიურობას გაბოროტების ჭუჭყი არ მოეცხოს, თორემ მრავალი სიკეთის ჭავლით ვეღარ ჩამორეცხავს მას და, თუ საბოლოოდ დაადგა ადამიანურობის საამაყო ძნელ ბილიკს, გაბოროტებისაკენ დროებით გადახვევის გახსენება მწარე სინანულად შემორჩება მის არსებობას, თორემ ბოროტ, ვერაგ, უძღებ სულიერს საფლავის კარამდე მიაცილებს ჩადენილი ავკაცობით თრობის ბანგი. ადამიანები კი მაინც მიწიერი ცხოვრების ტყვედ რჩებიან, რასაც თან ახლავს ყოველი მანკიერება.

ძნელია ხალხის ნდობის მოპოვება და ისეთი სათუთია, რომ თვალისჩინივით საჭიროებს მოფრთხილებას. უხეშად მოპყრობის შემთხვევაში, რაც ადამიანის ცხოველური განცხრომით დაუოკებელ გაუმაძღრობას ახლავს, ხალხის ნდობას კარგავს ისე, როგორც მინდია ბუნებასთან საუბრის უნარს. ხელისუფლებაში მოსვლის პირველ ეტაპზე ნდობა და იმედის სხივი ნაციონალებმა ხალხს გლოვად და ჯოჯოხეთად უქციეს, რაც ბუმერანგად უკანვე დაუბრუნდათ; ხალხი მათ ხსენებას და ბოროტ ნაფეხურებს წყევლით იკლებს. გექნება ამქვეყნიური ცხოველური კეთილდღეობით ქოსმენის განცხრომა უწმინდესი ნდობის სიამაყისაგან გაძარცვულს. ბოლო კი ყველასთვის ერთია: მოხვეჭის ტყვე ისევე ცარიელი მიდის, როგორიც მოვიდა. გაზულუქებით სიამოვნება კი სუსხიან განაჩენად იქცევა.

სიცოცხლე ხომ სიკეთისა და ბოროტების განუწყვეტელ ჭიდილში სანთელივით დნება. კაცობრიობამ ვერ მოახერხა ბოროტების გაკეთილშობილება. პირიქით, სიკეთის ნიღაბში შემძვრალი უფრო სახიფათო ხდება და ადამიანთა ბედნიერ ამქვეყნიურობაზე ზრუნვის ძალზე დასაკნინებლად უამრავ კაკანათს ხლართავს.

იქნებ განგებამ ასე ისურვა, თუ ქართული ხასიათის დაუდგრომლობის გამო ხდება, სიკეთის და ბოროტების ჭიდილის ლაბორატორიად გვექცა ღვთისმშობლის წილხვედრობით ნაკურთხი სამშობლო.

ურთიერთმტრობა, მომხვეჭელის გაუმაძღრობა, კარიერისტომანია და უფლის რწმენის სახელით ყოველივე სატანურის თაყვანისცემა მართვის სადავეებთან შემოგვეპარა.

განა ქართველმა ფეოდალებმა თავიანთი ეგოისტური ჟინის ზეგავლენით არ დააქუცმაცეს საქართველო?! მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს ერთმანეთის ქიშპობით და მტრობით დაუძლურებული საქართველო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს სულის ღაფვით შეხვდა. თუ არა ერეკლე მეორის რეანიმაციული ძალისხმევა, ახლა აღარც საქართველო იქნებოდა და ქართველი ხალხის არსებობა ისტორიის დამტვერილ თაროებზე მიმქრალ მოგონებასავით გაუჩინარდებოდა.

უმადურობა იმდენად საძაგელი გრძნობაა, რომ თვითონ უმადურიც მალავს თავის უმადურობას. არადა ქართველი ხალხის უმადურობა ვინ თქვა; ყოველგვარი სიკეთისათვის გაათმაგებული სიკეთით და სიყვარულით პასუხობდა.

ორი საუკუნის რუსულ-ქართულ შეხმატკბილებას ერთიან ნათელ სხივად გასდევს ურთიერთნდობა, ძმური და მეგობრული თანადგომა. განა რუსეთში საამაყო არ იყო ქართველის სახელის ხსენება? განა შევარდნაძემ არ გააჩაღა ქართველთა გატალახების კამპანია რუსეთის ბაზრებში სპეკულანტობის დაბრალებით?! საკავშირო სამინისტროებიდან რუსი მაღალჩინოსნები რომ გვჩუქნიდნენ აუარებელ მატერიალურ რესურსებს, ისევ შევარდნაძემ არ დააბეზღა ისინი და საქართველოში კადრების გახრწნის ყბედობით პოლიტბიუროს წინაშე ქართველთა ლანძღვით არ აპურებდა თავის კარიერისტულ გაუმაძღრობას?!

ვის ვემდურით? ერთხელ მოცილებული ეს უბედურება ისევ პრეზიდენტად დავსვით; დიდი თაღლითი დიდ პოლიტიკოსად მოვნათლეთ და შეგვაყოფინა კიდეც თავი განუკითხაობის ქურაში. რაც მან მთლიანად საქართველოში და, განსაკუთრებით, სამეგრელოში ქართველთა სიძულვილის სისხლიანი კალო ლეწა, ისტორიის ფურცლებს ააკვნესებს. დრო კი სიმართლის მეკავშირეა და ბოროტ მედროვეთა რისხვა. ერთიან ძმურ ოჯახში ნდობით და სიყვარულით ვცხოვრობდით ქართველები, აფხაზები, ოსები. ისევ შევარდნაძემ თავის კარიერისტულ ამბიციებს არ დააგესლინა საბჭოთა კავშირში ქართველთა საამაყო ხსენება?

ვის აღიზიანებდა ორი მართლმადიდებელი ერის ესოდენი ძმური ურთიერთობა? იმას, ვინც ერთ დროს მძლავრ, უაღრესად განვითარებულ, ინდისტრიულ-აგრარულ საქართველოს ბანანის რესპუბლიკების დონის იქით მიათრევს დემოკრატიის დამცველის ყბაღია ქადილით.

საქართველოს დაქცევა კი მისი განუმეორებელი მეგობრის და მოკავშირის რუსეთის ლანძღვით დაიწყო. ფსევდოდემოკრატიის მიერ შემოგებებული უმადურობის თესლი ყოველივე სასიკეთოს სპობს და, თუ არა მართლმადიდებელი რუსეთი, ჩვენი **"სტრატეგიული პარტნიორები"** ევროატლანტიკური სივრციდან საქართველოში დემოკრატიული აღვირახსნილობის ჩარფუზანას გამართავდნენ.

მავანს ეწყინება სიმართლის ასე ხმამაღლა აღიარება. არადა როგორი მეგობრები არიან, როცა არცერთ სტრატეგიულ პარტნიორთაგანს არ წამოსცდენია, ავღანეთში ამხელა ჯარს რომ აგზავნი, შენთვის დაიტოვე რამეო? საქართველოს რეზიდენტად წოდებული არარაობა ტუტუცი რომ არის, ჩვენზე კარგად იციან. რატომ არ ეუბნებიან, ამხელა **ნატო**-ს შენი დასახმარებელი რა სჭირს, როცა თავად ხარ უამრავი პრობლემიდან ამოსაძრობიო. სოფლის სალაყბოზე მასხარა ახალგაზრდების მიერ ჭკუასუსტი თანასოფლელის გაბითურებით გართობას ჰგავს ამ სტრატეგიული პარტნიორების ნაციონალთა ტუტუც პრეზიდენტთან ურთიერთობა, **ნატო**-ში შესვლის სურვილი ბავშვის ბრჭყვიალა სათამაშოს მოხვეჭის ისტერიულ ახირებად რომ ექცია. იმას იქითაც წასულა! **ნატო**-მ ჩვენ რა უნდა გვიშველოს, როცა ავღანეთის ავანტიურაში კისრამდე ჩაფლული ჩვენც მიგვათრევს. ზემოთ ხსენებულ პოლიტიკოსთაგან გასაკვირი არ იქნებოდა, ხვალ რომ გამოაცხადონ, საქართველო მთვარიდან უნდა დავიცვათო. დაფიქრებაა საჭირო, ვის და რა ფასში მიჰყიდეს თავიანთი პოლიტიკური ვაჭრობის ალღო.

ახალმა სამხედრო მინისტრმა რამხელა ტვირთი მოხსნა მიშას, ავღანურ ცალხარიან უღელში თვითონ რომ შერგო თავი და ახლა ერთად მოაგორებენ **ნატო**-ს დაპირებებით ამჩატებულ და ქართველი ვაჟკაცების სისხლით გაპოხილ ცოდვას. არადა, სააკაშვილი ამ დანაშაულს გრძნობდა, იქ ვაჟკაცების დაღუპვას მაქსიმალურად რომ აჩუმათედა.

ბიძინა ივანიშვილის რეიტინგით ამოტივტივებული პოლიტიკოსები, ადრე ფსკერს ცხვირით რომ ხნავდნენ, ახლა მას ისე ამძიმებენ, როგორც კარგ მოცურავეს ჩამოკიდებული აგური. როგორი თავდაჯერებით გვარწმუნებდნენ, რომ ავღანეთიდან სამშობლოს ვიცავთ. ოსეთის მავთულხლართები თვით გორში რომ გაატარონ არაფერია, მთავარია ოკეანეში გადაკარგულმა ვანუატუმ არ სცნოს და **ნატო**-მ მადლობა ამოუცხადოს ავღანეთის ავანტიურაში ესოდენი თავდაყირა გადაშვებისათვის.

გიჟები საუბრობდნენ. ერთმა თქვა, დირექტორი არ გვივარგა, გვზღუდავსო. მეორე ეუბნება, ჩვენი დირექტორი ძალიან გვანებივრებს, მესამე სართულიდან აუზში თავდაყირა ვხტებით და შეგვპირდა, თუ კარგად მოიქცევით, წყალს ჩაგისხამთო. ჩვენს ასე გვახტუნავებენ ავღანეთის უწყლო აუზში **ნატო**-ელი პარტნიორები **ნატო**-ში შესვლის შეპირებით. არადა **ნატო**-ში შესვლაც გიჟური ახირება არ არის?! თუ საქართველოს გამთლიანება გინდა, თან აფხაზებთან და ოსებთან დიალოგს აპირებ, რატომ არ კითხულობ, იმათ როგორ საქართველოში აწყობთ ცხოვრება. ისეთი რა უნდა უთხრა, რომ მსოფლიო ჟანდარმობით სახელგატეხილი მეძავი **ნატო** დედა ტერეზად მოაჩვენო?!

რა უნდა ეწოდოს საქართველოში პედერასტების თუ ათასგვარი გარყვნილების აღვირახსნილობის, რუსთაველზე აღლუმის ჩატარების სურვილს და ზოგიერთი პოლიტიკოსის დემოკრატიის მიმართ კოპწიაობას. თურმე ამ სიბინძურის მოწინააღმდეგენი დამნაშავენი არიან. თუ საქართველოში პედერასტები არ აგულავე, ამერიკელებს ეწყინებათ და **ნატო**-ში არ მიგიღებენო.

ვინც თავგადაგლეჯილი იცავს ამ გარყვნილების პარაშს, იმათ ოჯახში შევიდეს ყველა სახის ხურუშიანი, ლესბოსელი და ერთსქესიანი წყვილები; ერთი თაობის გადასახედზე ამოვარდება მათი არსებობა, რამეთუ უჯიშჯილაგოები ჩაბარდებიან მოუსავლეთს და დაისვენებს ერი უზნეოთა და გარყვნილთა სიმყრალისაგან.

ამერიკის სენატში სამოცდაათამდე პედერასტია, არმიაში ხომ მათ რიცხვს ვერ დაითვლი. **ნატო**-ც ფართო ნაბიჯებით პედერასტდება. ჯერ გემდურის ამ ბინძურთა პარადი რომ დაარბიეს, **ნატო**-ში შესვლა გაგირთულდებაო. ხვალ გეტყვის, თუ პედერასტი არ ხარ, ვერ მიგიღებო. საკითხი გარკვეულია. ქართველი კაცი ხურუშიანთან პურის საჭმელად არ დაჯდება.

იმ პოლიტიკოსებს, რომელთაც ესოდენ ხიბლავთ დემოკრატიის სახელით უზნეობა, გარყვნილობა, სქესობრივი გაუკუღმართება, შევახსენებ, რომ ქართველთა ოცნება ზნეობრივი და სულიერი სიწმინდე, წინაპართა საამაყო ტრადიციების თაყვანისცემაა. საქართველოში მათ განებივრებას შეეშვან, დაჯარდნენ და მიადგნენ ევროკავშირს თუ **ნატო**-ს; სიამოვნებით მიიღებენ. მერე გინდა ბაყაყებით, ხვლიკებით, ლოკოკინებით თუ უხსენებლებით იზეიმონ ბიძაშვილ-მამიდაშვილებთან სისხლის აღრევა; ხურუშიანების, ლესბოსელების, სქესობრივი გარყვნილობის დემოკრატია, ეს ის გზაა, კაცობრიობის გადაგვარების და მოსპობისაკენ რომ მიდის. რომის ერთხელ მძლავრი მსოფლიო იმპერია ამ გზაზე შედგომამ მიიყვანა სავალალო დასასრულამდე. საქართველოშო მათი ესოდენი აღზევება ისე გაქრება, როგორც მიშას მიერ მორეკილი ინგლისური ენის საყველპუროდ მცოდნე გარყვნილი მასწავლებლებით ქართველი ახალგაზრდობის გადაგვარების მცდელობა.

ნაციონალებს ეგონათ რომ ძალაუფლება სამუდამოდ იგდეს ხელში და მომკითხავიც არავინ ჰყავდათ. კანონი და სამართალი თავიანთ ფაიტონში შეაბეს და ქვეყნის ამოსაგდებად დააჯირითებდნენ. ხალხიც საბოლოოდ დაბეჩავებულებად ჩათვალეს და ყოველგვარი მორალური, ზნეობრივი, სულიერი თუ ტრადიციული ფეხქვეშ გაიგდეს თავდაჯერებული ყეყეჩის როკვას აყოლილებმა.

უმრავლესობის ზოგიერთმა პარტიულმა მესვეურმა უნდა იცოდეს, რომ მათზე არანაკლებად იბრძოლეს სხვებმაც ნაციონალთა ძალადობის დასამხობად, რომელთაც მხოლოდ საქართველოს ბედნიერი მომავლის პერსპექტივები ამოძრავებდათ და არავითარი თვითგანდიდების ეგოისტური მიზნები არ უბურღავდათ ტვინს.

ხალხი როგორი მოუთმენლობით ელოდებოდა კბილაშვილის ყოველ გამოსვლას საშინელ დანაშაულთა ჩამდენ მაღალჩინოსნების მხილების შესახებ. დამნაშავეთა სამართლიანი პასუხისგების მექანიზმი აგორებას იწყებდა, მაგრამ შეშფოთდა დემოკრატიის ნიღბიანი დასავლეთი. ატეხეს თითის ქნევა და, აღრე, ნაციონალთა პარპაშის დროს ყრუმუნჯები რომ გვეგონა, საუცხოო სმენის და მეტყველების ენერგია აღმოაჩნდათ მათივე ლაქია ნაციონალების შელამაზებაში, რომელთაც ხალხის ისეთი რისხვა იწვნიეს, რომ ამერიკა კი არა, სატანის მთელი ნახირი ვეღარაფრით ვეღარ წამოაყენებს.

ნაციონალ დამნაშავეთა დამსახურებული დასჯის მექანიზმი კი გვარიანად ამობუქსავდა. გამოსაძიებელ პირებს სასამართლოში ისე ათავისუფლებენ, იფიქრებ, კულისებში ჯილდოებს ხომ არ აძლევენო.

საქართველოში ორხელისუფლებიანობა რაც უფრო გრძელდება, შოკური მდგომარეობიდან გამოსული ნაციონალები დიდი მონდომებით ცდილობენ სატანის სამსახურისათვის ჯილდოდ შემოსილი რქებისა და ჩლიქების შენიღბვას და ანგელოზის ფრთების მორგებას.

"ქართული ოცნების" ძალა ხალხის ნდობაშია, რომელიც ასე მოთმინებით ელოდება სამართლის პურობას. ხალხს სჯერა, რომ ნაციონალთა ლობისტების ღავღავი ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის და ერის ერთხელ აღებულ აღორძინების კურსს ვერ შეაცვლევინებს და **"ქართული ოცნების"** საქმიანობას ქართველთა ოცნების შესასრულებლად წარმართავს. ხალხის ნდობით შემოსილი მამულიშვილი კი შინაური და გარეშე მტრის რისხვაა.

ბივი სომხიშვილი,
მწერალი

სამეგრელოს ღირსეული შვილები

ჩვენი გაზეთის 224-ე ნომერში მკითხველებს დავპირდით, რომ გამოვაქვეყნებდით მასალებს მწერალ ემზარ კვიტაიშვილის წიგნიდან, რომელიც ეძღვნება სამეგრელოს ღირსეულ შვილებს, ტრაგიკული ბედის მქონე მამულიშვილებს გვანჯი ჩიქოვანსა და მუშნი დადიანს. ვასრულებთ დაპირებას და ვიწყებთ ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანების ბიოგრაფიების ბეჭდვას.

(ჩაწერილია ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს)

ბიძაჩემის – გიდ ემხვარის – სიკვდილი და ჩემი გაციმბირება

1901 წლის 20 ივლისს მივედი ჩემი ნათესავის, კონსტანტინე დადიანის ოჯახში. შევედი თუ არა სახლში, დავინახე ბიძაჩემი გიდი, გადავეხვიეთ ერთმანეთს. იგი ცოტათი შეუძლოდ იყო და კონსტანტინე დადიანის სახლში დასასვენებლად მისულიყო. ამ ოჯახს ენდობოდა და ხშირად დადიოდა, ცხადია, ძალზე ფრთხილად. თვითონ მასპინძელი შინ არ იმყოფებოდა, მთელი ოჯახით სტუმრად წასულიყო დასთან მეორე სოფელში. მე ვუთხარი – ბიძია გიდ, დედაჩემს რატომ არ ნახულობ-მეთქი. მან ამოიოხრა – ნეტა შენც არ მოსულიყავი, ბიძია, რადგანაც გუშინ ღამით, ისეთი სიზმარი ვნახე, რომ ვიცი, რაღაც საბედისწერო ამბავი უნდა შემემთხვესო, და მომიყვა სიზმარი: მესიზმრა, რომ ამ ოჯახში ვარ და ეზოში შემოდის უამრავი ბატი და რამდენიმე ინდაური, რომლებიც შეესივნენ კონსტანტინეს ბაღ-ბოსტანს და დაიწყეს მისი განადგურებაო. კონსტანტინემ ესროლა მათ თოფი, მაგრამ ვერაფერი დააკლოვო. მაშინ მე გადმოვიღე თოფი, მოვკალი ორი ინდაური და ბატები დაფრთხნენო. მან ჩაახველა და ჩაილაპარაკა – ვენაცვალე ჩემს თოფს (ხელი მოუსვა), მთლად იოლი არ დაუჯდება მტერს ჩემი თავიო. მე ვთხოვე – ჩემო ბიძია, რადგანაც ასეთი საგულისხმო სიზმარი გინახავს, აჯობებს დავტოვოთ ეს ოჯახი, ადგილი გამოვიცვალოთ-თქო. მან მწარედ ჩაიცნა და მითხრა – გლეხის ოჯახში რომ შემემთხვას უბედურება, ეს ძაღლები სამუდამოდ დაღუპავენ იმ გლეხის ოჯახს და იმის ცოდვა საფლავშიც არ მომასვენებსო; კონსტანტინე დადიანი კი ნამდვილად მოუვლის თავსო. მე კიდევ დაბეჯითებით ვთხოვე, წავსულიყავით ერთ-ერთ საიმედო ოჯახში, მაგრამ მან მტკიცე უარი მითხრა. შემდეგ, როცა შეღამდა, მსახურს სთხოვა მისთვის ქვეშაგები წაეღო ბაღში. ჩვენც გავყევით და ბიძაჩემი ერთ-ერთი დიდი წაბლის ძირში დაწვა. მე შევბრუნდი სასახლეში და ერთ ოთახში წამოწოლილმა, დაღონებულმა სხვადასხვა ფიქრებს მივეცი თავი. მთელი სოფელი ჭკადუაში ღრმა ძილში იყო. აქა-იქ ძაღლების ყეფა და ყმუილი ისმოდა. თურმე ის ღამე იყო ჩვენთვის და განსაკუთრებით ბიძაჩემისთვის საბედისწერო. იმ საღამოს ზუგდიდიდან ოფიცრების – გოგოლიშვილის და ბერიძის – წინამძღოლობით ასკაციანი ცხენოსანი პოლიცია ჩამოსულიყო. მათ გზას ასწავლიდა საზიზღარი ჯაშუში, ერთი არაკაცი. ის დრო იყო თენდებოდა და მე ხელის შეხება ვიგრძენი. სწრაფად გავახილე თვალები და ლოგინზე წამოვჯექი. თავს მადგა შეიარაღებული ჩაფარი. მან მორიდებით მითხრა – აბრძანდით, ჩაიცვით, გარეთ გიცდიანო. მე სწრაფად ჩავიცვი და გავედი. ვხედავ, მთელი სასახლე პოლიციის რაზმითაა გარშემორტყმული, ოფიცერი გოგოლიშვილი, ბერიძე და სხვები მეკითხებიან – აბა, ჩქარა თქვი, ვინ იმალება სასახლეში, იცოდე, მართლი გვითხარი, ვინმე საშიში პირი არ იყოს და არ დაგვხოცოსო. მე ბრაზი მომერია, მაგრამ თავშეკავებულად ვუთხარი – თუ სხვების დასახოცავად ხართ მოსულები, თქვენც სამაგიეროს უნდა ელოდეთ-მეთქი. მერე ისიც დავატანე – სასახლეში არის მხოლოდ მოსამსახურე და მეტი არავინ იმყოფება.

გოგოლიშვილმა ბრძანება გასცა, სასახლე გაეჩხრიკათ. მე წინ წამიძღოლეს და მთელი სასახლე დიდი გულმოდგინებით გაჩხრიკეს. ყოველი ოთახისა თუ კუთხის გაჩხრეკის დროს მე განზრახ ხმამაღლა ვლაპარაკობდი, ვფიქრობდი, ეგებ ბაღში მძინარე ბიძაჩემს მისწვდეს ჩემი ხმა, გაიღვიძოს და თავს უშველოს-მეთქი. მაგრამ საუბედუროდ, მას ღრმად ჩასძინებოდა. დამთავრდა სასახლის ჩხრეკა. ოდნავ ინათა კიდეც. ვატყობ, უკვე წასვლას აპირებენ და იმედი მომეცა. გულმა ძგერას უმატა, სიხარული მეუფლება. ვფიქრობ, რომ ბიძაჩემი გადარჩა. ამ დროს ოფიცერმა გოგოლიშვილმა მარჯვნივ მიიხედა და ბაღისკენ მიმავალი ბილიკი შეამჩნია. მყისვე განკარგულება გასცა, ვნახოთ ეს ბილიკი სად მიგვიყვანსო. თავზარი დამეცა. ბილიკი მათ პირდაპირ მიიყვანდა წაბლის ძირში, სადაც ბიძაჩემს ეძინა. რაზმელები მაშინვე დაადგნენ იმ ბილიკს და შურდულივით გაქანდნენ. არ გასულა ხუთი წუთი და თოფი ორჯერ გავარდა ზედიზედ. ამას მოჰყვა განუწყვეტელი და გამაყრუებელი **"ზალპი"**. მე მაშინვე ვიძვრე მაუზერი, რომელიც ახალუხის სარჩულში მქონდა დამალული და ტყვიასავით გავქანდი. ყველანი უბედურ ბიძაჩემს ესროდნენ. მე სისხლი ამივარდა თავში და დავიწყე სროლა, სანამ ტყვიები არ გამითავდა, მერე კი ტყისკენ გავიჭერი.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა. მოკლეს ბიძაჩემი გიდ ემხვარი. დაღუპულმა თან გაიყოლია მისი მკვლელები, ოფიცრები – გოგოლიშვილი და ბერიძე. როგორც დამტკიცდა, ბიძაჩემისთვის, მძინარისთვის ესროლათ ტყვია გოგოლიშვილსა და ბერიძეს. მას კი, დაჭრილს, ნამძინარევს, სისხლში შეცურებულს, ძალა მოეკრიბა და ორივენი გაეგმირა. მძიმედ იყო დაჭრილი, აგრეთვე, ცხრა პოლიციელი. გარშემო სოფლებს მოედო ეს ამბავი.

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

აფორიაქდა, შეინძრა ხალხი. შემთხვევის ადგილზე გაჩნდა მთელი ზუგდიდის მაშინდელი ხელმძღვანელობა. მოკლული ოფიცრები ზუგდიდში წაასვენეს. ბიძაჩემი იქვე დაასაფლავეს. ნათესავებმა მეორე დღესვე ამოიღეს იგი საფლავიდან, წაასვენეს თავის სოფელში და იქ დაკრძალეს.

მე მესამე დღეს დავბრუნდი ოჯახში და მამაჩემისა და ჩემი აღმზრდელების რჩევით პოლიციაში გამოვცხადდი. ოჯახში დაბრუნებამდე, სამი დღე, მასწავლებელ კალისტრატე ალშიბაიას სახლში ვიმალებოდი. კარებთან იდგა და მდარაჯობდა კალისტრატეს პატარა ძმა, ალექსანდრე. კალისტრატე ალშიბაია ციმბირიდან პირველი დაბრუნების დროს ვნახე ჩემი ძმის, ლევანის ოჯახში. მას უზომოდ გაეხარდა ჩემი დაბრუნება. იგი იქ იყო მასწავლებლად, როგორც აფხაზთა ტრადიციების საუკეთესო მცოდნე და კარგი პედაგოგი. ამჟამად კალისტრატე ალშიბაია მეტად დამსახურებული, გამოცდილი ექიმია, ჰყავს შესანიშნავი შვილები და საზოგადოებას დიდ, უანგარო სამსახურს უწევს.

ზემოთ უკვე ვთქვი, რომ მე შევასრულე მამისა და აღმზრდელების რჩევა და პოლიციაში გამოვცხადდი, ჩემი ერთადერთი საზრუნავი ის იყო, როგორმე მიმეცა ისეთი ჩვენება, რომ პასუხისგებაში მიცემისაგან გადამერჩინა კონსტანტინე დადიანი; გამომძიებელმა დაკითხვა რომ დამიწყო, ამგვარი ჩვენება მივეცი: მე მივდიოდი ჩემს საქმეზე და გზად შემთხვევით შემხვდა ბიძაჩემი, გიდ ემხვარი. იგი ავად გამხდარიყო და სადღაც აპირებდა წასვლას. მე ვუთხარი, შევიღეთ აქვე ჩემი ნათესავის, კონსტანტინე დადიანის ოჯახში, იქ ახლა არავინაა მოსამსახურის გარდა, კონსტანტინე დადიანი მთელი ოჯახით მეორე სოფელშია სტუმრადმეთქი. ბიძაჩემი უარზე დადგა, მაგრამ მე იგი ძალად წავიყვანე კონსტანტინე დადიანის სასახლეში, რადგან შეუძლოდ იყო და მინდოდა ცოტათი შეესვენა, მომჯობინებულიყო და მერე წასულიყო თავის გზაზე. პოლიცია არ დასჯერდა ამ ჩვენებას და ჩემთან ერთად კონსტანტინეც დააპატიმრეს თავის შვილიანად. მალე გადაგვაგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში და დაიწყო გამოძიება. გამოძიებას აწარმოებდა უფროსი გამომძიებელი ანდრეევი. ექვსი თვის ძიების შემდეგ კონსტანტინე დადიანი, როგორც ხანდაზმული ადამიანი, თავდებით გამოუშვეს, მისი შვილი კი სულ გაანთავისუფლეს. მე ისევ ზუგდიდის ციხეში გადმომიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ დაინიშნა სასამართლო. საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლოს გამსვლელმა სესიამ. საბრალდებო სკამზე ვისხედით მე და კონსტანტინე დადიანი. სასამართლოს თავმჯდომარეობდა დიდად უხეში და მკაცრი მოსამართლე ვინმე ეპოლჩინსკი. სასამართლო პროცესი ორ დღეს გაგრძელდა. პროცესს დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ჩვენ გვიცავდნენ საუკეთესო ვექილები – ქიქოძე და ფაღავა. ვექილების გამოსვლის და საბოლოო სიტყვების შემდეგ მთელი დარბაზი და მეც დარწმუნებული ვიყავით, რომ, როგორც მე, ასევე კონსტანტინე დადიანსაც განთავისუფლება გველოდა. განაჩენის გამოტანა მესამე დღისთვის გადასდეს. მე გამხნევებული ვბრუნდები ციხეში და პატიმრებს ვუყვები პროცესის ამბავს, ყველა გახარებულია, მილოცავენ. მე დავხვიე ხელი და ჩემი თბილი ტანსაცმელები ერთიანად ეტაპით გასაგზავნ პატიმრებს დავურიგე საჩუქრად. გათენებას გულის ფანცქალით ველოდები. წაძინებისთანავე ვნახე მეტად შემაშფოთებელი სიზმარი, რომლის შემდეგ მთელი ღამე არ მძინებია. სიზმარი ასეთი იყო: მე და კონსტანტინე ვზივართ სასამართლოში საბრალდებო სკამებზე, უცებ ჩვენი სკამი გადაიქცა რკინის სალტეებად. კონსტანტინემ დაამსხვრია ეს რკინის სალტეები და გააღწია გარეთ, მე კი ვერ შევძელი სალტეების დამსხვრევა და დავრჩი შიგ. ამ საოცარმა სიზმარმა მოსვენება დამიკარგა ირგვლივ მყოფნი შეწუხდნენ. ყველამ, ვისაც თბილი ტანსაცმელი დავურიგე, ენის უთქმელად დამიბრუნა უკან. დილის ათ საათზე გააღეს კარი და განაჩენის მოსასმენად წამიყვანეს. ქუჩაში მხვდება მამაჩემი და მტკიცე ხმით მეუბნება – შვილო, მოხუცებულობა ჩამიმწარდა, საქმე ცუდად წავიდა, შენს თავს მაშორებენ, მაგრამ იცოდე, არ შეგვარცხვინო, განაჩენი ვაუკაცურად მოისმინე, ტირილი არ მოგერიოს, გამაგრდი და შენი შემწე ღმერთი იქნებაო. მე ძლივს შევიკავე თავი ცრემლებისაგან და მამაჩემი დავამშვიდე – ნუ გეშინია, მამაჩემო, სირცხვილს არ გაჭმევთ, მე უკვე ვიცი წუხანდელი სიზმრით, რაც მომელის, მაგრამ მაინც გავუმაგრდები ყველაფერს და მაინც დავბრუნდები თქვენთან, ოღონდ თქვენ იყავით ყოჩაღად და დედაჩემი გაამხნევე-მეთქი. შევდივარ სასამართლოში, ყველა გაფითრებული შემომცქერის. მალე იღება კარები და შემოდის მსაჯულებით გარშემორტყმული სასტიკი და გულქვა მოსამართლე. მე მას გულგრილად ვუყურებ. მოსამართლემ განსაკუთრებული სიმკაცრით, ცივი, გამგმირავი ხმით წაიკითხა განაჩენი. დარბაზში მყოფთ გმინვა აღმოხდათ, ცრემლებიც წასკდათ.

მომისაჯეს ოთხი წლით კატორღა და შემდეგ სამუდამო გადასახლება ციმბირში. კონსტანტინე დადიანი როგორც მოხუცი და დამსახურებულ;ი პიროვნება, იმავე დღეს თავდებში გამოუშვეს და მძევლად შეატანინეს სამი ათასი მანეთი. ეს ფული გადაიხადა კოსტა ემხვარმა. კონსტანტინე დადიანი რჩებოდა ოჯახში, სანამ მის საქმეს არ განიხილავდა პალატა და სენატი და საბოლოოდ არ გადაწყდებოდა განაჩენი. სასამართლოდან რომ გამოვედი, ყურთასმენის წამღები გნიასი იდგა. მთელი ჩვენი საზოგადოება შეკრებილიყო და იქაურობას ქალების წივილ-კივილი და ტირილი აყრუებდა. შემიყვანეს ციხეში. პატიმრები მანუგეშებდნენ, ყველას ვეცოდებოდი ჩემი ახალგაზრდობის გამო. მესამე დღეს დაინიშნა ეტაპი, ქუთაისის ციხეში გადასაგზავნად. ამ დღეს ციხის კარებს მოადგნენ ჩემი მშობლები, აღმზრდელები, თითქმის ყველა ნათესავი და მეზობელი. მათ სთხოვეს ციხის უფროსს, მე დამლაპარაკებოდნენ. უფროსმა ნება დართო. რამდენიმე საათის განმავლობაში მეხვეოდნენ მშობლები და გამზრდელები, ნათესავები, მეზობლები და ამხანაგები. ძნელია აღწერა, რა ხდებოდა ჩემი მათთან გამოთხოვების დროს. ყველა ღმერთს ევედრებოდა ჩემს გადარჩენას და შინ მშვიდობით დაბრუნებას. ჩაგვიყვანეს ქუთაისში. აქ საკმაოდ დიდ ხანს დავრჩით. ჩვენი საქმე პალატას გადაეცა განსახილველად. საქმეს იცავდა ცნობილი ვექილი აპაჩინსკი. პალატამ კონსტანტინე დადიანი სავსებით გაანთავისუფლა. მე გამახსენდა საწყალი ბიძაჩემის გიდ ემხვარის ნათქვამი, რომ კონსტანტინე დადიანი ადვილად დაიხსნის თავს, ხოლო თუ გლეხის ოჯახში შემემთხვევა უბედურება, საცოდავ გლეხს მოსპობენო. ჩემს მიმართ პალატამ დაამტკიცა გამოტანილი განაჩენი. კონსტანტინეს გათავისუფლებამ ძლიერ გამახარა, ჩემი საქმე გადატანილ იქნა სენატში, პეტერბურგში. თუ იქაც დაამტკიცებდნენ განაჩენს, შემდეგ იმედი არსაიდან იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ სენატმა ჩემი საქმის განხილვა დანიშნა. მამაჩემმა დამცველად აიყვანა იმ დროის ცნობილი ვექილი მირონოვი. მეხმარებოდა კონსტანტინე დადიანიც. საქმე ირჩეოდა სამშაბათ დღეს (თვე და რიცხვი აღარ მახსოვს). ოთხშაბათს დეპეშით უნდა ეცნობებინათ შედეგი. დღედაღამ არ მქონია, ძლიერ ვშფოთავდი. ყველას აინტერესებდა რა ამბავი მოვიდოდა. გადის ოთხშაბათი და პასუხი არ ჩანს, გავიდა ხუთშაბათი, პარასკევი და შაბათიც, კიდევ არაფერი ისმის. ოთხი დღეა, არ მძინავს, საშინლად ვარ აფორიაქებული. შაბათ ღამეს მძიმედ დაქანცულს დამეძინა და ვხედავ სიზმრად, რომ ვზივარ გემზე და სახლისკენ მივემგზავრები. გემი მიადგა ნაპირს, გადადის ყველა, ბოლოს ჩემი ჯერიც დადგა და ხიდისკენ გავემართე, როგორც კი გადავდგი ნაბიჯი, ხიდი ისე დავიწროვდა, რომ გასვლა ვერ შევძელი და დავრჩი გემზე. გემი მობრუნდა და წამიყვანა სადღაც შორს, უცხო მხარეში. გული დამწყვიტა ამ უსიამოვნო, არასასიკეთო სიზმარმა, მოვუყევი ამხანაგებს და ყველანი შეწუხდნენ, დამშვიდება დამიწყეს. მეორე საღამოს, ე.წ. **"პრავერკაზე"** შემოდის ციხის უფროსი მახმუდოვი და მეუბნება – ჩიქოვანო, რატომ არ კითხულობ და რად არ გიკვირს, პეტერბურგიდან ამდენ ხანს დეპეშა რომ არ მოდის შენი საქმის შესახებო. მე მშვიდად ვუპასუხე – უფროსო, რად უნდა ვიკითხო, მე უკვე სიზმრით ვიცი ჩემი უბედურება და კიდევაც შევეჩვიე ჩემს ბედს-მეთქი. მან წყნარად მითხრა, რადგან უკვე შეჩვეულხარ, მაშინ გადმოგცემ დეპეშას, რომელსაც სამი დღეა ჯიბით ვატარებ და გიმალავდიო. ეს მითხრა და გამომიწოდა დეპეშა, სადაც მოკლედ იყო აღნიშნული, რომ სენატმა საქმე დაამტკიცა. მე ცივად და გულმაგრად შევხვდი ამ სასტიკ განაჩენს. მეორე დღეს, თანახმად მეფის ულმობელი კანონებისა, გამიყვანეს და ჩამჭედეს ბორკილებში, როგორც კატორღაში გასაგზავნი.

ქუთაისის ციხეში ყოფნის პერიოდი ჩემთვის განსაკუთრებულად აღსანიშნავია იმის გამო, რომ იმ დროს ქუთაისის ციხეში იმყოფებოდა ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელი ახლგაზრდა იოსებ სტალინი, მაშინდელ რევოლუციურ წრეებში კობად ცნობილი. აქ იჯდნენ აგრეთვე რევოლუციონერები – ლადო ჯოხაძე, ნატალია კირთაძე და სხვები. ნატალია კირთაძე მალე გაანთავისუფლეს. იგი მეტად კარგ, მეგობრულ დამოკიდებულებას ავლენდა ჩემს მიმართ და წასვლის დროს მთხოვა, მისთვის ბათუმში შემეტყობინებინა, სენატისგან რა პასუხს მივიღებდი. ნატალია არაჩვეულებრივად გულკეთილი ქალი იყო, ყველა პატივს სცემდა. განსაკუთრებული მზრუნველობითა და სინაზით მეპყრობოდა. მე თვითონაც დიდ იმედად და მეგობრად ვთვლიდი. ჩემი სასჯელის დამტკიცება ნატალიასათვის არ მიცნობებია, რადგან ვიცოდი, ძალიან საწყენად დარჩებოდა.

(გაგრძელება იქნება

მეგრული ენის, სხვა ქართველური ენების, სხვადასხვა ენის ასაკისა და გენეტიკური კავშირურთიერთობის შესახებ

მაშასადამე, **ენათმეცნიერებისათვის სრულიად უცნობი იყო ჩვენს მიერ წარმოჩენილ-დადასტურებული ის ფაქტი, რომ თანამედროვე ენა წარმოადგენს პირველქმნილი ხმაბაძვითი ძირისეული თანხმოვნური ფორმებისა და იმთავითვე მათი ბუნებრივად თანმხლები ემფატიკური ბგერის ფონეტიკური ვარიანტებისაგან შედგენილ პირობით ნიშანთა სისტემას.**

მაგრამ, ასეთ პირობებში, საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ თანამედროვე მეგრულ ენაში პირდაპირ შემონახულია პირველადი (პირველქმნილი) ხმაბაძვით ძირისეული თანხმოვნური ფორმები (სიტყვები), ზუსტად იმავე სახით, როგორადაც ისინი საგნის (სხვა მონაცემის) სახელდებისას წარმოიშვნენ.

დიახ: **ჯღრრრჯღრრრ!** – გაიძახის ერთ-ერთი ფრინველი და: **ჯღ)რჯღ**), – ვეძახით მას.

გამოდის, რომ ბუნების საგანმა, ამ შემთხვევაში **ჯღ)რჯღ**-მ, არა მხოლოდ ოდესღაც ასწავლა ადამიანს, თუ როგორ დაერქმია სახელი მისთვის, არამედ, დღესაც დაგვანახა და გვასწავლა კიდეც ის, თუ როგორ დაერქვა მას ეს სახელი (ამიტომაც იმსახურებს ეს ფრინველი, ძეგლის დადგმას, არც თუ ხუმრობითაც).

ცნობილია, რომ ქართველური ენების წარმოშობის სავარაუდო ეპოქის შესწავლისას (და ეს ასეა სხვა ენების წარმოშობის ეპოქის შესწავლა-დადგენის დროსაც), ენათმეცნიერები ჩვეულებრივ, ემყარებიან შესასწავლი ენების მცირერიცხოვანი სიტყვების ამა თუ იმ პერიოდში არსებობა-არარსებობის, მათი მსგავსება-სხვადასხვაობის და მისთანა მონაცემებს, რაზედაც ხელი მიუწვდებათ ხოლმე. ამიტომაც, აქედან მიღებული შედეგების (დასკვნების) უტყუარ სიზუსტეზე ლაპარაკიც ზედმეტია. საქმე ისიც არის, რომ სამუშაო კაბინეტში, საწერ მაგიდასთან კალმით ხელში, ყოველთვის როდი შეიძლება ყველაფრის სწორად დანახვა-დაფიქსირება. ასეთ პირობებში სიზუსტის მიღწევა შეუძლებელია იმის გამო, რომ მეცნიერ-მკვლევართათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ დამწერლობიანი ენების წერილობითი მასალები, რომელთა ასაკი, ენის შორეულ ისტორიასთან,– ენის მთელ ასაკთან – მიმართებაში ბევრად ვერ სცილდება სინქრონულ (თანამედროვე) დონეს.

მაგრამ, ამჟამად, როდესაც ჩვენმიერი კვლევა-ძიებების შედეგებით წარმოჩენილია მოცემული (საკვლევი) ენის, ზოგადად ანუ საერთოდ ენისა და სხვადასხვა ენის წარმოშობის საფუძვლები, როცა ძირისძირამდეა შესწავლილი ენობრივი ნიშანი – სიტყვა, უთუოდ შეუდარებელი, აქამდე წარმოუდგენელი პირობებია შექმნილი ენათმეცნიერებაში შედარებით-ისტორიული კვლევა-ძიებისთვისაც და ნებისმიერი ჩვენთვის საინტერესო ენის წარმოშობის ეპოქის მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრისთვისაც, რასაკვირველია, ბოლოდროინდელი არქეოლოგიური აღმოჩენების მონაცემებთან შედარებითობის პირობებში.

ცხადია, ზოგადად ანუ საერთოდ ენის წარმოშობის პერიოდის დადგენა, იგივე, საერთოდ ენის ასაკის განსაზღვრა მხოლოდ და მხოლოდ ენობრივი მონაცემების მიხედვით, – ზოგადად ანუ საერთოდ ენის წარმოშობის საფუძვლების შესწავლა-წარმოჩენის პირობებშიც კი, – ყოვლად შეუძლებელია. საამისოდ საჭიროა დედამიწაზე ადამიანის არსებობის ასაკის დადგენა, ვინაიდან არ არსებობს ადამიანი ენის გარეშე და არ არსებობს ენა ადამიანის გარეშე. სავსებით სწორია სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული განმარტება, რომ **ადამიანი – ეს არის მეტყველი, მოაზროვნე და გონიერი არსება.**

საკითხავია, როგორ ესადაგება ეს განმარტება ბიბლიურ გადმოცემას იმის შესახებ, რომ **ღმერთმა ადამიანი შექნა თავის ხატად ანუ სახედ?**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა სავსებით ისეთად, როგორიც ის დღეს არის, ანუ, შექმნიდანვე დაანათლა მას მეტყველებაც, აზროვნებაც და გონიერებაც იმ სახით, რა სახითაც ისინი მას ამჟამად მოეპოვება?

ბიბლიური გადმოცემისავე მიხედვით, ყოველივე ის, რაც წარმოდგენილია სამყაროში, შექმნილია ღმერთის მიერ, ანუ, სახეობები უკლებლივ შექმნილია ღმერთის მიერ.

ბიბლიის ამ ცნობას თუ ჩვენ მხოლოდ პირდაპირი გაგებით მივიღებთ, ამით, პრაქტიკულად, გამოვრიცხავთ (უარვყოფთ) განვითარების ფაქტს და მივალთ აბსურდამდე. განვითარებას რომ ადგილი არ ჰქონოდა, პირველყოფილი ადამიანები ისეთივენი უნდა ყოფილიყვნენ, როგორიც თანამედროვე ადამიანია. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, პირველყოფილი ადამიანების ნადგომებში ჩვენ უნდა გვეპოვა არა მხოლოდ ქვისა და კაჟის პრიმიტიული იარაღები, არამედ ტელევიზორის ეკრანები, ატომური ბომბის ქობინები და მისთანანი.

ცხადია, თვითონ ბიბლია არ უარყოფს განვითარების ფაქტს. ამის დასტურია ის, რომ ბიბლიაში ვკითხულობთ: ეშმაკისგან შეცდენილმა ევამ და ადამმა გასინჯეს ღვთის მიერ მათთვის აკრძალული ვაშლი, რითაც განაწყენებულმა ღმერთმა ისინი სამოთხიდან ანუ უზრუნველი ცხოვრების პირობებიდან განაგდო და საკუთარი შრომით ცხოვრება დააკისრა. აი, რას წერს ამის შესახებ **ზვიად გამსახურდია: „...ეს არის მოცემული ბიბლიაში, რა თქმა უნდა სიმბოლურად, იგივე ალეგორიულად, თორემ იქ არავითარი ხე არ იყო ფიზიკური გაგებით და არც შეიძლება ყოფილიყო „...იქ იყო ორი ხე, ცხოვრების ხე და ცნობადის ხე. ცხოვრების ხეს ფლობდა ადამი... მაგრამ მას არ ჰქონდა გარჩევის უნარი... გარჩევის უნარი ეს იქნებოდა უკვე გონების მიღება, ინტელექტის მიღება, ინტელექტი იმჟამად კაცობრიობას არ ჰქონდა“** (ზ. გამსახურდია, სამყაროს ევოლუცია ანუ კაცობრიობის სულიერი ბიოგრაფია, თბ., 1997, გვ. 15). **„...ფაქტიურად ეშმაკის მიერ ადამის შეცდენა გამოიხატა იმაში, რომ მან მისცა მას ინტელექტი, ლოგიკა, ბოროტისა და კეთილის გარჩევა“... (იქვე, გვ. 16) „მანამდე კაცობრიობას არ ჰქონდა ინტელექტი, გარჩევის უნარი“.** (იქვე, გვ. 23).

ბიბლიისავე მიხედვით, ღმერთმა მთელი სამყარო სულ რაღაც 7 დღეში შექმნა. ბოლო, მეშვიდე დღეს გააჩინა ადამიანი.

და ბოლოს, ბიბლიისავე მიხედვით, ღმერთს მიჰქონდა და მიჰყავდა ადამიანთან უსულო და სულიერი საგნები და ადამი არქმევდა ხოლმე, მათ, სახელებს..

ყველაფერი ნათლად არის ნათქვამი.

შევადაროთ ყოველივე ეს მეცნიერულ მონაცემებს, ანუ ადამიანის მიერ უკვე შეცნობილ სინამდვილეს.

როგორც ვარაუდობენ, სამყარო შეიქმნა დაახლოებით 10 მილიარდი წლის წინ, დედამიწის ასაკი ითვლის დაახლოებით 6,5 მილიარდ წელს, ხოლო სიცოცხლის ასაკი დედამიწაზე 2-3 მილიარდ წელს. (წყაროებრივი მონაცემები მოხმობილი გვაქვს სამტომეულში, რასაც აქ, გასაგები მიზეზით, ვერ წარმოვადგენთ).

როგორც ცნობილია, და ამ სტატიის დასაწყისშივე აღინიშნა, ამ უკანასკნელ დრომდე, ზოგადად ანუ საერთიდ ენის ასაკს ერთი მილიონი წლით საზღვრავდნენ, ვინაიდან ერთი მილიონი წლით საზღვრავდნენ თვით ადამიანის ასაკს.

უკანასკნელი აღმოჩენების მიხედვით, რაკი კერძოდ საქართველოს ტერიტორიაზე (სახელდობრ, ბოლნისის რაიონში) ნაპოვნია ორი (შემდგომში მესამეც) ადამიანის ჩონჩხი, რომელთა ასაკი დაახლოებით ერთი მილიონ რვაასი ათასი წლისა აღმოჩნდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ასაკი დედამიწაზე, დაახლოებით, 2 მილიონ წელს ითვლის. მაშასადამე, ენის ასაკიც დაახლოებით 2 მილიონ წელს ითვლის.

ცხადია, გამორიცხული არ არის, რომ მომავალში აღმოჩენილ იქნას უფრო დიდი ასაკის ადამიანის ჩონჩხიც და, მაშასადამე, ენის ასაკიც შესაბამისად განისაზღვროს, მაგრამ ასეთ ვარაუდს ახლა ვერ დავემყარებით.

როდესაც ადამიანის ასაკის განსაზღვრის საკითხს ვეხებით ბიბლიური გადმოცემისა და სინამდვილის შესაძლო ჩვენებათა მიხედვით, უნებლიედ თავს შეგვახსენებს შემდეგი ცინიკური გამონათქვამი: **„ბიბლიის ავტორებს ადამიანის ასაკის დადგენაში სულ რაღაც ერთი მილიონი წელი შეეშალათო“**. ბიბლია ხომ ყველაფერს პირდაპირ არ აცხადებს. შემთხვევითი არ არის ბიბლიის განაცხადი იმის შესახებაც, რომ **„ღმერთმა სამყარო სულ რაღაც ექვს დღეში გააჩინა, ხოლო მეშვიდე დღეს ადამიანი გააჩინაო“.** ცხადია, აქ შედარებითი მონაცემებია მოხმობილი. როგორც აღინიშნა, მეცნიერება მიიჩნევს, რომ სამყაროს ასაკი დაახლოებით 10 მილიარდ წელს, ხოლო დედამიწის ასაკი დაახლოებით 6,5 მილიარდ წელს მოიცავს. ადამიანი კი სწორედაც ბოლო დროს გაჩენილი ფენომენია დედამიწაზე.

ამჯერად განვიხილოთ, რას ემყარებიან ენათმეცნიერები, როდესაც თანამედროვე ენების ასაკს დაახლოებით 10 000 წლით საზღვრავენ?

ხალხური და რელიგიური გადმოცემების მიხედვით, წარღვნა დედამიწაზე მომხდარია 10 000 წლის წინათ. ბიბლიურმა ნოემ, იწინასწარმეტყველა რა ეს, წინასწარ ააგო დიდი ნავი, ჩასვა მასში ყოველი სულიერი და გადაარჩინა ისინი.

გადმოცემისავე მიხედვით, ბიბლიური ნოეს შვილები არიან სემი, ქამი და იაფეთი (იაფეტი). შემდეგში, ამათგან წარმოიშვნენ სემიტები, ქამიტები და იაფეტიდები, რომელთაგანაც შედგება დედამიწის მთელი მოსახლეობა.

აღნიშნულ წარღვნას უკავშირებენ მითს იმის შესახებ, რომ ატლანტიკის ოკეანეში არსებობდა დიდი კუნძული თუ კონტინენტი ატლანტიდა, რაც, რაღაცა ძალების ზემოქმედებით, – ვულკანური ძვრებით თუ კოსმოსიდან ჩამოვარდნილი მეტეორიტის მეშვეობით, – დაინგრა, დაიშალა და ოკეანეში შთაინთქა. ამ დროს წარმოშობილმა წყლის უზარმაზარმა ტალღებმა გადაფარა მთელი დედამიწა.

არც ხალხური და არც რელიგიური გადმოცემები არაფერს ამბობენ იმის შესახებ, რომ აღნიშნული წარღვნის დროს დედამიწაზე სადმე დარჩენილიყო ადგილი, რომელიც მაშინ წყალს არ დაეფარა და, ამდენად, სადმე სხვაგან გადარჩენილიყო ადამის მოდგმა. მაგრამ, ეს უთუოდ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ასე ყოფილიყო.

არადა, საიდან გაჩნდა 1 მილიონ 600 ათასი წლის ასაკის ადამიანთა ჩონჩხები აფრიკისა და ამერიკის კონტინენტებზე, ანდა, 1 მილიონ 800 ათასი წლის ასაკის ადამიანების ჩონჩხები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე?

გამოდის, რომ ადამიანი პირველად ატლანტიდაზე არ ყოფილა გაჩენილი. ანდა, ატლანტიდის დაშლა და მისგან გამომდინარე მსოფლიო წარღვნა მომხდარია არა გადმოცემით მითითებული თუ ნავარაუდევი 10 000 წლის წინათ, არამედ მრავალი მილიონი წლის წინათ.

მაშასადამე, ნოეს უთუოდ ჰყავდა წინაპრები, მათი უამრავი თაობა, – ვიდრე ადამსა და ევამდე. ეს წინაპრები კი, წარღვნამდე მეტად დიდი ხნით ადრე, დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე იყვნენ მოდებულნი, მათ შორის ატლანტიდაზეც, სადაც წარღვნის ჟამს სხვებთან ერთად ნოეც ცხოვრობდა.

ადამისა და ევას ენა არის, სწორედაც, პირველქმნილი ადამიანური ენა დედამიწაზე.

ამრიგად, ნოე ადამთან ვერ გაიგივდება. ნოესა და მისი ნაშიერების – სემის, ქამისა და იაფეტის – ენები, მათი საერთო უშორეულესი წინაპარი ადამის ენიდან მომდინარე ენებია.

როგორც ცნობილია, ბიბლიის მიხედვით, თავდაპირველად არსებობდა ერთი ენა. ასეთ პირობებში, ერთხელ ბაბილონის (ეგვიპტე) მცხოვრებლებმა (ამ უკანასკნელი მონაცემების მიხედვით რომ ეგვიპტეში ძველად კოლხები მოსახლეობდნენ, ეს ცალკე დიდმნიშვნელოვანი საკითხია) გადაწყვიტეს ცამდე მაღალი გოდოლი (კოშკი) აეგოთ და ღმერთთან ასულიყვნენ. ადამიანების ამ კადნიერებით განაწყენებულმა ღმერთმა მათ ენა აურია. ისინი სხვადასხვა ენაზე ალაპარაკდნენ, ერთმანეთს ვერაფერი გაუგეს და კოშკის მშენებლობა ჩაიშალა. მერე ეს ადამიანები ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ და ასე გაჩნდა მრავალი ენა დედამიწაზე.

ენათმეცნიერებაში ის აზრიც არის მოცემული, რომ შესაძლებელია, ენა დედამიწაზე არა მხოლოდ ერთ, არამედ რამდენიმე ადგილას და სხვადასხვა დროსაც კი იყოს გაჩენილი. ამ აზრს იზიარებდა აკად. არნოლდ ჩიქობავა, და, მას მიუღებლად არც ჩვენ ვთვლით. ამის დასტურად თანამედროვე ველური ადამიანების, და მათი 50-მდე სიტყვისაგან შემდგარი ენების არსებობა მიგვაჩნია, – შემდეგი გარემოების გათვალისწინებით: ეს ველურები, ჯუნგლებში რაიმე მიზეზით მოხვედრილი ერთეული ადამიანებისგან ვერ წარმოიშობოდნენ, რომ, ენა დავიწყებოდათ. ადამიანთა წყვილებს კი, ენა არ დაავიწყდებოდათ; აზროვნების დონითაც ესოდენ პრიმიტიულები არ იქნებოდნენ. მაგრამ, დედამიწის ზურგზე სხვადასხვა ადგილას ადამიანის გაჩენის მოსაზრების დაშვება, ენის წარმოშობის ჩვენმიერი მონაცემების მიხედვით, სრულიადაც არ ნიშნავს თავდაპირველად მხოლოდ ერთი ენის არსებობის შესახებ ბიბლიაში მოცემული აზრის უარყოფას. საქმე ის არის, რომ, **სადაც, რა დროსაც და რამდენ ადგილასაც არ უნდა გაჩენილიყო ადამიანი და ადამიანური მეტყველება და ენა, პირველქმნილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ბუნებაში მოცემული ბგერებისადმი ხმამიბაძვის საფუძველზე, ანუ, მეტყველება ერთ ენაზე – ბუნების ენაზე.**

ამრიგად, **ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე ენების ასაკი დაახლოებით 10 000 წელს ითვლის, ერთობ პირობითია და არაზუსტი.**

ეს იმიტომ, რომ ნოეს შთამომავალთა ენები,– სემიტური, ქამიტური და იაფეტური ენები (ენათა გენეოლოგიური კლასიფიკაციიც მიხედვით), – დედამიწის ზურგზე თანამედროვე ენების სახით რომ არიან განფენილნი, ისტორიული (ფილოგენეზური) თვალსაზრისით, არა მხოლოდ მათი უშუალოდ წინამავალი ნოეს ენებია, არამედ ბევრად უფრო შორეული, და, შეიძლება, თვით ადამის დროიდან მომდინარე ენებია, ანუ, ადამის ენებია. სხვა საკითხია ის, თუ რომელი ენა (ან ენები) ინარჩუნებს (ინარჩუნებენ), დღეისათვის, ყველაზე მეტად, ადამის ენის ვითარებას, იგივე, პირველქმნილი ბუნების ენის ვითარებას. ამასთან, თუ რომელიმე ენის მიმართ შეიძლება ეს ასე ითქვას, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი პირველ რიგში და სავსებით თამამად შეიძლება ითქვას სწორედაც ჩვენი გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის, მთლიანად კოლხური ენის, – როგორც პროტოქართული ანუ იაფეტური ენის უშუალო გაგრძელების, და, თვით ადამის ენის გაგრძელების, – შესახებ. სხვაზე რომც არაფერი ვთქვათ, ამის დასტურია ამ ენის ლექსიკის სასწაულებრივი ბუნებითობა (მისი 98,2 პროცენტის ხმაბაძვითი წარმომავლობა, იმის გათვალისწინებით, რომ ხმაბაძვითი ფორმები პირველადი ფორმებია ენისა) და ფანტასტიკური სიმდიდრე.

აქ, უპრიანია გავიხსენოთ, რომ დიდი **ნიკო მარი იაფეტურ ენას მსოფლიოს ენების გლოტოგონიურ (ენობრივ) საფუძვლად მიიჩნევდა,** და ალბათ, არც მთლად უსაფუძვლოდ. თუმცა მან ეს სრულად ვერ დაამტკიცა, მაგრამ იმაშიც კი, რაც დაამტკიცა, ყველამ ყველაფერი ვერ გაუგო. ამიტომაც იგი შერაცხეს კიდეც, ცხადია, გარკვეული დროით. სამწუხაროდ, ენათმეცნიერების აწგარდაცვლილ კორიფესთან ლომების შერკინება როდი იყო იმდენად საძრახისი, რამდენადაც ის, რომ მომეცნიერო ელემენტებსაც არ დაუკლიათ მისთვის შოლტი. ამ თემას ჩვენ სამტომეულში ცალკე საკითხად ვიხილავთ (ეს სხვათაშორის).

როცა საკითხი კოლხურ ენას, მის ასაკს, საერთოდ კოლხებს ეხება, ნებსით თუ უნებლიედ, თავს შეგვახსენებს ხოლმე **პლატონის** (428-347 ძვ. წ.) და სხვათა შემდეგი გამონათქვამი: **„კოლხები ატლანტიდის დაღუპვისას გადარჩენილი და იქიდან გადმოსახლებული ხალხია“; „ამერიკის კონტინენტზე ძველად მოსახლე მაიას ტომის ხალხებმა დამწერლობა ისწავლეს ატლანტიდაზე მოსახლე კოლხებისგან“.**

ეს სინამდვილეს რომ არც შეესაბამებოდეს, რაკი ატლანტიდის დანგრევას 10 000 წლის წინანდელ მოვლენად მიიჩნევენ, გამოდის რომ კოლხებს დამწერლობა ჯერ კიდევ 10 000 წლის წინათ ჰქონიათ. ეს, ცხადია, ამ მხრივაც მეტად საინტერესო საკითხია.

მამანტი ძაძამია,
პროფესორი, აკადემიკოსი,
ციცა ძაძამია
პროფესორი, აკადემიკოსი

საკვირაო საკითხავი

“რობინზონ კრუზო” – ბრძოლა გადარჩენისათვის

გაზეთ “ილორის” რედაქტორისაგან: ***“რობინზონ კრუზო”*** *ის ნაწარმოები გახლდათ, რომლითაც მე სიყმაწვილეში შევაბიჯე. რთულია ბავშვის სულიერი ფორმირების პროცესი – იგი აუცილებლად უკავშირდება რომელიმე პიროვნების ყოფას, მის საქციელს ექსტრემალურ სიტუაციაში, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოზარდს ძირითადად სათავგადასავლო ჟანრი იტაცებს, რომელიმე ლიტერატურულ გმირთან გაცნობამ შეიძლება მთლიანად შეცვალოს მისი ცხოვრების გზა.*

ასე ვიყავით ჩვენც სიყმაწვილეში – ***“რობინზონ კრუზოს”*** *წაკითხვის შემდეგ ოცნებებში ვცდილობდით საკუთარი უკაცრიელი კუნძულის აღმოჩენას, რათა გვეპოვა ჩვენი პარასკევა, გვებრძოლა შემოსეულ კანიბალებთან, მაგრამ არა რობინზონისდროინდელი კაჟიანი თოფით, არამედ თანამედროვე საომარი ტექნიკით...*

“ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ...” *– ამბობს დიდი ფრანგი მწერალი ანტუან დე სენტ ეკზიუპერი. დანაშაული არ იქნება იმის მტკიცებაც, რომ ასაკში შესული ადამიანი თავისი ბავშვობისაკენ ისწრაფვის. ამიტომ, დღესაც სანუკვარია ჩემთვის – 70 წელს კარგა ხნის წინ გადაცილებული ადამიანისათვის (ძალიან გთხოვთ, ამას ინფანტილიზმში ნუ ჩამომართმევთ) – დანიელ დეფოს უკვდავი ქმნილება, რომელიც მხნეობას და სიძნელეებისადმი ბრძოლის უნარს მინერგავს, რომელიც გვარწმუნებს, რომ არ არსებობს სიძნელე, რომელსაც ადამიანი ვერ გადალახავს, თუ იგი, რა თქმა უნდა, ბედს არ შეურიგდება და ხელებს არ ჩამოუშვებს.*

ყველა სხვა შემთხვევაში იგი განწირულია დასაღუპად.

ამიტომაც გახლავთ ***“რობინზონ კრუზო”*** *ლამის ბიბლიასთან გაიგივებული ნაწარმოები!*

რობინზონ კრუზო სულიერი სიმტკიცის, შემართების, შრომისმოყვარეობის, გამჭრიახობის ნიმუშს წარმოადგენს. იგი უკაცრიელ კუნძულზე 28 წელს გაატარებს, მაგრამ სასოწარკვეთას არ ეძლევა.

ინგლისელი მწერალი დანიელ დეფო მთელ მსოფლიოში ცნობილია როგორც შესანიშნავი რომანის, **“რობინზონ კრუზოს”** ავტორი, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით ყმაწვილებში სარგებლობს (თუმცა თავის დროზე ის სულაც არ დაწერილა საგანგებოდ მოზარდებისთვის). დანიელ დეფო მეტად მრავალმხრივი პიროვნება იყო. მოკლედ გაგაცნობთ მის ბიოგრაფიას და შემდეგ რომანზეც ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

დანიელ დეფო, სავარაუდოდ, 1660 წელს (ზუსტი თარიღი უცნობია) დაიბადა ლონდონში, პროტესტანტი ვაჭრის ოჯახში. უმაღლესი განათლება ნიუინგტონის პურიტანულ სასულიერო აკადემიაში მიიღო, თუმცა აკადემიის დასრულების შემდეგ სასულიერო კარიერაზე უარი თქვა და კომერციაში ჩაება. სავაჭრო საქმეებზე ხშირად ჩადიოდა საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიასა და იტალიაში, გაეცნო კონტინენტური ევროპის ცხოვრებას, შეისწავლა უცხო ენები. გახდა წინდების მქსოველი საწარმოს მფლობელი, მოგვიანებით, აგურისა და კრამიტის დიდი ქარხანაც შეიძინა, მაგრამ გაკოტრდა. დეფო მოავანტიურისტო მეწარმე-საქმოსანი გახლდათ, რაც მაშინ, კაპიტალიზმის საწყის ეპოქაში, მეტად გავრცელებული მოვლენა ყოფილა.

თუმცა, დეფოს ბიზნესმენობა მისი პიროვნების მხოლოდ ერთი წახნაგია. იმავდროულად, იგი მეტად ნიჭიერი ჟურნალისტი და ნაყოფიერი პუბლიცისტი იყო, გამოსცემდა ჟურნალს, აქტიურად მონაწილეობდა ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დეფო ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა სამეფო ტახტზე ავიდა ჩარლზ III, 1649 წლის რევოლუციის შედეგად ჩამოგდებული დინასტიის, სტიუარტების წარმომადგენელი. ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. 1685 წელს ჩარლზ II ჩამოაგდეს და იაკობ II გამეფდა. ახალ მონარქს მონმუტის ჰერცოგი აუჯანყდა, რომელსაც დეფოც მიემხრო, – აჯანყება დამარცხდა, დეფო იძულებული გახდა, მიმალულიყო. თუმცა ვითარება სულ მალე შეიცვალა. 1688 წელს ვილჰელმ III გამეფდა, რასაც დეფო მიესალმა, მაგრამ მის მდგომარეობას ერთი ფაქტორი ართულებდა – დეფოს ოჯახი დისენტერთა პურიტანულ სექტას ეკუთვნოდა. ეს სექტა ინგლისის ოფიციალურ ეკლესიას არ აღიარებდა. ეკლესია პურიტანებს დევნიდა. დეფომ 1702 წელს გამოაქვეყნა პამფლეტი **“ყველაზე მოკლე გზა დისენტერთა გასანადგურებლად”,** რის გამოც ციხეში ჩასვეს და **“სამარცხვინო ბოძთან”** დგომა მიუსაჯეს. დეფომ ციხეში დაწერა **“ჰიმნი სამარცხვინო ბოძს”,** რომელსაც ისეთი რეზონანსი ჰქონდა, რომ მწერალს სასჯელი ტრიუმფად ექცა, ლონდონელები აღტაცებისა და მხარდაჭერის გამოსახატავად სამარცხვინო ბოძთან მდგომ დეფოს ყვავილებს ესროდნენ.

XVII-XVIII საუკუნეების ინგლისში მიღებული წერის სტილისგან განსხვავებით, რომელიც ერთობ მძიმე გახლდათ, იგი წერდა გულწრფელად, დოკუმენტურ სტილში, რაც მკითხველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. **“შავი ჭირის წელიწადის სადღიურო ჩანაწერები”** ისტორიული რომანის ერთგვარი წინასახეა, **“კაპიტანი სინგლტონი”** და **“პოლკოვნიკი ჯეკი”** – სათავგადასავლო რომანის, ხოლო **“მოლ ფლენდერსი”** და **“როქსანა: იღბლიანი ქალი”** – სოციალურ-ფსიქოლოგიური და კრიმინალური რომანისა.

რაც შეეხება დეფოს სახელგანთქმულ რომანს, რომლის სრული სახელია **“რობინზონ კრუზოს ცხოვრება და თავგადასავალი”**, მას საფუძვლად უდევს რეალური ამბავი, რომელიც შოტლანდიელ მეზღვაურს, ალექსანდრ სელკირკს გადახდა თავს. გემის კაპიტანმა იგი ურჩობისთვის დასაჯა – უკაცრიელ კუნძულზე დატოვა. სელკირკმა კუნძულზე ოთხი წელი გაატარა, სანამ სხვა გემის მეზღვაურებმა შემთხვევით არ იპოვეს. ამ დროს იგი ძალზე საბრალოდ გამოიყურებოდა, ლაპარაკიც კი თითქმის დავიწყებული ჰქონდა.

თავისი პროტოტიპისგან განსხვავებით, რობინზონ კრუზო სულიერი სიმტკიცის, შემართების, შრომისმოყვარეობის, გამჭრიახობის ნიმუშს წარმოადგენს. იგი უკაცრიელ კუნძულზე 28 წელს გაატარებს, მაგრამ სასოწარკვეთას არ ეძლევა. უეჭველია, დანიელ დეფომ სათავგადასავლო სიუჟეტი საკუთარი მრწამსის, ცხოვრებისეული შეხედულებების პოპულარიზაციისათვის გამოიყენა. მისი მრწამსი კი პროტესტანტული ეთიკაა.

თუმცა, როდესაც მკითხველი ეცნობა რობინზონ კრუზოს ცხოვრებას, თვალს ადევნებს მის ბრძოლას არსებობისა და გადარჩენისთვის, ბრძოლას ბუნების ძალებთან, ღირსეული ცხოვრების მოსაწყობად, იგი, რასაკვირველია, არ ფიქრობს იმაზე, თუ რა იდეური წანამძღვრები და მოტივები ამოძრავებს მას. მკითხველს ხიბლავს რობინზონ კრუზოს პიროვნული თვისებები: ვაჟკაცობა, შეუდრეკლობა, ადამიანობა (რაც კარგად ჩანს პარასკევასთან ურთიერთობაში).

აღსანიშნავია, რომ **“რობინზონ კრუზოს”** გაგრძელებაც ჰქონია, რომელსაც ჰქვია **“რობინზონ კრუზოს შემდგომი თავგადასავალი”** და რომელიც საბჭოთა ეპოქაში (არც შემდგომ) ერთხელაც არ გამოცემულა არც რუსულად და, ცხადია, არც ქართულად. ამას თავისი კონკრეტული მიზეზი უნდა ჰქონდეს.

რომანის გაგრძელებაში ასეთი ამბავი ყოფილა აღწერილი: რობინზონი დაბრუნდა ინგლისში და გამდიდრდა, მაგრამ მშვიდი ცხოვრება მალე მოყირჭდა, გემი დაიქირავა და პარასკევასთან ერთად თავის კუნძულზე გაემგზავრა, სადაც ახალმოსახლეთა კოლონიასთან შეტაკება მოუხდა, პარასკევა დაიღუპა, რობინზონი კი ევროპაში სახმელეთო გზით, ახიის გავლით დაბრუნდა – უშიშარმა მოგზაურმა ამჯერად ციმბირი გადასერა. წიგნში მოცემულია **“დიდი ტარტარიის”** მიწების აღწერა, რომელშიც, ავტორის თქმით, შედის **“მოსკოვიის”** იმპერია და ჩინეთის იმპერია. უნდა ვივარაუდოთ, დეფოს ისეთი რამ უწერია რუსეთზე, რაც საბჭოთა კავშირის (მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის) ცენზორებს გულზე არ ეხატებოდათ. ამ გაგრძელების გარდა, არსებობს **“რობინზონ კრუზოს”** კიდევ მესამე ნაწილიც, რომელსაც ჰქვია **“რობინზონ კრუზოს სერიოზული მსჯელობანი”** – ეს გახლავთ ესეების კრებული.

დანიელ დეფოს ამ უკვდავი – აწ უკვე საყმაწვილო – რომანის გაგრძელების თარგმნა და ქართულ ენაზე სრული სახით გამოცემა საშური საქმეა, რაც სამომავლოდ, უეჭველია, განხორციელდება კიდეც.

ი. ლომოური

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის 27 ოქტომბერს გაიმართება

საქართველოს პრეზიდენტის ბოლო გადაწყვეტილებით, საპრეზიდენტო არჩევნების თარიღად 27 ოქტომბერი განისაზღვრა, – ამის შესახებ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა განაცხადა.

მისი ადრინდელი განმარტებით, თავდაპირველად დასახელებული თარიღი – 27 ოქტომბერი ტექნიკური შეცდომა იყო. პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის ბარნოვის განცხადებით, შესაბამისი სამართლებრივი აქტი, საპრეზიდენტო არჩევნების ოქტომბრის ბოლო კალენდარული დღით განსაზღვრასთან დაკავშირებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მაშინვე გადაეგზავნა. შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზეც განთავსდა.

საარჩევნო ორომტრიალი კი ასე დაიწყო – 1 ივლისს საპრეზიდენტო არჩევ-ნების ორი თარიღი დასახელდა. თავდაპირველად პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სააკაშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს ჩატარდება. დღის ბოლოს კი, საგანგებო ბრიფინგი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ანდრო ბარნოვმა გამართა, რომლის თქმით, ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას და არჩევნები 31 ოქტომბერს ჩატარდება.

არ ეთმობა ამ კაცს პრეზიდენტობა და რა ჰქნას?

იცის, რომ უმაღლესი თანამდებობის გარდა სხვა ისეთი რამ მიმზიდველი არ გააჩნია, რომ საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა დაიმსახუროს. უზრდელობით და უხეშობითაა გამორჩეული, უფროსი ადამიანის პატივისცემა მას არა აქვს და უმცროსი თაობის სიყვარული, თორემ ანაკლიაში ბუჩქებისაკენ არ მიუთითებდა ყმაწვილ გოგო-ბიჭუნებს.

იცის, ოხრად რომ დარჩება არამად ნაშოვნი ქონება და ფული, რადგან უკვე საბოლოოდ გაირკვა, რომ საქართველოში დატრიალებული ყველა ბოროტების სათავე სწორედ ეს არაკაცი გახლდათ და არც იმაში ეპარება ვინმეს ეჭვი, რომ **“ჩამოლაბორანტების”** შემდეგ მასაც ციხეში უკრავენ თავს, როგორც მისი ბანდის ბევრ სხვა წევრს.

აღარ გააჩნია საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში, თორემ, ეჭვი არ შეგეპაროთ – თავის უბადრუკი პრეზიდენტობის ვადას, ეს ძალაუფლების მანიაკი, კიდევ იმით გაიხანგრძლივებდა, რომ ოქტომბრის თვეს განსაზღვრავდა რამდენიმე ათასი დღით.

სინდისი დაუშლიდა თუ თანამზრახველები გაუწყვდნენ წინააღმდეგობას?!

სწორედ ამიტომ გახლავთ ეს სქელგავიანი ახმახი ძალიან პატარა ადამიანი!

ამიტომაც დაემსგავსა აბსოლუტურად თავის უტყუარ წინაპარს – სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს!

მაგრამ მაინც შეეშინდა ხალხის გულისწყრომისა და უკვე მეორედ ალოკა თავისი გადანაფურთხები – არჩევნების დღედ კვლავ 27 ოქტომბერი გამოაცხადა!

ასე რომ, კიდევ სამიოდ თვის მოთმინება და ქვეყნის სასიკეთოდ საკეთებელ საქმეებში ხელს ვეღარ შეგვიშლიან სააკაშვილ-ბოკერია-თარგამაძე-გაბაშვილი-მინაშვილი-მალაშხია-ბარამიძეები და მათნაირი უჯიშო გადამთიელები.

რ. ნორაკიძე

2013 წლის 18 ივნისს აბაშაში დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) საზოგადოებრივ-სახალხო მოძრაობა "აბაშელი", რომლიც სრულიად იზიარებს სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” კონცეფციას და მისი უმთავრესი მიზანია: “მამული, ენა, სარწმუნეობა”

2013 წლის 9 ივნისს თბილისში, სამების ტაძარში, უწმინდესმა და უნეტარესმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა კეკელიების გვარი. კეკელიების სახელზე დაწერილი ხატი ასვენია თბილისის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში, სადაც წინამძღვარია მამა შალვა კეკელია. ხატი 21 სექტემბერს გადასვენებულ იქნება სოფელ ბანძაში, საიდანაც არის კეკელიების გვარი.

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

მილიონად შეფასებული ქართველი მეკარე და მისი ორი სალომე

დაახლოებით რვა წლის იყო, როცა ქუჩაში მამასთან ერთად სეირნობდა, ბურთით მოთამაშე ბიჭები დაინახა და ფეხბურთით დაინტერესდა. მამამ თხოვნა შეუსრულა – ფეხბურთზე შეიყვანა... პირველი თამაში კრახით დასრულდა: ბურთი პირდაპირ კარში შევარდა. ტანმორჩილი იყო და მის მიმართ სკეპტიკურად განეწყვნენ; გიორგი ლორიაზე დიდ იმედს არ ამყარებდნენ და ამის გამო გული სწყდებოდა... მაგრამ გარდატეხის ასაკში ტანი აიყარა და იმედიც გაჩნდა. თუმცა, პირადად მას ყოველთვის სჯეროდა საკუთარი თავის. ამბობს: მთავარი მონდომება და შრომისმოყვარეობაა, მაგრამ ცოტაოდენი გამართლებაც საჭიროა. ჰოდა, მონდომებულს და შრომისმოყვარეს გაუმართლა კიდეც!

– როგორც ამბობენ, ეს არის სპორტის სახეობა, სადაც 90 წუთის განმავლობაში შეიძლება, გმირი გახდე. ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. თამაშზე, როცა მე გავხდი ე.წ. გმირი, ქართველი გულშემატკივარი იყო ყველაფრის განმსაზღვრელი; დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმაც, რომ ჩვენს ქვეყანაში სტუმრად საუკეთესო გუნდი იმყოფებოდა და ხალხის პროგნოზმა არ გაამართლა: ყველას ეგონა, 5:0-ს მაინც წავაგებდით და შედეგით გაკვირვებულები დარჩნენ. არ ვიცი, მოედანზე ბოლომდე რომ დავრჩენილიყავი, თამაში როგორი ანგარიშით დამთავრდებოდა. გული მწყდება, რომ ამ ყველაფერს ნაადრევად გამოვეთიშე. ისე კი, ძალიან ვეცადე, თამაში გამეგრძელებინა: არ ვიცი, რა ძალამ გადამადგმევინა ორი-სამი ნაბიჯი. ამ დროს ყურებში მხოლოდ ის მესმოდა, თუ როგორც იძახდა ხალხი ჩემს გვარს – ალბათ ეს იყო ყველაზე დიდი სტიმული იმისა, რომ გაუსაძლის ტკივილს წამების განმავლობაში მაინც შევჭიდებოდი! სამწუხაროდ, უდიდესი სურვილის მიუხედავად, თამაშის გაგრძელება ვერ შევძელი...

თბილისის **“დინამო”** მისი სახლია. ეს არის ადგილი, სადაც დროის უმეტეს ნაწილს ატარებს და თავს კომფორტულად გრძნობს. მისი საოცნებო გუნდი კი **“მანჩესტერი”** გახლავთ... გიორგიმ ახლახან კონტრაქტი გააფორმა, სადაც წერია, რომ გუნდი, რომელიც არც მეტი, არც – ნაკლები, მილიონ დოლარს გადაიხდის, მის **“ყიდვას”** შეძლებს.

გიორგი რეჟისორების ოჯახში გაიზარდა. ასე რომ, ხელოვნება მისთვის უცხო ხილი არ არის. ერთხანს თეატრალურ უნივერსიტეტშიც სწავლობდა, სამსახიობო ფაკულტეტზე, მაგრამ მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც, ფეხბურთი აღმოჩნდა... მიუხედავად ამისა, მსახიობობა მაინც დასჭირდა: 13 ივნისს თბილისის კინოთეატრებში ახალი ფილმის – **“რა მოხდა კიევში”** პრემიერა შედგა, რომელშიც გიორგი მონაწილეობს...

– ეს არის ჩემი პირველი და ალბათ – უკანასკნელი როლი (იცინის). ფილმი არის ოთხ მეგობარზე, რომლებიც უიკენდის გასატარებლად ერთ-ერთ კურორტზე წავლენ, მაგრამ მეორე დილით სულ სხვაგან,– ანუ კიევში იღვიძებენ. ბიჭები ვერაფრით იხსენებენ, რა მოხდა წინადღეს. შეიძლება ითქვას, რომ ფილმში საკუთარ თავს ვასახიერებ – ჩემი გმირი საქართველოს ნაკრების მეკარე გახლავთ... გადაღებები ძალიან მომეწონა და მასში ბოლომდე ჩავერთე. მიმაჩნია, რომ ხალხი ამ ფილმის ნახვით სიამოვნებას მიიღებს. კომედიაა, რომლის ყურებისას ბევრს იცინებ და დარბაზიდან გასულს კარგი განწყობილება გაგყვება. მიუხედავად ყველაფრისა, ვფიქრობ, მსახიობობა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ადამიანმა ცხოვრებაში ერთხელ ყველაფერი უნდა გამოცადოს.

პოპულარობა მოსწონს, მაგრამ ეს იდეფიქსად არასდროს ჰქონია. არ უყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი. პრინციპულია და პუნქტუალურიც; პირობას ყოველთვის ასრულებს და სხვებისგანაც იმავეს მოითხოვს. პირად ცხოვრებაზე კითხვებს თავს ზრდილობიანად არიდებს, მაგრამ მაინც გეტყვით, რომ მის ცხოვრებაში არის ორი სალომე: მეუღლე და შვილი – სამი წლის არაჩვეულებრივი გოგონა...

– არ მიყვარს პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი. **“პირადი”** იმიტომ ჰქვია, რომ შენია... როგორი შვილი, ძმა და მეუღლე ვარ – ამაზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ კარგი მამა ვარ! შვილი მთელ ქვეყანას მირჩევნია და თავისუფალი დრო გამომიჩნდება თუ არა, მაშინვე მასთან გავრბივარ. სალომე 3 წლის არის. უყვარს ჩემთან ერთად ყოფნა. ხშირად დავდივართ მთაწმინდის პარკში, ზოოპარკში. მისმა დაბადებამ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა. როგორც ყველა ქალიშვილი, ისიც გიჟდება მამაზე, მაგრამ ხანდახან მაინც ვეჭვიანობ – მგონია, მამაჩემი უფრო მეტად უყვარს – ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით... ოჯახს ჩემთვის არასდროს არაფერი დაუძალებია. გამიმართლა, რომ დიდი, თბილი და მოსიყვარულე ოჯახი მყავს.

ჟურნალისტების მიმართ კეთილგანწყობილია, თუმცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა ცოტა არ იყოს, აღიზიანებს. ამიტომ ცდილობს, იშვიათად გამოჩნდეს ტელეეკრანზე და, გულახდილად რომ ვთქვათ, დიდად არც ჟურნალ-გაზეთებს სწყალობს...

– მხოლოდ იმის გამო, რომ ჟურნალის გარეკანზე მოვხვდე, ყველა თემაზე ვერ ვილაპარაკებ. თან, ბევრი სწორადაც ვერ იგებს ნათქვამს. **“სვეტსკაობა”**, მოდაზე საუბარი და ა.შ. ჩემი სტილი არ არის. აი, ფეხბურთზე რამდენსაც გინდა, ვილაპარაკებ... პოპულარობა ცუდი არ არის, მაგრამ ყველაფერს აქვს ზღვარი. ვფიქრობ, ადამიანმა ყველაფერში ოქროს შუალედი უნდა ეძებო...

გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა “ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”. გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საგამოცემო ჯგუფი



„არსებობს ვიდეოები, რომლებზეც საშინელი სიბინძურეები და სისასტიკეა აღბეჭდილი!“

2013 წლის ივნისის მიწურულს შინაგან საქმეთა სამინისტროში ირაკლი დარიბაშვილმა მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრა ე.წ. დახურულ რეჟიმში შედგა და მასზე ის შემზარავი ვიდეოკადრები გვაჩვენეს, რომლებიც სამეგრელოში მოწყობილ სამალავებში დიდძალ იარაღთან, ნარკოტიკულ საშუალებებთან და დასაჭერი ადამიანების სიებთან ერთად იქნა აღმოჩენილი.

მაგრამ არსებობს სხვა ვიდეოებიც, რომლებზეც ისეთი სიბინძურეები და სისასტიკეა აღბეჭდილი, მის ნახვას ნორმალური ადამიანის გული და ნერვები ვერ გაუძლებს!

პირადად მე, ამ რამდენიმე დღის წინათ საუბარი მქონდა ადამიანთან, რომელსაც შსს-ს მიერ სამეგრელოს სამალავებში აღმოჩენილი ვიდეოფირების უმეტესობა ნანახი აქვს და როცა მას ვკითხე, რა არის აღბეჭდილი ამ ფირებზე-მეთქი, ასეთი პასუხი მივიღე – **„ყველანაირი სიბინძურე და სისაძაგლე, რაც შეიძლება ამქვეყნად ყველაზე გარყვნილი ადამიანის ფანტაზიაში დაიბადოს: დაბმული მამაკაცისათვის პირში ადამიანის განავლის ჩასხმით დაწყებული და ვერცერთ პორნოგრაფიულ ფილმში რომ ვერ ნახავ, ისეთი ფორმებით გაუპატიურებით დამთავრებული!“**

ადამიანების ცოცხლად გატყავებაც ხომ არ არის ვიდეოთი გადაღებული-მეთქი? – თითქოსდა სიმწრით გავიხუმრე, მაგრამ თანამოსაუბრისაგან სრულიად სერიოზული პასუხი მივიღე – **„არც უმაგისობაა...“**

ძვირფასი მკითხველო, სიმართლე გითხრათ, ძალიან მიმძიმს ამ წერილის წერა და კალამსაც ვერ ვიმორჩილებ, ამიტომაც, ერთს ვიტყვი და ამით დავამთავრებ: რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღმოჩენილ ფირებზეა აღბეჭდილი, ამას, შეიძლება, ერთადერთი შეფასება მიეცეს – ეს არის დანაშაული კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ, ხოლო სააკაშვილის რეჟიმი არის ჯალათების ხროვა, რომელიც ისე უნდა გასამართლდეს, ვითარცა ჰიტლერული ნაციზმი ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე!

სააკაშვილი ბოლომდე ცხოველად რომ არ იყოს გადაქცეული და მისხალი ადამიანობა მაინც ჰქონდეს შერჩენილი, სიცოცხლე ისე უნდა დაამთავროს, როგორც ჰიტლერმა დაამთავრა – ჩახოხდეს თავისი რეზიდენციის ბუნკერში და თავი მოიკლას!

ხოლო იმ ჯალათებისათვის, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დავალებით მამაკაცებს აუპატიურებდნენ, ამქვეყნად ერთადერთი ადეკვატური სასჯელი არსებობს – ცხელი ტყვია შუბლში! როგორც რუსები იტყვიან – „Без суда и следствия!“

ჯაბა ხუბუა

გამოვიდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალ “აია”-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი გიორგი სიჭინავა.

ჟურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, მარტვილში და აბაშაში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” წარმომადგენლებთან. თბილისში – ტაშკენტის ქ. №25, I სადარბაზო, ბინა, 1. ფასი 4 ლარი

იუმორი

– ამბობენ, თქვენმა ვაჟმა სამსახური იშოვაო!

– დიახ, ბოინში საქონელს კლავს.

– კმაყოფილია?

– დიახ. ბავშვობიდან უყვარდა ცხოველები.

* * *

ებრაელი ქალიშვილი დედას:

– სულ ექვსი დღეა, რაც დავქორწინდი, ჩემი ქმარი კი საღამოს სასტუმროში წავიდა დასასვენებლად.

– არა უშავს, ღმერთმა დააწესა მეშვიდე დღეს დასვენება.

* * *

ორი თანამშრომელი საუბრობს:

– შენი ანეკდოტი ჩემს ცოლს მოვუყევი და ორი კვირა არ მელაპარაკება!

– გადასარევია, ახლა შენს სიდედრს მოუყევი!

* * *

დიასახლისი სტუმარს:

– უკვე მიბრძანდებით? ხომ არ ისადილებთ? გარეთ წვიმს.

– რა გაქვთ სადილად?

– მოხარშული მაკარონი.

– იცით, არც ისე ძალიან წვიმს.

* * *

მამაკაცებს ყოველთვის უმართლებთ საოჯახო ცხოვრებაში: ისინი გვიან ქორწინდებიან და ადრე კვდებიან.

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge